

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური

სამეცნიერო ჟურნალი

*„Scripta manent“*

*საქართველო*

№3 (27)

2015

ჟურნალი დაფუძნებულია  
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



*GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY*  
*ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ*

*Multilingual Reviewing International Scientific Magazine*  
*Международный рецензионный мультилингвальный научный журнал*

*„Scripta manent“*

*GEORGIA*

*ГРУЗИЯ*

*№3 (27)*

*2015*

*OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION*

*АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ*

ISSN 1987-7390  
UDK (უაკ) 81+82  
S-41

## სარედაქციო კოლეგია:

მაია ჩხეიძე  
მთავარი რედაქტორი  
რუსუდან თაბუკაშვილი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე  
ია ჩიქვინიძე  
პასუხისმგებელი მდივანი

## რედაქციის წევრები:

ვიტა ფურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუკი, კულაშუ ხეიბიტოვა, სილვია ბოტევა,  
ტანია ბრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, ია ბურღული, მარია მიხაილოვა,  
ტატიანა მებრელიშვილი, ალბა ბრაცინო, ალესანდრა სპადაფორა, გიორგი ყუფარაძე,  
რუსუდან ბოცინიძე.

## მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII  
ტელ. : 236 51 76  
E-mail. : r. tabukashvili@gmail. com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი  
E-mail. : k-kharazishvili@mail. ru  
scripta.manentmagazine@gmail. com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:  
[www. odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

**Editorial Board:**

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck,  
Kulpash Beibitova, Tania Grieskhammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova,  
Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze, Rusudan Gotsiridze.

Address: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia

Tel. : (995 32) 236 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

**Electronic version:** [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

**Редакционная коллегия:**

Майя Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук,  
Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Ия Бурдули, Мария Михайлова,  
Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе,  
Русудан Гоциридзе.

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел. : (995 32) 236 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

**Электронная версия:** [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

## რედაქციისაბან

„Scripta manent“ საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგუური სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც აქვეყნებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს. ამას გარდა, იგი ადგილს უთმობს კრიტიკულ წერილებს, თარგმანებსა და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით ნაშრომს.

პროფესიონალთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებს.

ჟურნალი რეცენზირებადია, უარყოფითი რეცენზიით ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება. ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და იტალიური.

სარედაქციო კოლეგიის წევრები მოღვაწეობენ საქართველოს (თბილისი), გერმანიის (ბოხუმი, ბერლინი), რუსეთის (მოსკოვი), ყაზახეთის (ასტანა), ბულგარეთის (სოფია) და იტალიის (ტუსცია) უნივერსიტეტებში.

**ფილოლოგია**

**ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია**  
ფრანგული ლინგვისტიკური სკოლის ფონეტიკური კანონები.....10

**ციური ახვლედიანი, ნინო ჭრიკიშვილი**  
მეტაფორა ფრანგულ და ესპანურ ემოციურ ფრაზეოლოგიზმებში .....15

**ციური ახვლედიანი, ირინა სანაშვილი**  
ფრაზეოლოგიის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა /იტალიური და ქართული ენების  
მასალაზე/ .....20

**მანანა ასლანიშვილი**  
ენის როლი ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში.....24

**თეა ბორჩხაძე**  
ტერმინოლოგია და მისი კლასიფიკაციის მცდელობა.....28

**თეა ბორჩხაძე**  
ტერმინოლოგიისადმი სისტემური მიდგომა და მისი არსი.....32

**თამარ გაგოშიძე, ქეთევან გაბუნია**  
პოლიტიკური და სოციალური დისკურსი - საჭირო კომპეტენციები.....37

**თამარ გაგოშიძე, ქეთევან გაბუნია**  
პოლიტიკური კომუნიკაციის ძირითადი ასპექტები.....42

**რუსუდან გოცირიძე**  
კიბერკულტურა როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების კულტურული კონტექსტი.....46

**თამილა დილავეროვა**  
პრაგმატიკულ-სემანტიკური მსგავსება-განსხვავებების ასახვა ინგლისურენოვან Fables და  
Parables შორის .....50

**თამილა დილავეროვა**  
იგავ-არაკების თარგმანის თავისებურებები.....56

**სოფიკო დუმბაძე**  
ლექსიკური ერთეულების სესხება როგორც ნეოლოგიზაციის არსებითი წყარო .....61

**სოფიკო დუმბაძე**  
ენობრივი სისტემა როგორც განვითარებადი ფენომენი.....65

**მარინა ზორანიანი**  
ტექსტის ‘სამყაროები’ როგორც კონცეპტუალური სცენარების სახით აგებული  
მენტალური კონსტრუქტები .....69

**ვერიკო ხუციშვილი**  
კონცეპტი “მზე” ნოდარ დუმბაძისეული სამყაროს მხატვრულ ხატებაში.....74

**კრიტიკული წერილები**

**ეთერ მაგლობლიშვილი**  
რეცენზია.....79

## Contents

### Philology

<b>Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia</b> Phonetic Rules of French Linguistic School.....	10
<b>Tsiuri Akhvlediani, Nino Chrikishvili</b> Metaphor in French and Spanish Emotional Phraseologisms.....	15
<b>Tsiuri Akhvlediani, Irina Sanashvili</b> National-Cultural Specificity of the Phraseology /on the material of Italian and Georgian languages/ ....	20
<b>Manana Aslanishvili</b> The Role of Language in the Formation of Human Personality.....	24
<b>Tea Borchkhadze</b> Terminology and the Attempt of its Classification .....	28
<b>Tea Borchkhadze</b> System Approach to Terminology and its Essence.....	32
<b>Tamar Gagochidzé, Ketevan Gabunia</b> Political and Social Discourse – the Necessary Scopes .....	37
<b>Tamar Gagochidzé, Ketevan Gabunia</b> Key aspects of the Political Communication .....	42
<b>Rusudan Gotsiridze</b> Cyberculture as the Cultural Context of Information Technology .....	46
<b>Tamila Dilaverova</b> Semantic and Pragmatic Similarity and Difference Between Two English terms „A Fable “ and „A Parable “ .....	50
<b>Tamila Dilaverova</b> The Peculiarities of 'Fables' Translation .....	56
<b>Sopiko Dumbadze</b> Borrowing Lexical Units as an Essential Source of Linguistic Neology.....	61
<b>Sopiko Dumbadze</b> Linguistic System as a Developing Phenomenon.....	65
<b>Marina Zoranyan</b> Deviation as a Means of Foregrounding in Language.....	69
<b>Veriko Khutsishvili</b> Concept «The Sun» in World Artistic Image by Nodar Dumbadze.....	74

### Critique Letters

<b>Eter Mgaloblishvili</b> Review .....	79
--	----

## Содержание

### Филология

<b>Циури Ахвледиани, Кетеван Габуня</b> Фонетические законы французской лингвистической школы.....	10
<b>Циури Ахвледиани, Нино Чрикишвили</b> Метафора во французских и испанских эмоциональных фразеологизмах .....	15
<b>Циури Ахвледиани, Ирина Санашвили</b> Национально-культурная специфика итальянской и грузинской фразеологии .....	20
<b>Манана Асланишвили</b> Роль языка в формировании личности человека.....	24
<b>Теа Борчхадзе</b> Терминология и попытки ее классификации .....	28
<b>Теа Борчхадзе</b> Системный подход к терминологии и суть этого подхода .....	32
<b>Тамар Гагошидзе, Кетеван Габуня</b> Политический и социальный дискурс – нужные компетенции.....	37
<b>Тамар Гагошидзе, Кетеван Габуня</b> Ключевые аспекты политической коммуникации .....	42
<b>Русудан Гоциридзе</b> Киберкультура как культурный контекст информационных технологий.....	46
<b>Тамила Дилаверова</b> Семантическое и прагматическое сходство и различие между двумя английскими терминами „A Fable“ и „A Parable“ .....	50
<b>Тамила Дилаверова</b> Особенности перевода басен .....	56
<b>Софико Думбадзе</b> Заимствование лексических единиц в качестве важнейшего источника возникновения языкового неологизма .....	61
<b>Софико Думбадзе</b> Лингвистическая система как развивающееся явление .....	65
<b>Марина Зораня</b> Текстовые «миры» как ментальные конструкторы, построенные в виде концептуальных сценариев...	69
<b>Верико Хуцишвили</b> Концепт „Солнце“ в художественной картине мира Нодара Думбадзе.....	74

### Критические письма

<b>Этер Мгалоблишвили</b> Рецензия .....	79
---	----



**ფილოლოგია**

**Philology**

**Филология**

## ფრანგული ლინგვისტიკური სკოლის ფონეტიკური კანონები

ციური ახვლედიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ. 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ქეთევან გაბუნია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 599 201 099  
E-mail: keti\_gabunia@yahoo.com

### რეზიუმე

ფრანგული ლინგვისტიკური სკოლის მეცნიერთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურებაა ენობრივ ცვლილებებში ფსიქო-ფიზიოლოგიური ელემენტის შესწავლის აუცილებლობის აღიარება და იმ ენობრივი სისტემის მნიშვნელოვნების ხაზგასმა, რომელშიც ხდება ეს ცვლილებები. ამ სკოლის წარმომადგენლებმა დაადგინეს, რომ სამეტყველო არტიკულაციის ფიზიოლოგიური თავისებურებები ეყრდნობა ფსიქოლოგიური ავტომატიზმის სამ ძირითად კანონს: 1. იდეოდინამიკურ კანონს; 2. ინერციის კანონს; 3. რიტმის კანონს.

### საკვანძო სიტყვები:

ფსიქო-ფიზიოლოგიური ელემენტი, ფონემა, ასიმილაცია, დისიმილაცია.

### შესავალი

ფრანგულ ლინგვისტიკურ სკოლად იწოდება მეცნიერთა იმ ჯგუფის წევრები,

რომლებიც ენის თეორიისა და ენობრივი ევოლუციის სფეროში მხარს უჭერენ მ. გრამონისა და ა. მეიეს მიერ ჩამოყალიბებულ ძირითად დებულებებს. ფრანგული ლინგვისტიკური სკოლის მეცნიერთათვის დამახასიათებელია ენობრივ ცვლილებებში ფსიქო-ფიზიოლოგიური ელემენტის შესწავლის აუცილებლობის აღიარება და იმ ენობრივი სისტემის მნიშვნელოვნების ხაზგასმა, რომელშიც ხდება ეს ცვლილებები (მ. გრამონიც და ა. მეიეც ფერდინანდ დე სოსიურის მოწაფეები იყვნენ, პარიზში ფ. დე სოსიურის პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში – 1881–1891 წწ.). ასევე ცნობილია, რომ ა. მეიე და მისი ზოგიერთი მოწაფე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თეზისს ენის სოციალური ბუნების შესახებ. მათზე გარკვეული გავლენა მოახდინა თანამედროვე ლინგვისტიკურმა გეოგრაფიამ, განსაკუთრებით ჟ. ჟილიერონის ნაშრომმა და პ.-ჟ. რუსლოს ფონეტიკური კვლევის ექსპერიმენტალურმა მეთოდებმა. იმავდროულად, ისინი კრიტიკულად იყვნენ განწყობილნი ნეოგრამატიკოსთა თეორიების მიმართ. მათი შეხედულებები ახლოსაა კ. შუხარდტისა და ო. იესპერსენის თეორიებთან.

### ძირითადი ნაწილი

სტატიაში შევეხებით ფრანგული ლინგვისტიკური სკოლის მხოლოდ ძირითად წარმომადგენლებსა და მათ ზოგიერთ იდეას, რომლებიც წინ უსწრებს სტრუქტურული ლინგვისტიკის წარმოშობას, თუმცა, როგორც ცნობილია, სტრუქტურალიზმის ჭეშმარიტ სულისჩამდგმელებად ითვლებიან ფ. დე სოსიური და ბოდუენ დე კურტენე (პრადის ფონოლოგიური სკოლა).

მეიეს შრომები, რომლებიც ეხება სლა-

ვურ, ინდურ, გერმანიკულ, სომხურ, ბერძნულ და ლათინურ ენებს, ნათლად წარმოგვიდგენს ავტორის სიღრმისეულ კვლევებს აღნიშნული ენების ისტორიის სფეროში. ვანდრიესი კი, გარდა ინდოევროპული შედარებითი გრამატიკის პრობლემებისა, იკვლევდა კლასიკურ და კელტურ ენებს.

ენის ცვლილებების ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესების შესწავლას საფუძველი დაუდო გრამონის დისერტაციამ: «La dissimilation consonantique dans les langues indo-européennes et dans les langues romanes» (1895) – «თანხმოვანთა დისიმილაცია ინდო-ევროპულ და რომანულ ენებში». გრამონმა დისიმილაცია შეისწავლა ცალცალკე რამდენიმე ენაში; დისიმილაცია ეხება ორ ფონემას, რომელთაც აქვთ ერთი ან რამდენიმე საერთო ელემენტი; ფონემები, მთლიანად ან ნაწილობრივ, უნდა შედგებოდნენ ერთნაირი არტიკულატორული მოძრაობებისაგან. სამეტყველო ჯაჭვში, ურთიერთქმედი ფონემების მდებარეობაზეა დამოკიდებული ის ფაქტი, თუ რომელი იცვლება – პირველი თუ მეორე ფონემა. გრამონმა დაადგინა ცვლილებათა ოცი ტიპი და იმ პირობების მიმართ, რომელთა მიხედვითაც ხდება ამ ტიპთა ცვლილებები, გამოიყენა ტერმინი „კანონი“. „კანონი“ – არის ფორმულა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება დისიმილაცია. დისიმილაციის დროს ახალი ფონემები არ ჩნდება; თუ დისიმილაციის შედეგად მიღებული ელემენტები არ შეესაბამება ენის ფონემებს, ისინი იცვლებიან არსებულ ფონემათაგან იმ ფონემებით, რომლებიც მათთან ყველაზე ახლოსაა. ნაწილობრივი დისიმილაცია უფრო ხშირად ვკვებება, ვიდრე სრული.

La dissimilation c'est la loi du plus fort – „დისიმილაცია უძლიერესის კანონია“ (ანუ დისიმილაცია ხდება უფრო ძლიერი ბგერის გავლენით). ფონემის სიძლიერე შეიძლება დამოკიდებული იყოს იმ მარცვლის მახვილის ქონა-არქონაზე, რომელშიც ის იმყოფება: მახვილიანი მარცვლის თანხმოვანი ან

ხმოვანი დისიმილაციას ახდენს უმახვილო მარცვლის თანხმოვანზე, ან შესაბამისად, ხმოვანზე. მაგალითად: ხალხ. ლათ. alberga, albergo < \*arberg (გერმ. heribergera), ფრანგ. devin < ლათ. diuivum. ფონემის ძალა შეიძლება დამოკიდებული იყოს მის მდებარეობაზე ფონემათა შეერთებაში: ხშული, რომელიც წარმოადგენს იმ თანხმოვანთა შეერთების ნაწილს, რომლებიც წინ უსწრებენ ან მოსდევენ ამ მარცვლის ხმოვანს და განეკუთვნებიან ერთსა და იმავე მარცვალს – ახდენს ინტერვოკალური ხშულის დისიმილაციას; მაგ.: ხალხ. ლათ. cinque < quinqué, cinquaginta < quinquaginta, colliandru < coriandrum.

ორ ინტერვოკალურ თანხმოვანთაგან, ჩვეულებრივ, დისიმილაციას განიცდის პირველი, მაგალითად: იტალ. veleno < ლათ. uenenum, ძვ. ირლ. „araile“ სხვა < alaile. ეს უკანასკნელი შემთხვევა აიხსნება ფსიქოლოგიური მიზეზებით: la parole va moins vite que la pensée; l'attention est en avance sur les organes vocaux – «მეტყველება უფრო ნელია, ვიდრე აზრი; ყურადღება წინ უსწრებს სამეტყველო ორგანოების მუშაობას». თუმცა ფონემის სემანტიკური ფუნქცია უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე მისი ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებანი. თუ სიტყვის რომელიმე ელემენტი წარმოადგენს სუფიქსს ან პრეფიქსს, ან რთულ სიტყვაში შეესაბამება დამოუკიდებელ სიტყვას, დისიმილაცია მიმდინარეობს საპირისპირო მიმართულებით: ძვ.-ზ. გერმ. mulberi < murberi, morberi შეიცავს ლათ. morum-ს. გრამონის ერთ-ერთი კანონის მიხედვით, დისიმილაცია უნდა განეცადა მეორე r-ს (როგორც ძვ.-ზ. გერმ. martolon < martoron, ხალხ. ლათ. porfidu < porphyrum). დისიმილაციის საპირისპირო მიმართულება აიხსნება იმ ფაქტით, რომ beri ენაში არსებობს დამოუკიდებელი სიტყვის სახით, მნიშვნელობით „კენკრა“.

გრამონის წიგნს გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომ, რომ მასში გახსნილია ცვლილების პროცესის არსი,

რომელიც სულაც არ იმართება ნეოგრამატიკოსთა „კანონებით“ და ასევე ხაზგასმულია ენის სისტემის როლი. ხშირად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთი ფონემა გარდაიქმნება მეორე ფონემად, უნდა დადგინდეს განფენილობის არმქონე შუალედური სტადიები; მაგალითად, თუ ენაში, რომელშიც არ არსებობს მქდერი კბილისმიერი სპირანტები, შეინიშნება დისიმილაციის შემთხვევები  $...d \dots d > r \dots d$ . ეს ნიშნავს, რომ ცვლილება მოხდა იმ საფეხურის გავლით, რომელსაც არა აქვს განფენილობა;  $d$  იქცა  $r$ -დ – ამ ენის ჩვეულებრივ ფონემად.

გრამონი დისიმილაციის შემთხვევად განიხილავდა საერთო არტიკულატორული ელემენტების მქონე ორი მომიჯნავე თანხმოვნის ცვლილებას; მეიე კი მიიჩნევდა, რომ ცვლილების შედეგი ისეთი ტიპის თანამიმდევრობისა, როგორცაა  $-amna-$  ან  $-anma-$  შესაბამის  $-abna-$ დ ან  $alma-$ ,  $-arma-$ დ, თუმცა ემთხვევა დისიმილაციის შედეგს, მაინც ცვლილების პროცესი სავსებით განსხვავებულია. აქ შეიმჩნევა ცვლილება, რომლის დროსაც ხდება თანხმოვანთა ზოგიერთი საერთო ელემენტის მოშორება, რათა არ მოხდეს ასიმილაცია. ცვლილების ამ ტიპს მეიე უწოდებს **დიფერენციაციას** და მას განსაზღვრავს შემდეგნაირად: როდესაც ორ ურთიერთმოქმედ ფონემას გააჩნია ერთი ან რამდენიმე მსგავსი არტიკულაციური ელემენტი, მაშინ ამ ელემენტთაგან ერთი ან რამდენიმე შეიძლება შეიცვალოს, რის შედეგადაც იქმნება უფრო მეტად მყარი შეერთება. ენაში ცვლილებებს, როგორც წარსულში, ასევე ამჟამადაც, მრავალი ლინგვისტი განიხილავდა და განიხილავს – მიმსგავსებად (levelling). სინამდვილეში, ზოგი ცვლილება გამოწვეულია ასეთი მიმსგავსების საწინააღმდეგო ქვეცნობიერი რეაქციით. მეიეს მიერ შესწავლილი ცვლილების ტიპი დიდ ინტერესს იწვევს იმიტომაც, რომ იგი ეხება არა მარტო მომიჯნავე ფონემებს, არამედ

იგი მუდგნდება ფონემათა დაპირისპირებებშიც, მაგალითად, დაჭიმულ და სუსტ თანხმოვნებს შორის.

დიფერენციაციის განსაკუთრებული ტიპი, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ერთი ფონემის დაყოფა ორ ფონემად, შესწავლილ იქნა ჟორჟ მილარდეს მიერ («Etudes de dialectologie landaise. Le développement des phonèmes additionnels», 1910). ფონემის არტიკულაცია შედგება სხვადასხვა მოძრაობათა კომპლექსისაგან. ზოგჯერ ხდება, რომ მომდევნო ფონემის გავლენით, სხვადასხვა მოძრაობათა წონასწორობა ირღვევა და ფონემის ნაწილი, რომელიც წარმოიშვა ფონემის ასხლეტისაგან, იქცევა ახალ დამოუკიდებელ ფონემად; ამ გზითაა წარმოშობილი ლათინურ ენაში *sumptus, emptus*. ამ სიტყვებში,  $m$ -ს ბოლო ნაწილი დაყრუვდა მომდევნო  $t$ -ს გავლენით,  $m$ -ს დაყრუვებული ნაწილი კი შეიცვალა ფონემად  $p$ , იმ მიზეზით, რომ ცხვირის ღრუს გასასვლელი დაკეტილი იყო. ამ ცვლილებას მიზნად ჰქონდა  $t$ -ს წინ  $m$ -ს  $n$ -ად ასიმილაციის თავიდან აცილება, რომელიც შეინიშნება იმ შემთხვევებში, როდესაც  $m$  აღმოჩნდება სხვა ფორმებისაგან დაუცველი. ცვლილებას შეიძლება ხელი შეუშალოს იმავე ძალებმა, რომლებიც იწვევენ ასიმილაციასა და დიფერენციაციას.

ჟ. ვანდრიესის სტატიაში „Réflexions sur les lois phonétiques. 1902“ შემოთავაზებულია ტერმინი **ტენდენცია** (tendance). ავტორი განასხვავებს **კერძო** ანუ **შიდა ტენდენციებს** და **ზოგად** ანუ **გარე ტენდენციებს**, რომლებიც ეხება ყველა ენას ისევე, როგორც მაგალითად, ასიმილაცია და დიფერენციაცია. მისი აზრით, ეს ტერმინი სჯობს ტერმინს „**ფონეტიკური კანონი**“. შიდა ტენდენციის იდეა განავრცო გრამონმა თავის სტატიებში «Notes de phonétique générale».

სამეტყველო არტიკულაციის ფიზიოლოგიურმა თავისებურებებმა ახსნა ჰოვეს პიერ ჟანეს კვლევებში ფსიქოლოგიური ავ-

ტომატიზმის ბუნების შესახებ. ეს გამოჩნდა ვან გინეკენის წიგნშიც «Principes de linguistique psychologique». ვან გინეკენი გამოყოფს ფსიქოლოგიური ავტომატიზმის სამ ძირითად კანონს: ესენია 1. **იდეოლინამიკური კანონი**: ყოველგვარი წარმოდგენა მოძრაობის შესახებ მიისწრაფვის მოძრაობაში რეალიზებისაკენ (toute representation motrice tend à réaliser son mouvement); 2. **ინერციის კანონი**: ტვინის არცერთი მდგომარეობა არ შეიძლება შეიცვალოს თავისით, სხვა მოვლენებთან კავშირის გარეშე; თუ ტვინი იმყოფება სიმშვიდის მდგომარეობაში, ის უნდა დარჩეს ამ მდგომარეობაში, ვიდრე არ მოხდება გარე ჩარევა (une intervention étrangère), რომელიც მას მოიყვანს მოძრაობაში; თუ ის იმყოფება მოძრაობის მდგომარეობაში, უნდა იყოს ამავე მდგომარეობაში მანამ, ვიდრე არ გადასცემს თავის ენერგიას გარშემომყოფ სხვა მოვლენებს; 3. **რიტმის კანონი**: როდესაც მეტ-ნაკლებად თანაბარ ფსიქიკურ აქტთა განსახლდრული რაოდენობა ერთიანდება უფრო მაღალ რანგში, მაშინ წარმოქმნილ რთულ აქტებში შეინიშნება ტენდენცია დიფერენციაციისაკენ და ელემენტთაგან ერთ-ერთის გარშემო დაჯგუფებისაკენ.

იდეოლინამიკური კანონის ქმედება შეინიშნება რეგრესული ასიმილაციის შემთხვევაში, ინერციის კანონისა – პროგრესული ასიმილაციის შემთხვევაში; რიტმის კანონი კი ხსნის დისიმილაციისა და დიფერენციაციის არსს.

ლ. რუდე სტატიაში «Sur la classification psychologique des changements sémantiques» წარმოგვიდგენს სემანტიკური ცვლილებების ორ ტიპად დაყოფას: 1. ცვლილებები, რომლებიც აიხსნებიან იდეებს (მნიშვნელობებს) შორის მსგავსების ან მომიჯნაობის ასოციაციით; 2. ცვლილებები, რომლებიც აიხსნებიან სიტყვებს შორის სინტაგმატური ან ასოციაციური კავშირებით.

ამჟამად, ენის ზოგადი თეორიით დაინტერესებული ლინგვისტები, ძირითადად, იკვლევენ სხვადასხვა ენობრივ სტრუქტურებს. მიღებული შედეგები უნდა გამოიყენებოდეს ენობრივი ცვლილებების შესწავლის დროსაც და გათვალისწინებული უნდა იყოს ფსიქო-ფიზიოლოგიური ელემენტიც, რომელიც ენის სტრუქტურასა და ფორმათა ფუნქციებთან ერთად, დაგვეხმარება ენის შიდა ისტორიის ახსნის პროცესში.

### დასკვნა

ცვლილებების პროცესი – ესაა ფსიქო-ფიზიოლოგიური ცვალებადი ფუნქცია, რომლის რეალიზაცია დამოკიდებულია პირობებზე; მიზეზი, რომლის ძალითაც პროცესი იქცევა ენობრივ მოვლენად, სოციალური ხასიათისაა, ანუ ის სპეციფიკურია და მას ადგილი აქვს განსახლდრულ დროსა და განსახლდრულ საზოგადოებაში.

### ლიტერატურა

1. Millardet G. (1910) : Etudes de dialectologie landaise. Le développement des phonèmes additionnels. Paris
2. Grammont M. (1923) : Notes de phonétique générale. Paris
3. Grammont M. (1895) : La dissimilation consonantique dans les langues indo-européennes et dans les langues romanes. Paris
4. Roudet L. (1921): Sur la classification psychologique des changements sémantiques. Paris
5. Van Ginneken J. (197): Principes de linguistique psychologique. Paris
6. Vendryes J. (1902) : Réflexions sur les lois phonétiques. Paris

**Фонетические законы  
французской лингвистической  
школы**

*Ахвледяни Циури Александровна*  
*Тбилисский государственный университет*  
*Факультет гуманитарных наук*  
*Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 599 508 607*  
*E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com*

*Габуня Кетеван Учаевна*  
*Тбилисский государственный университет*  
*Факультет гуманитарных наук*  
*Пр.И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 599 201 099*  
*E-mail: keti\_gabunia@yahoo.com*

**Резюме**

Для ученых французской лингвистической школы характерно, главным образом, признание необходимости изучения психо-физиологического элемента в изменениях языка и подчеркивание важности языковой системы, в которой происходят эти изменения. Ученые этой школы постулируют три основных закона психологического автоматизма: 1. Идеодинамический закон; 2. Закон инерции; 3. Закон ритма.

**Ключевые слова:**

Психо-физиологический элемент, фонема, ассимиляция, диссимиляция.

**Phonetic Rules of French Linguistic  
School**

*Tsiuri Akhvlediani*  
*Tbilisi State University*  
*Humanitarian science faculty*  
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*  
*Tel.:599 508 607*  
*E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com*

*Ketevan Gabunia*  
*Tbilisi State University*  
*Humanitarian science faculty*  
*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*  
*Tel.:599 201 099*  
*E-mail: keti\_gabunia@yahoo.com*

**Abstract**

One of the important achievements of the researchers of French Linguistic School is the declaration of the necessity to study psycho-physiological elements characteristic to the linguistic changes and to underline the significance of the language system in which the mentioned changes occur. The representatives of the school decided that physiological peculiarities of speech articulation are based on three main laws of psychological automatism: 1.ideo-dynamic law; 2. Law of Inertia; 3. Law of Rhythm.

**Keywords:**

psycho-physiological element, phoneme, assimilation, dissimilation.

## მეტაფორა ფრანგულ და ესპანურ ემოციურ ფრაზეოლოგიზმებში

ციური ახვლედიანი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ. 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ნინო ჭრიკიშვილი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: 598 165 756  
E-mail: nchrikishvili@yahoo.com

### რეზიუმე

მეტაფორის საშუალებით შესაძლებელია ადამიანური აზროვნების ზოგად კანონზომიერებათა სფეროში შედწევა და მოცემული ენის მატარებელთა ტიპური ასოციაციების გამოვლენა. ემპირიული მასალის კვლევის შედეგად გამოვყავით სხვადასხვა ცნებებთან დაკავშირებული, ფრანგულ და ესპანურ ემოციურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენელი მეტაფორები, რომლებიც ემოციურ ფრაზეოლოგიზმთა ექსპრესულ-ემოციურ მარკერებად გვევლინებიან.

### საკვანძო სიტყვები:

მეტაფორა, ემოციური ფრაზეოლოგიზმები, სომატიზმები, ხატოვანი ასოციაციები.

### შესავალი

ემოციურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ხატოვანი ასოციაციები ეყრდნობა მნიშვნელობის მეტაფორულ გადატანას. მეტაფორა, ერთი მხრივ, აცოცხლებს ფრაზეოლოგიზმის რეალურ მნიშვნელობას, მეორე მხრივ კი ნათლად ასახავს მის ნაციონალურ-კულტურულ თავისებურებებს. მეტაფორის წყალობით, ენობრივი სისტემა მუდმივ დინამიკაშია.

ლურ-კულტურულ თავისებურებებს. მეტაფორის წყალობით, ენობრივი სისტემა მუდმივ დინამიკაშია.

### ძირითადი ნაწილი

ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ემოციური მდგომარეობა ენაში ხშირად წარმოგვიდგება მეტაფორის საშუალებით. მკვლევართა აზრით, მეტაფორა არის გადასვლა წყაროს სფეროდან ნიშნის სფეროში. წყაროს სფერო წარმოადგენს ე. წ. „დონორთა ზონას“, საფუძველს, რომლის ნიშნები და თვისებები გადადის აღწერის სფეროში. იმ ირეალურ არსთა (რაობათა) გადატანისათვის, რომლებიც შეიცავენ ადამიანის ემოციურ სფეროს, ენა იყენებს ნიშნებს, რომლებიც ემყარება უკვე არსებულ გამოცდილებას. ემპირიული მასალის კვლევის შედეგად, გამოვყავით ფრანგულ და ესპანურ ემოციურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენელი მეტაფორები, დაკავშირებულნი შემდეგ ცნებებთან: **1. კვების პროდუქტები; 2. სტიქიები (მიწა, ჰაერი, და სხვ.); 3. საგნები; 4. სხეულის ნაწილები (სომატიზმები).**

**კვების პროდუქტები:** ფრანგ. *sentir la moutarde au nez* და ესპ. *subírsele a uno la mostaza a las narices* ‘უეცარი, მოულოდნელი გაჯავრება; გაცხარება, აპილპილება’ - ფრანგ. *la colère (la moutarde, la poudre) lui monte au nez, la moutarde lui pique au nez*, ესპ. *se le sube la mostaza a las narices*; ‘გაჯავრდა, გაცხარდა’. ამ ფრაზეოლოგიზმებში სპეციფიკურ ნაციონალურ მარკერს წარმოადგენს ლექსიკური ერთეული ფრანგ. *la moutarde* და ესპ. *mostaza* ‘მლოვი’. ამ პროდუქტის მწვავე სუნი და სპეციფიკური გემო ენის მატარებლისათვის ასოცირდება არასასიამოვნო, გამაღიზიანებელ შეგრძნებასთან. ამგვარი ასოციაცია აისახება ფრაზეოლოგიური ერთეულის

წარმოქმნის პროცესში და იგი იდიოთნიკური ხასიათისაა. გაცემის მდგომარეობას გამოხატავს ფრაზეოლოგიური შედარება **en rester comme une tomate (une tourte)** (ხალხ.) ‘უაღრესად გაკვირვებული’ (სიტყვასიტყვით: ‘დარჩე პომიდორით (როგორც მრგვალი ღვეზელი)’. კომპონენტები **une tomate** ‘პომიდორი’ და **une tourte** ‘მრგვალი ღვეზელი’, შესადარებელი ხატების სახით დამახასიათებელია, სახელდობრ, ფრანგული ენობრივი ცნობიერებისათვის. იდენტური შინაარსის ესპანური ფრაზეოლოგიური ერთეული წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტით **una piedra** ‘ქვა’, რაც კარგად ჩანს შემდეგ ფრაზაში: ესპ. **quedarse de piedra**.

**სტიქიები (მიწა, ჰაერი):** ფრანგული და ესპანური ენების მატარებელთა ენობრივ ცნობიერებაში ემოციური მდგომარეობა ასოცირდება **სტიქიებთან**. „ცეცხლისა“ და „წყლის“ სტიქიათა ნიშნები, ტრადიციულად, გამოიყენება ემოციურ ფრაზეოლოგიზმებში უარყოფითი ემოციური მდგომარეობის გამოსახატავად, როგორებიცაა „ბრაზი“ და „მწუხარება“; მაგალითად: ფრანგ. **prendre feu comme de l’amadou** და ესპ. **arder como si fuera yesca** ‘გაბრაზება, გაცხარება, აპილპილება’ (სიტყვასიტყვით: ‘ცეცხლს იკიდებს (ესპ. იწვის) როგორც აბედი’ - ‘ადვილად ინთება, ფიცხია’); ფრანგ. **souffler le feu** და ესპ. **echar fuego** ‘გაშმაგება, გაწიწმატება, აპილპილება, ძალზე გაცხარება’ (სიტყვასიტყვით: ‘ცეცხლით სუნთქვა’ და ‘ცეცხლის სროლა, გადაგდება’); ფრანგ. **se fondre en eau** (სიტყვასიტყვით: ‘წყალში გადნობა’). წყალთან დაკავშირებული მსგავსი შინაარსის ფრაზა არ არსებობს ესპანურ ენაში.

სტიქიის ნიშანი „მიწა“ გამოიყენება „განგაშის ან მღელვარების“ ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად: ფრანგ. **le sol manque sous les pas de qn** და ესპ. **faltar el suelo bajo sus pies** ‘მიწა ეცლება ფეხებიდან’ (სიტყვასიტყვით: ‘ნიადაგი აკლია ნაბიჯების ქვეშ’). ფრანგულ ენაში (ესპანური ენისა-

გან განსხვავებით) იგივე ნიშანი, რომელიც გამოხატავს ლექსიკურ ერთეულს **la terre** ‘მიწა’, შეინიშნება უარყოფითი ემოციური მდგომარეობის – „სირცხვილის“ გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში, ასევე დადებითი ემოციური მდგომარეობის – „სიხარულის“ გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში და ბიპოლარული ემოციური მდგომარეობის – „გაკვირვება, გაცემა“, „სიცილი“ გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში: **ficher (flanquer, foutre) par terre** 1) გადაგდება, დაგდება, ტყორცნა; 2) განცვიფრება, გაცბუნება, საგონებელში ჩაგდება; **être à terre de rire** ‘სიცილისაგან დაოსება’; **faire rentrer (à cent pieds) sous terre** ‘შერცხვენა, უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება’; **vouloir être à cent pieds sous terre (vouloir rentrer sous terre)** ‘ურჩევნია მიწა გაუსკდეს (სირცხვილისაგან)’ (სიტყვასიტყვით: ‘სურს, რომ ას ფეხზე იდგეს მიწაზე; სურს დაბრუნდეს მიწაზე’); **ne pas toucher la terre** ‘სიხარულისაგან ფეხების მოწყვეტა (სიტყვასიტყვით: ‘მიწასთან არ შეხება’).

მეოთხე სტიქიის – „ჰაერის“ ნიშანი ჩნდება სხვადასხვა მდგომარეობის (სიამოვნების, მღელვარების, ბრაზის, გაცემის, შიშის, სიხარულის) გამომხატველ ემოციურ ფრაზეოლოგიზმებში; მაგალითად: ფრანგ. **se donner de l’air** და ესპ. **darse aires** ‘მოდუნება, გართობა’ (სიტყვასიტყვით: ‘მეცეპაერს’); ფრანგ. **s’envoyer en l’air** (ხალხ.) და ესპ. **enviarse en el aire** ‘სიამოვნების მიღება, დატკბობა’ (სიტყვასიტყვით: ‘გაგზავნო თავი ჰაერში’); ფრანგ. **être en l’air** და ესპ. **estar en el aire** ‘სულიერი შფოთვა, აფორიაქება, დელვა’ (სიტყვასიტყვით: ‘ჰაერში ყოფნა’); ფრანგ. **sauter en l’air** და ესპ. **saltar por los aires** ‘მრისხანედ აღშფოთება, გულისწყრომა’ (სიტყვასიტყვით: ‘ჰაერში ხტომა’); ფრანგ. **se sentir en l’air** და ესპ. **sentirse en el aire** ‘ვერ იგრძნო მყარი ნიადაგი ფეხქვეშ (შიშისა ან სიხარულისაგან)’ (სიტყვასიტყვით: ‘თავი იგრძნო ჰაერში’). ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ,



რომ ფრანგული და ესპანური ენების ემოციურ ფრაზეოლოგიზმთა ნაციონალური თავისებურება ვლინდება სტიქიათა მეტაფორული ხატების საშუალებითა და მათი (სტიქიათა ხატების) ეთნოფსიქოლოგიური აღქმის გათვალისწინებით.

**საგნების** ჯგუფში ერთიანდება საგნის მეტაფორული ნიშნის მქონე ერთეულები: 1) იარაღი: **être en fusil** ‘გამძვინვარება, გააფთრება, გაშმაგება’ (სიტყვასიტყვით: ‘თოფში ყოფნა’); 2) სახლის ავეჯი, ჭურჭლის საგნები: **les charrettes lui nuisent** (სასაუბ.) ‘ძალიან გულფიცხია, ფხუკიანია’ (სიტყვასიტყვით: ‘ურიკები მას ზიანს აყენებენ, ვნებენ’); **ouvrir le robinet** ‘ცხარე ცრემლით ტირილი, ღრიალი, ბლავილი’ (სიტყვასიტყვით: ‘ონკანის მოშვება, გახსნა’); 3). ტანსაცმელი, ფეხსაცმელი: **avoir le bonnet près de l’oreille** (სასაუბ.) ‘ფიცხობა, ფხუკიანობა’ (სიტყვასიტყვით: ‘ჩაჩის ქონა ყურთან ახლოს’); **mettre son bonnet de travers** (სასაუბ.) ‘ცუდ გუნებაზე ყოფნა’ (სიტყვასიტყვით: ‘ჩაჩის გასწვრივად დადება’); **être (entrer) dans ses petits souliers** ‘უხერხულად თავის გრძობა; მოუსვენრობისაგან შიშით შეპყრობა’ (სიტყვასიტყვით: ‘ყოფნა (შესვლა) პატარა ფეხსაცმელებში’); 4). ქიმიური ნივთიერება: **péter les plombs** (ხალხ.) ‘ნერვიულობა’ (სიტყვასიტყვით: ‘ტყვიების გამოშვება’); 5). ციური სხეულები: **être dans une (la) bonne (mauvaise) lune** ‘კარგ (ცუდ) განწყობაზე (გუნებაზე) ყოფნა’ (სიტყვასიტყვით: ‘ყოფნა კარგ (ცუდ) მთვარეზე’); **tomber (débarquer) de la lune** ‘გაოცება’ (სიტყვასიტყვით: ‘მთვარიდან ჩამოვარდნა’); **piquer le soleil** ‘სირცხვილისაგან აწითლება, ატკრეცა’ (სიტყვასიტყვით: ‘მზის ჩხვლეტა’). ხატები, რომლებიც საფუძვლად უდევს ზემომოყვანილ ფრაზეოლოგიზმებს, ნაციონალურად სპეციფიკურია: **un fusil** ‘თოფი’, **une charrette** ‘ურიკა’, **un robinet** ‘ონკანი’, **un bonnet** ‘ჩაჩი’, **des souliers** ‘ფეხსაცმელები’, **la lune** ‘მთვარე’, **le soleil** ‘მზე’. აღსანიშნავია, რომ **un fusil** ‘თოფი’ ამჟღავნებს ბრაზიანი

მდგომარეობის ეთნიკურ აღქმას, ასევე ხატი **une charrette** ‘ურიკა’, რომელიც წარმოდგენილია სტილისტიკურად ნეიტრალური ლექსიკური ერთეულით, გვევლინება იმავე მდგომარეობის ექსპრესიულ-ემოციურ მარკერად. მთლიანობაში, ყველა ეს ხატი ხელს უწყობს ემოციურ მდგომარეობათა ასახვას ფრანგული ეთნოსის ნაციონალური შემეცნების პრიზმით. რაც შეეხება ესპანურ ენას, კასტილიურ ენაში მსგავსი შინაარსის ფრაზეოლოგიზმები სხვა ლექსიკური ერთეულებით არიან წარმოდგენილნი, მაგალითად, **ponerse como una fiera** გამოსატავს ‘გამძვინვარებას, გააფთრებას, გაშმაგებას’ (სიტყვასიტყვით: ‘გახდე მხეცი, ნადირი’); **llorar a lágrima viva** ‘ცხარე ცრემლით ტირილი’ (სიტყვასიტყვით: ‘ცოცხალი ცრემლით ტირილი’); **estar de un humor de perros (de mil diablos)** ‘ცუდ გუნებაზე ყოფნა’ (სიტყვასიტყვით: ‘ძალღურ გუნებაზე ყოფნა, ათასი ეშმაკის გუნებაზე ყოფნა’); **quedarse de piedra** ‘გაოცება’ (სიტყვასიტყვით: ‘გადაიქცე ქვად’); **ponerse rojo como un tomate** ‘სირცხვილისაგან აწითლება, ატკრეცა’ (სიტყვასიტყვით: ‘პომიდორით გაწითლება’) და ა.შ.

**სხეულის ნაწილები (სომატიზმები):** **chaleur de foie** (სასაუბ.) ‘ბრაზის მორევა, გაცხარება, გაფიცხება’ (სიტყვასიტყვით: ‘ღვიძლის სიმხურვალე’); **avoir la tête près du bonnet** (სასაუბ.) ‘გაბრაზებული, გაცხარებული ყოფნა’ (სიტყვასიტყვით: ‘თავის ქონა ჩაჩის მახლობლად’); **faire mal au ventre de qn** ‘ვინმეს ნერვებზე მოქმედება’ (სიტყვასიტყვით: ‘ვინმესთვის მუცლის ტკენა’); **la plume me tombe des mains** ‘ძალიან გაკვირვებული, განცვიფრებული ვარ’ (სიტყვასიტყვით: ‘ბუმბული მცვივა ხელებიდან’). მეტაფორული ხატები, რომელთა საფუძვლადაც დევს ადამიანი სხეულის სხვადასხვა ნაწილთა სახელწოდებები, განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება „სიცილის“ გამომხატველ ფრაზეოლოგიურ წარმონაქმნებში; მაგალითად, ფრანგ. **rire à belles dents** ‘მთელი გულით სიცილი’

(სიტყვასიტყვით: 'ღამაში კბილებით სიცილი'), ფრანგ. **rire à la gorge déployée** და ესპ. **reír a mandíbula batiente** 'ხარხარი' (სიტყვასიტყვით: 'გაშლილი ყელით სიცილი' და 'მოძრავი ყბით სიცილი'); ფრანგ. **dilater le coeur** 'გამხსნელება, გულის გახარება' (სიტყვასიტყვით: 'გულის გახალისება'); ფრანგ. **rire au nez** და ესპ. **reír en la cara** 'პირში დაცინვა' (სიტყვასიტყვით: 'ცხვირში დაცინვა' და 'პირში დაცინვა'); ფრანგ. **la bouche fendue jusqu'aux oreilles** და ესპ. **una sonrisa de oreja a oreja** 'ღამებგახეულია' (სიტყვასიტყვით: 'პირი ჰკილია ყურებამდე' და 'ღიმილი ყურიდან ყურამდე'); **rire à ventre déboutonné** 'თავაწვეტილი ხარხარი' (სიტყვასიტყვით: 'სიცილი გახსნილი მუცლით').

მეტაფორა-სომატიზმების გამოყენება ზემოწამოთვლილ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობებში აიხსნება იმით, რომ სიცილის დროს, პირველ რიგში, ხდება სომატური ცვლილებები ადამიანის ორგანიზმში, რამაც გამოხატულება ჰპოვა ენის ფრაზეოლოგიურ სივრცეში. სულიერი (ემოციური) მდგომარეობების ენობრივი გამოხატვა ყველაზე მეტი ბუნებრივობით ხდება ლექსიკური ერთეულის „გული“ საშუალებით, რადგან ცნებები „სული“ და „გული“, ემოციური აზრით მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მართლაც, „სულსა“ და „გულს“ მრავალი საერთო აქვთ მნიშვნელობის მხრივ. ამ ცნებებთანაა დაკავშირებული ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე განსახდურული პროცესები და უმეტესად ისინი ასოცირდებიან იმ ფუნქციებთან, რომლებსაც ასრულებენ სული და გული.

### დასკვნა

ემოციური ფრაზეოლოგიზმები გამოხატავენ ემოციურ მდგომარეობას გარე სამყაროს ნიშნებით. შიდა სამყაროს მოვლენებს ენის მატარებელი აღწერს ჩვეულებრივად, თვლის რა, რომ ეს უკვე ცნობილია სხვა

ადამიანებისათვის. ასე წარმოიშვება ემოციური მდგომარეობის მიმსგავსება სტიქიებისადმი, ნივთებისადმი, მცენარეებისადმი და ა. შ. ეს საშუალებას იძლევა დავინახოთ მსგავსება ცნობილსა და არაცნობილს შორის. ეს მსგავსება კვალიფიცირდება როგორც მეტაფორული ნიშანი, ანუ როგორც არამსგავსი მოვლენების შედარების საერთო საფუძველი.

### ლიტერატურა

1. Christine Palm (1997): Phraséologie. Paris
2. Isabel Gonzalez Rey (2011): La phraséologie du français. Paris
3. Margarita Alonso Ramos (2006): Diccionarios y fraseología. A Coruña
4. Alberto Buitrago (2012): Diccionario de dichos y frases hechas. Barcelona

### Метафора во французских и испанских эмоциональных фразеологизмах

*Ахвледиანი Циური Александровна*  
*Тбилисский государственный университет*  
*Факультет гуманитарных наук*  
*Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 599 508 607*  
*E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com*

*ჭრიკიშვილი ნინო გელაევნა*  
*Тбилисский государственный университет*  
*Факультет гуманитарных наук*  
*Пр.И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 598 165 756*  
*E-mail: nchrikishvili@yahoo.com*

## **Резюме**

С помощью метафоры можно достичь общей закономерной сферы человеческого мышления, а также выявить типовые ассоциации данного языконосителя. После изучения эмпирического материала, мы выделили с разными понятиями связанные метафоры, которые являются составными частями французских и испанских эмоциональных фразеологических единиц. Они являются экспрессивно-эмоциональными маркерами эмоциональных фразеологизмов.

## **Ключевые слова:**

Метафора, эмоциональные фразеологизмы, соматизмы, художественные ассоциации.

## **Abstract**

By means of the very metaphor it's possible to penetrate into the sphere of general regularities of human thought and to reveal the typical associations of native speakers. As a result of investigating the empirical material, we distinguished the constituent metaphors of French and Spanish emotional phraseological units.

They are They are the expressive-emotional markers of emotional phraseologisms.

## **Keywords:**

metaphor, emotional phraseologisms, somatisms, figurative associations.

## **Metaphor in French and Spanish Emotional Phraseologisms**

*Tsiuri Akhvlediani*

*Tbilisi State University*

*Humanitarian science faculty*

*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.:599 508 607*

E-mail: [tsiuriakhvlediani@yahoo.com](mailto:tsiuriakhvlediani@yahoo.com)

*Nino Chrikishvili*

*Tbilisi State University*

*Humanitarian science faculty*

*36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.:598 165 756*

E-mail: [nchrikishvili@yahoo.com](mailto:nchrikishvili@yahoo.com)

# ფრაზეოლოგიის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა /იტალიური და ქართული ენების მასალაზე/

ციური ახვლედიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ. 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

ირინა სანაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: +393393794595  
E-mail: irinasanashvili@hotmail.com

## რეზიუმე

იტალიური და ქართული ენები, ისევე როგორც ყოველი ერის ენა, ასახავს სამყაროს აღქმისა და კონცეპტუალიზაციის განსაზღვრულ ხერხსა და უნარს, ავსებს რა სამყაროს მოდელს ნაციონალურ-კულტურული კონოტაციებით. ენისა და კულტურის ურთიერთობის პრობლემის საფუძველს წარმოადგენს იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კვლევა, რომელთა შემადგენლობაშიც შედის კულტურული ლექსიკა. იტალიურ და ქართულ ენებში უხვად გვხვდება ერის ნაციონალურ-კულტურულ ტრადიციებთან, საეკლესიო ლექსიკასთან, მითოლოგიასთან, იტალიისა და საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები.

## საკვანძო სიტყვები:

ფრაზეოლოგია, ნაციონალურ-კულტურული ტრადიცია, ექსტრალინგვისტური რეალობა, ფოლკლორი და მითოლოგია.

## შესავალი

ფრაზეოლოგიის მჭიდრო კავშირი კონკრეტული ერის ნაციონალურ-კულტურულ ტრადიციებთან, რასაკვირველია, საყოველთაოდ ცნობილია. ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა კულტურული სპეციფიკა განისაზღვრება მათი შესაბამისობით საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტებთან, მის ისტორიასთან, რწმენებთან, ადათ-ჩვევებთან და ტრადიციებთან, ანუ იმ სამყაროსთან, რომელშიც ცხოვრობს მოცემული ერი.

## ძირითადი ნაწილი

მატერიალური სამყაროს ყველა ელემენტი, ფიზიკურიც და ფსიქიკურიც, ურთიერთგანპირობებული, მოწესრიგებული და სისტემურად ორგანიზებულია. სახელდობრ, სიტყვა გვაძლევს საშუალებას, რომ გამოვეყოთ ექსტრალინგვისტური რეალობიდან (სადაც ყველა ელემენტი ურთიერთდაკავშირებულია და განიცდის მუდმივ ევოლუციას) ესა თუ ის საგანი და მოვლენა. ენის ლექსიკა – ეს არის კაცობრიობის გამოცდილება ცხოვრების წვდომაში და ის ურთიერთობები, რომლებიც ფორმირდება საზოგადოებაში, სახელდობრ, ფსიქიკური და ინტელექტუალური მოღვაწეობა განზოგადებული სახით. ეს ნიშნავს, რომ სამყარო – ეს არის სისტემა, რომელიც შედგება მრავალი ქვესისტემისაგან; მთლიანი სამყაროც და თითოეული მისი ქვესისტემაც ცოცხალი, თვითკმარი და დამოუკიდებლად ორგანიზებული ერთეულია.

თითოეული ერი – ეს არის ცოცხალი სისტემა, რომელიც მუდმივად ვითარდება და წარმოადგენს კაცობრიობის საერთო სისტემის ნაწილს. ნებისმიერი ერის ხასიათი უნიკალურია, რადგან მისი ფორმირება ხდება

სპეციფიკურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ პირობებში და იმავდროულად სხვა ერებთან, სხვა ხალხებთან ურთიერთკავშირშიც.

თითოეული ერის ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და კონცეპტუალიზაციის განსაზღვრულ ხერხსა და უნარს, ავსებს რა სამყაროს მოდელს ნაციონალურ-კულტურული კონოტაციებით. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი უცხოური ენის შესწავლისას და სწავლებისას, ჩვენს შემთხვევაში იტალიური ენის სწავლებისა და შესწავლისას, უნდა გავითვალისწინოთ ამ (უცხოურ) ენაზე მოლაპარაკე ხალხთა (ჩვენს შემთხვევაში – იტალიელთა) კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების შესწავლაც. ამასთანავე, უცხოური ენის შესწავლისას (ჩვენს შემთხვევაში იტალიური ენის), არსებობს სამყაროს ნაციონალური სურათის ადეკვატური გაგებისა და აღქმის პრობლემაც, რადგან ენის შესწავლა ხორციელდება როგორც ზეპირმეტყველების საშუალებით, ასევე ტექსტითაც (ორიგინალით ან თარგმანით). ლინგვოკულტუროლოგიური და ესთეტიკური თვალსაზრისით, მხატვრულ ნაწარმოებთა ტექსტები წარმოადგენს შესასწავლი ენის კულტურის გაცნობის ერთ-ერთ არსებით საშუალებას.

ტრადიციულად, ენისა და კულტურის ურთიერთობის პრობლემის საფუძველს წარმოადგენს იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კვლევა, რომელთა შემადგენლობაშიც შედის კულტურული ლექსიკა. კულტურული ლექსიკა, თავის მხრივ, შეიცავს სიტყვა-რეალიებს, რომლებიც ასახელებენ წეს-ჩვეულებებსა და სპეციალურ საწესჩვეულებო ინსტრუმენტებს, დღესასწაულთა სახელწოდებებს, ფოლკლორულ და მითოლოგიურ პერსონაჟთა სახელებს, კულტურულ კონცეპტებს.

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, არსებობს თუ არა კულტურული სემანტიკა იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში, რომელთა სიტყვები შეიცავენ ნაციონალურ-

კულტურულ კომპონენტს და იმავდროულად ზოგადსაკაცობრიო ცნებებსაც.

ცნებებს და სიტუაციებს, რომლებიც საფუძველად უდევს სხვადასხვა ერის ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, მრავალი საერთო აქვთ, რადგან ყველაზე ხშირად ფრაზეოლოგიზმთა საფუძველს წარმოადგენს ყოველდღიური ხმარების საგანთა სახელწოდებები და გარემომცველი სამყაროს ამსახველი სიტყვები. ამგვარი სახეობის მრავალი სიტყვა იქცევა სიმბოლოებად და ძირითადად, ისინი წარმოადგენენ ადამიანთა განსაზღვრული თვისებების განსახიერებას. სხვადასხვა ენაში, ეს სიმბოლოები შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და შესაბამისად, მათზე დაფუძნებული ფრაზეოლოგიური ერთეულებიც ზოგჯერ სრულად, ზოგჯერ ნაწილობრივ ემთხვევიან ერთმანეთს, ზოგჯერ კი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე მაგალითად, იტალიელი ამბობს: **muto come un pesce**, ქართველიც ასევე ამბობს: **თევზივით მუნჯი**; მაგრამ იტალიური ფრაზეოლოგიზმი **sano come un pesce** (სიტყვასიტყვით: ‘**თევზივით ჯანმრთელი**’) შეესატყვისება ქართულ ფრაზეოლოგიზმს **ხარივით ჯანმრთელი**.

ყველაზე მეტად მდიდარ ფრაზეოლოგიურ პლასტს მიეკუთვნება ის ლექსიკა, რომელიც აღწერს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას და ასევე, ადამიანის სხეულის ნაწილების ამსახველი სიტყვებიც:

იტალ. **chiudere un occhio** – ანალოგიურია ქართ. **თვალის დახუჭვა (რაიმეზე)**;

**mettere (puntare) i piedi al muro** ‘გაჯიუტება’ (სიტყვასიტყვით: ‘ფეხების მიბჯენა კედელზე’) – ქართ. **ნებისმიერ ფასად რაიმეს მიღწევა**;

**fare il passo secondo la gamba** ‘შეძლებილდაგვარად ცხოვრება’ (სიტყვასიტყვით: ‘ნაბიჯი ფეხზე გრძელი არ უნდა იყოს’) – ქართ. **ფეხი იქამდე გაჭიმე, სანამ საბანი გაგწვდება**.

ფრაზეოლოგიზმთა ნაწილი უკავშირდება

სამხედრო და სამონადირეო ლექსიკას:

**tornare con le prive nel sacco** ‘ცარიელი დაბრუნება’ (სიტყვასიტყვით: ‘ცარიელი ტომრით დაბრუნება’) – ქართ. **ხელცარიელი დაბრუნება**.

ფრაზეოლოგიზმთა წარმოშობა უკავშირდება თამაშებსაც, უფრო ხშირად ბანქოს თამაშს:

**fare (dare) cappotto** ‘მშრალი წაგება’ (სიტყვასიტყვით: ‘პალტოს ჩაბარება’) – ქართ. **წმინდა წაგება**;

**mettere le carte in tavola** ‘ღიად თამაში’ (სიტყვასიტყვით: ‘კარტების დაწყოფა მაგიდაზე’) – ქართ. **ღიად თამაში, კარტების გაშლა მაგიდაზე**.

ფრაზეოლოგიზმთა გარკვეული რაოდენობა წარმოდგენილია ბიბლიკურიზმით:

**aspettare la manna dal cielo** (სიტყვასიტყვით: ‘ცის მანანას ლოდინი’) – ქართ. **ღმერთის წყალობის ლოდინი**;

**essere una voce nel deserto** (სიტყვასიტყვით: ‘ხმა მღაღადებლისა უდაბნოში’) – ქართ. **ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა**;

**essere un figliuol prodigo** ‘უძღები შვილი’ (სიტყვასიტყვით: ‘მფლანგველი შვილი’) – ქართ. **უძღები შვილი**.

ეკლესია მუდამ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იტალიელ და ქართველ ხალხთა ცხოვრებაში; ამიტომაც ფრაზეოლოგიზმთა დიდი რაოდენობა დაკავშირებულია საეკლესიო ლექსიკასთან:

**non andare ne’ a messa ne’ a predica** ‘არც ღმერთის გჯეროდეს, არც ეშმაკის’ (სიტყვასიტყვით: ‘არც წირვაზე წახვიდე, არც ქადაგებაზე’) – ქართ. **არც ღმერთის გწამდეს, არც ეშმაკისა**.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ იმ ფრაზეოლოგიზმებს, რომელთა საფუძველსაც წარმოადგენს სიტყვათა ცვლილებები პერიფრაზებითა და სტილისტიკური ფიგურებით; მაგალითად, “სიკვდილი” გადმოიცემა შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულებით:

**chiudere gli occhi per sempre** (სიტყვასიტყ-

ვით: ‘თვალების დახუჭვა სამუდამოდ’),

**andare all’altro mondo** (სიტყვასიტყვით: ‘სხვა სამყაროში წასვლა’),

**passare a miglior vita** (სიტყვასიტყვით: ‘უკეთეს სამყაროში წასვლა’),

**andare al mondo di Là** (სიტყვასიტყვით: ‘იმ ქვეყნად წასვლა’),

**render l’anima a Dio** (სიტყვასიტყვით: ‘ღმერთისთვის სულის მიბარება’) და სხვ. (კონცეპტი “სიკვდილი” ორივე ენაში 100-ზე მეტი ფრაზეოლოგიური ერთეულით გადმოიცემა).

## დასკვნა

იტალიურ და ქართულ ენებში უხვად გვხვდება ერის ნაციონალურ-კულტურულ ტრადიციებთან, საეკლესიო ლექსიკასთან, მითოლოგიასთან, იგავ-არაკებთან, ზღაპრებთან, იტალიისა და საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ ფრაზეოლოგიზმებს, რომელთა საფუძველსაც წარმოადგენს სიტყვათა პერიფრაზები და სტილისტიკური ფიგურები.

## ლიტერატურა

1. Ballesio G. B. (2009): *Frasesologia italiana*. Roma
2. Черданцева Т. З., Рецкер Я.И., Зорько Г.Ф. (2002): *Итальянско-русский фразеологический словарь*. М.
3. სახოკია თ. (1954): ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი

## Национально-культурная специфика итальянской и грузинской фразеологии

*Ахведиани Циури Александровна*  
Тбилисский государственный университет  
Факультет гуманитарных наук  
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел.: 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*Санашвили Ирина Шалвовна*  
Тбилисский государственный университет  
Факультет гуманитарных наук  
Пр.И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел.: +393393794595  
E-mail: irinasanashvili@hotmail.com

### Резюме

Итальянский и грузинский языки, как язык каждой нации, отражают определённый способ восприятия и концептуализации мира, наполняя модель мира национально-культурными коннотациями. В основе проблемы соотношения языка и культуры лежат исследования тех фразеологизмов, в состав которых входит культурная лексика. В итальянском и грузинском языках часто встречаются фразеологические единицы, связанные с национально-культурными традициями нации, с церковной лексикой, с мифологией, с историей Италии и Грузии.

### Ключевые слова:

фразеология, национально-культурная традиция, экстралингвистическая реальность, фольклор и мифология.

## National-Cultural Specificity of the Phraseology /on the material of Italian and Georgian languages/

*Tsiuri Akhvlediani*  
Tbilisi State University  
Humanitarian science faculty  
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia  
Tel.: 599 508 607  
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

*Irina Sanashvili*  
Tbilisi State University  
Humanitarian science faculty  
36, Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia  
Tel.: +393393794595  
E-mail: irinasanashvili@hotmail.com

### Abstract

Italian and Georgian languages, like the languages of any nation, portray certain methods and abilities of perception and conceptualization of the world, thus filling the model of the world with national-cultural connotations. Investigation of phraseological units, the constituent part of which is cultural vocabulary is the basis of the problem connected with the relationship between the language and the culture. Phraseological units connected with nation's national-cultural traditions, religious vocabulary, mythology, Italian and Georgian history are frequently used in Italian and Georgian languages.

### Keywords:

phraseology, national-cultural tradition, extralinguistic reality, folklore and mythology.

## ენის როლი ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში

მანანა ასლანიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 593 322 820

E-mail: manana.58@mail.ru

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ენის, აზროვნებისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულება, გაანალიზებულია კონცეპტის კატეგორიული ბუნება და მისი ეთნოკულტურასთან მიმართება. ანტროპოცენტრული პარადიგმის მიერ ადამიანის წარმოჩენა პირველ ადგილზე ეფუძნება ენის როლის აღიარებას, როგორც ადამიანის დახასიათების მთავარი მაკონსტრუირებელი კომპონენტი. ყველა სააზროვნო პროცესში შეჭრით ენა ქმნის ახალ მენტალურ სივრცეებს და გაჰყავს ადამიანი უშუალო დაკვირვების სფეროს მიღმა. იგი ასახავს ადამიანის აზრის მოძრაობას, აფიქსირებს აზრის დინამიკას და მისი წარმოდგენის საშუალებებს ენობრივი რესურსების საშუალებით.

### საკვანძო სიტყვები:

ენა, ენის მატარებელი, აზროვნება, ცნობიერება, ეთნოკულტურა, ლინგვოკონფლიქტოლოგია, მენტალიტეტი, კომუნიკაცია.

### შესავალი

კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითად მიმართულებებს შორის, რომლებიც ანტროპოცენტრული პარადიგმის ჩარჩოებში ყალიბდება, საჭიროა აღინიშნოს ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვისტიკური პრაგმატიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოფსიქოლინგვისტიკა და სხვა. თუ კოგნიტური ლინგვისტიკა სხვა მიმართულებებთან ერთად, რომლებიც ქმნიან კოგნიტო-

ლოგიას, ცდილობს უპასუხოს კითხვას იმის შესახებ, თუ რა პრინციპითაა ორგანიზებული ადამიანის გონება, როგორ შეისწავლის ის სამყაროს, თუ რა მონაცემები ყალიბდება ცოდნად სამყაროს შესახებ, როგორ იქმნება მენტალური სივრცეები, მაშინ კულტუროლოგიის მთელი ყურადღება გადატანილია კულტურაში ადამიანის არსებობაზე და მის ენაზე.

### ძირითადი ნაწილი

ადამიანი, როგორც ენის მატარებელი პიროვნება, წარმოადგენს არა განზოგადებულ ცნებას, არამედ არის გარკვეული კულტურის მატარებელი, განსაზღვრული სოციუმის წარმომადგენელი, რაც განაპირობებს მის ეთნოლინგვო-სოციალურ სტატუსს. საჭიროა აღინიშნოს, რომ სხვა კულტურის გაგების გზა გადის ანტროპოცენტრული პარადიგმის სფეროზე. კონფლიქტური სიტუაციები, რომელთა უმეტესობა ჩნდება ინოფონებთან ურთიერთობაში, დაკავშირებულია კომუნიკანტთა ნაციონალურ-კულტურული თავისებურებების იგნორირების ფაქტორთან. საინტერესოა, რომ უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბებული მიმართულება – „ლინგვოკონფლიქტოლოგია“ მიზნად ისახავს გამოიკვლიოს შესაძლო კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობა და შეიმუშაოს მათი თავიდან აცილებისათვის საჭირო პრაქტიკული რეკომენდაციები. ამის პირველი და აუცილებელი პირობაა ამა თუ იმ ხალხის მენტალიტეტის ცოდნა. ენობრივი ცნობიერება, რომელიც აფიქსირებს განსაზღვრული კონცეპტების სახით კულტურის ძირითად ცნებებს, სამყაროს წარმოადგენს ერთიანი, სრული სურათის სახით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მიუხედავად „სამყაროს მატერიალური საფუძვლების ერთიანობისა“, ამ უკანასკნელის აღქმა სხვა-



დასხვა კულტურების მიერ სხვადასხვა-ნაირად ხდება, რაც რეალობის ენობრივ ფორმებში მანიფესტაციის სპეციფიკაშიც გამოიხატება. ვვარაუდობთ, რომ მენტალიტეტის გაგება შესაძლებელია შესაბამისი ენობრივი ცნობიერების ბაზაზე. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ კონცეპტები „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ენობრივი ცნობიერების სპეციფიკა.

თავისი ბუნებით აზრის ფენომენი გულისხმობს, ერთი მხრივ, ადამიანისგან დამოუკიდებელ მატერიალურ სამყაროს, რომელსაც იგი ასახავს, მეორე მხრივ კი მისი გამოხატვის ვერბალურ საშუალებებს.

აზროვნების პროცესში რეალური სინამდვილე ადამიანის ცნობიერებაში აირეკლება, როგორც დაგროვილი ცოდნა ამ სინამდვილის შესახებ, რომლის რეპრეზენტაციაც ხდება ენის მატერიალურ ფორმებში. ენა უზრუნველყოფს ადამიანის აზროვნების ისეთი ფორმებით ოპერირებას, რომელთა ექსპლუატაცია ხდება ვერბალური ფორმების სემანტიკაში. ამგვარად, აზროვნება არამარტო არსებობს მისი რეპრეზენტაციის ფორმებში, არამედ მისი რეალიზება ხდება კონკრეტულ ვერბალურ ფორმებში. გონებრივი და ენობრივი სტრუქტურების შეფარდებისა და სინამდვილის შემეცნებაში მათი როლის შესწავლამ ფესენკოს, სხვა მკვლევარების მსგავსად, (ჟინკინი, სტეპანოვი და სხვ.), საშუალება მისცა მოეხდინა „აზრის შუალედური ენის“ პოსტულირება, რომელიც, როგორც „მენტალური კონსტრუქციების ენა“, გვევლინება „შუალედური კოდის“ სახით უნივერსალურ საგნობრივ კოდსა და რეალურ მეტყველებას შორის და ახორციელებს ვერბალურ ნიშნებში აზრობრივი კოდის შინაარსის „ტრანსკოდირებას“. მის ერთ-ერთ სტრუქტურულ კომპონენტად ფესენკო თვლის კონცეპტს, რომელიც არსებობს ადამიანის მენ-

ტალურ რეალობაში როგორც ცოდნისა და ინფორმაციის ერთობა, რეალურ სამყაროში არსებულ აქტუალურ ან საქმეთა სავარაუდო ვითარების, ემოციების, განცდების, ასოციაციების და ა. შ. კონტექსტში. მისი როგორც მენტალური წარმონაქმნის აღქმა საშუალებას გვაძლევს კონცეპტუალური სისტემის მატარებლის მენტალური სამყაროს რეკონსტრუირება მოვახდინოთ და გამოვაგვლინოთ მისი ეთნომენტალური მახასიათებლები [Фесенко. 2001: 55-60].

ბოლო ათწლეულების მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს კულტურათა დიალოგის თემა. კულტურულ ანთროპოლოგიაში სხვადასხვა კულტურათა ურთიერთქმედებას ინტერკულტურული კომუნიკაცია ეწოდა. ინტერკულტურული კომუნიკაცია წარმოადგენს დიალოგს განსხვავებულ კულტურათა რეპრეზენტანტებს შორის, რომლებიც თანაარსებობენ განსაზღვრულ სივრცულ-დროით კონტინუუმში. ბუნებრივია, კომუნიკანტები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან და დიალოგის საშუალებით ცდილობენ მიადწიონ ურთიერთგაგებას. ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში ვლინდება როგორც ზოგადკულტურული, ასევე ეთნოსპეციფიკური და ლინგვოპერსონოლოგიური ხასიათი. უცხოურ ენაზე კომუნიკაცია აკულტურაციის პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლის ეფექტურობაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კომუნიკაციური სტრატეგიების სწორად გააზრებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოუმუშავებაზე. ნაშრომი ინტერკულტურულ კომუნიკაციას განიხილავს, როგორც „მოლაპარაკე ცნობიერებათა“ დიალოგს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს განსხვავებული კულტურების წარმომადგენელთა კომუნიკაციური სტრატეგიების რეალიზაცია. ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესი ენობრივ პიროვნებათა დიალოგია,

რომელთაც სამყაროს განსხვავებული ხედვა გააჩნიათ, ხოლო კომპრომისის ძიებაში ხდება თვალსაზრისთა დაახლოვება საკომუნიკაციო ენის ლინგვოკულტუროლოგიურ რესურსებზე ორიენტირებით. თანამედროვე ლინგვისტიკაში, ინტერკულტურული კომუნიკაციის თვალსაზრისით, ენობრივი პიროვნების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ როგორც ენობრივი, ასევე კომუნიკაციის პროცესში დაშვებული სხვა სახის შეცდომების ბუნება. მსგავსი სახის შეცდომების ანალიზი და განზოგადება ინტერკულტურული კომუნიკაციის ჰარმონიზაციის მექანიზმის შესწავლას უწყობს ხელს და ამა თუ იმ ზომით ასახავს ენობრივი პიროვნების ენობრივ და კულტურულ სამყაროს, რადგანაც მასში რეალიზდება არა მხოლოდ ენის სისტემა, არამედ სოციოკულტურული და კოგნიტური სისტემაც. ეს საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია, რადგანაც ინტერკულტურული ურთიერთობა, რომელზეც ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესი, შეიძლება წარიმართოს როგორც პოლიტიკურ და დიპლომატიურ, ასევე ყოფით, პიროვნულ, არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე.

ენა არის კულტურის სარკე, მასში ისახება არა მხოლოდ ადამიანის გარშემო არსებული რეალური სამყარო, არამედ ერის საზოგადოებრივი თვითშემეცნება, მისი მენტალიტეტი, ეროვნული ხასიათი, ცხოვრების სტილი, ტრადიციები, ჩვეულებები, მორალი, ღირებულებები, თვალთახედვა [Тер-Минасова. 2007:8-16]. ენა არის კულტურის მატარებელი, მისი გადამცემი, სწორედ ენის საშუალებით გადაეცემა თაობებს ეროვნული კულტურის განძი. ბავშვი ითვისებს დედაენას და მასთან ერთად ითვისებს წინა თაობების კულტურულ გამოცდილებას (ibid.).

ენა ასევე შეიძლება მოვიხაროთ როგორც კულტურის იარაღი, ერთგვარი ინსტრუმენ-

ტი. ის აყალიბებს ადამიანის, ენის მატარებლის, პიროვნებას, თავს ახვევს მას ენაში არსებულ სამყაროს ხატს, მენტალიტეტს, ადამიანების მიმართ დამოკიდებულებას და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ენა არ არსებობს კულტურისაგან დამოუკიდებლად. ენა გვევლინება ძლიერ იარაღად, რომლის მეშვეობითაც ენობრივი კოლექტივის მიერ კულტურის, ტრადიციების შენახვისა და გადაცემის გზით ხდება ეთნოსის ფორმირება [Тер-Минасова. 2008:18].

### დასკვნა

ამრიგად, ადამიანი გარკვეული კულტურის მატარებელია, განსაზღვრული სოციუმის წარმომადგენელია, რაც განაპირობებს მის ეთნოლინგვო – სოციალურ სტატუსს.

სხვადასხვა კულტურების წარმომადგენელ ადამიანებს შორის ეფექტური კომუნიკაციისათვის ენობრივი ბარიერის გადალახვა სრულიად არ არის საკმარისი. ამისათვის საჭიროა კულტურული ბარიერის დაძლევა.

სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა და ცივილიზებული და მშვიდობისმოყვარე ხალხების ერთმანეთთან ურთიერთობის სურვილმა ლინგვისტიკისთვისაც აქტუალური გახადა ინტერკულტურული კომუნიკაცია და მასში მონაწილე პიროვნებები. ურთიერთობა არამხოლოდ ვერბალური პროცესია. მისი ეფექტურობა, ენის ფლობის გარდა, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე.

### ლიტერატურა

1. Маслова В. А. (2001): Лингвокультурология: учеб.пособие для студ. высш. учеб. заведений. М.: Издательский центр «Академия»
2. Тер-Минасова С.Г. (2008): Язык и межкультурная коммуникация. 3-е изд. М.: Изд-во МГУ

3. Тер-Минасова С. Г. (2007): К вопросу о норме в языке и культуре. в сб.: Тверской лингвистический меридиан, серия: В мире языка. Тверь, том 7. с. 8-16

4. Фесенко Т. А. (2001): Концептуальные основы перевода. Тамбов: Изд-во Тамб. ун-та

5. Жинкин Н.И. (1998): Язык – речь – творчество. М.: Лабиринт

6. Степанов Ю.С. (2001): Константы: Словарь русской культуры. Изд. 2-е, испр. доп. М.: Академический Проект

## **The Role of Language in the Formation of Human Personality**

*Manana Aslanishvili*

*Georgian Technical University*

*Department of Liberal Sciences*

*77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel. : 593 322 820*

*E-mail: manana.58@mail.ru*

### **Abstract**

The article deals with the relationship of language, thought and consciousness. The categorical nature of the concept and its relation to ethnoculture are analysed. By placing a person in the foreground, the anthropocentric paradigm is based on the recognition of the role of language as the main component of human characteristics. Penetrating into all thought processes, language creates a new mental space and brings a person outside the scope of direct observation. It reflects the movement of human thought, builds possible worlds, fixes the dynamics of thought and ways of its representation .by means of language resources.

### **Keywords:**

Language, native speaker, thought, consciousness, ethnoculture, linguoconflictology, mentality, communication.

## **Роль языка в формировании личности человека**

*Асланишвили Манана Анзоровна*

*Грузинский технический университет*

*Департамент либеральных наук*

*Ул. Костава, №77, 0175, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 593 322 820*

*E-mail: manana.58@mail.ru*

### **Резюме**

В статье рассматривается взаимоотношение языка, мышления и сознания, анализируется категориальная природа понятия и его отношение к этнокультуре. Выдвигая человека на передний план, антропоцентрическая парадигма основывается на признании роли языка, как главной составляющей характеристики человека. Проникая во все мыслительные процессы, язык создает новые ментальные пространства и выводит человека за пределы сферы непосредственного наблюдения. Он отражает движение человеческой мысли, строит возможные миры, фиксирует динамику мысли и способы его представления посредством языковых ресурсов .

### **Ключевые слова:**

язык, носитель языка, мышление, сознание, этнокультура, лингвоконфликтология, менталитет, коммуникация.

## ტერმინოლოგია და მისი კლასიფიკაციის მცდელობა

თეა ბორჩხაძე  
საქართველოს საპატრიარქოს  
წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის უნივერსიტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. №53 ა, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 599 107 244  
E-mail: borchkhadze@yahoo.com

### რეზიუმე

სტატია ეძღვნება ტერმინოლოგიის დეფინირების, დარგობრივი ლექსიკისა და მისი კლასიფიკაციის პრობლემის მიმოხილვას, რაც მიუხედავად ამ საკითხებისადმი მეცნიერთა დიდი ინტერესისა, მაინც ღიაა და დაზუსტებას მოითხოვს. ნაშრომში განხილულია დარგობრივი ენის ფარგლებში ტერმინების ფუნქცია/კავშირები და მიმართებები ზოგად ენასთან. ტერმინოლოგიის კლასიფიკაციის საკითხის კვლევისას ყურადღება გამახვილებულია დარგობრივ სიტყვებსა, დარგობრივ გამოთქმებსა და ტერმინებს შორის მსგავსება/განსხვავებების დადგენაზე. წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე გამოყოფილია დარგობრივი ლექსიკის რამდენიმე ტიპი.

### საკვანძო სიტყვები:

ტერმინოლოგია, დარგობრივი ენა, დარგობრივი ლექსიკის კლასიფიკაცია.

### შესავალი

ტერმინოლოგია ამა თუ იმ მეცნიერებასთან ინტეგრირებული დარგობრივი ენის სისტემაა, ტერმინი კი დარგობრივი ლექსიკის ბირთვია. ტერმინოლოგიას ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის სპეციფიკურ ლექსიკასაც უწოდებენ. ამა თუ იმ დარგის ტერმინთა ერთობლიობა ქმნის ენის ლექსიკურ

სისტემაში განსაკუთრებულ სფეროს, ანუ, ტერმინოლოგიას, რომელიც რომელიმე დარგის ტერმინებს იკვლევს [ლევანდოვსკი. 1990:1151]. ტერმინი (დარგობრივი სიტყვა, დარგობრივი გამონათქვამი) შესაძლოა გამოსატულ იქნას ცნებით ან კომპლექსური გამონათქვამით, რომლის მნიშვნელობა და გამოყენება ცალსახა და ერთმნიშვნელოვანია (იქვე).

### ძირითადი ნაწილი

ტერმინი განიმარტება სპეციფიკურ კონტექსტში და წინადადებაში სუბიექტად გვევლინება. „Atomkern ist der im Zentrum gelegene, positiv geladene Teil eines Atoms“ [vgl. Schippan. 1984: 246].

საკითხი იმის შესახებ, თუ სად გადის საზღვარი ტერმინოლოგიურსა და არატერმინოლოგიურს, მაგრამ ფუნქციონალურად დეტერმინირებულ ლექსიკას შორის, ღიაა და დაზუსტებას მოითხოვს. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დარგობრივი ენა არაა დიამეტრალურად, რადიკალურად წინააღმდეგობრივ მიმართებაში ზოგად ენასთან [ჰოიზინგერი. 2004:53]. შესაბამისად,

1. დარგობრივი ენა იყენებს ზოგადი ენის საშუალებებსა და შესაძლებლობებს საგნის, იდეის, პროცესის დარგობრივ ჭრილში აღწერისათვის;

2. დარგობრივი ენის არსენალში შედის სფეროების მიხედვით დიფერენცირებული ტერმინოლოგია, რომელიც, ერთი მხრივ, ზოგადი ენიდანაა მიღებული, მეორე მხრივ კი - სხვა ენებიდანაა ნასესხები;

3. დარგობრივი ენა ზოგადი ენიდან ირჩევს ფუნქციონალურ ლექსიკას დარგისათვის შესაბამის საგანთა მიმართებების აღსაწერად;

4. დარგობრივი ენა იყენებს ხელოვნურ სიმბოლოებს და ფორმულებს, რომლებსაც ხანდახან ტერმინების ღირებულება, შესაბამისად, ტერმინების დატვირთვაც კი აქვთ, მაგ: H<sub>2</sub>O - წყალი.

5. დარგობრივი ენის რეალიზაციის არეალი და მისი გამოყენების სისშირე საკმაოდ მასშტაბურია, თუმცა სტრუქტურული თვალსაზრისით ზოგადი ენის გრამატიკას და გრამატიკულ წესებს ექვემდებარება.

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით მეცნიერთა მრავალგზის მცდელობას მოეხდინათ დარგობრივი ლექსიკის კლასიფიკაცია. მაგალითად, გერმანელი მეცნიერი ვ. შმიდტი (1969:20) დარგობრივ ლექსიკას ყოფს ტერმინებად (სტანდარტული და არასტანდარტული) და ნახევარტერმინებად. ამ უკანასკნელს იგი მიაკუთვნებს პროფესიონალიზმებს და დარგობრივ ჟარგონს. პროფესიონალიზმები ქმნიან ე.წ. გარდამავალ საფეხურს ტერმინსა და დარგობრივ ჟარგონს შორის.

თ. შიპანი მიიჩნევს, რომ (1969:20) დარგობრივი ენების საფუძველს დარგობრივი სიტყვები ქმნის. დარგობრივ სიტყვებს იგი მიაკუთვნებს: 1. ტერმინებს, რომლებიც დარგთაშორის მეცნიერებებს ან სხვა მეცნიერებებს მიეკუთვნებიან, რომელთა საშუალებითაც ხდება ზოგადი სამეცნიერო კვლევების, კვლევის პროცედურებისა და მეთოდების, სხვადასხვა საგანთა და ობიექტთა ნიშან-თვისებების აღწერა. ასეთებია შემდეგი დარგობრივი სიტყვები: აქტუალური, პოზიტიური, ნეგატიური, ინტეგრაციული, ინტეგრირება, პროპორციონალური, ანალიზი, სინთეზი, ფუნქცია, ტრანსფორმაცია; 2. ტერმინებს, რომლებიც აუცილებელია ამა თუ იმ დარგობრივ ენაზე კომუნიკაციისას. ესენია უმეტესად დარგობრივი სიტყვები, რომელთა ფორმირება/ჩამოყალიბება/სრულყოფა ხდება დარგის საქმიანობის ფარგლებში, ამა თუ იმ სფეროსათვის შესაბამისი ქმედებებიდან გამომდინარე, ამავე დარგისათვის ადეკვატურ მეთოდებზე

დაყრდნობით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი გამოყენება ამა თუ იმ კონტექსტსა თუ სიტუაციაში არ უნდა იწვევდეს გაუგებრობას, პირიქით, ისინი ადეკვატურად უნდა აღიქმებოდნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ გარემოცვაში. მიუხედავად ამისა, ეს სიტყვები განსაზღვრული დარგობრივი ენების (ხშირ შემთხვევაში მრავალი დარგობრივი ენის) შემადგენელი ნაწილები არიან, მაგალითად, როგორცაა სისტემატიზაცია, კატეგორიზაცია. ამავე ტერმინებს მიეკუთვნება აგრეთვე ტექნიკური დეტალების აღნიშვნები, სხვადასხვა ნაწილების, დანადგარების, ხელსაწყოების დასახელებები, როგორებიცაა: მემბრანა, სითბოს რეგენერატორი, ტრანსფორმატორი და ა.შ.

ამდენად, დარგობრივი ლექსიკის ტერმინოლოგიურ სფეროს მიეკუთვნება ტერმინები, (მკაფიოდ განსაზღვრული/დადგენილი ტერმინი), სისტემური ნომენკლატურა, კვაზი ან ნახევრადტერმინები, დარგთაშორისი, შესაბამისად, ინტერდისციპლინარული ტიპის დარგობრივი სიტყვები.

დარგობრივი ლექსიკის კლასიფიკაციისას გამოყოფენ შემდეგ ტიპებს:

**ლექსიკა:** სპეციალური ლექსიკა ზოგადი vs. ლექსიკა (არა-ტერმინები);

**სპეციალური ლექსიკა:** პროფესიონალიზმები vs. ტერმინები(ტერმინოიდები);

**პროფესიონალიზმები:** არაწერილობითი vs. წერილობითი;

**ტერმინები:** ჭეშმარიტი ტერმინები vs. კვაზიტერმინები;

**ჭეშმარიტი ტერმინები:** სპეციფიკური ტერმინები vs. რამდენიმე მეცნიერებებისათვის საერთო ტერმინები;

**სპეციფიკური ტერმინები:** გნოსეოლოგიური ტიპის დარგობრივი გამოთქმები, ნომენკლატურა (Filipeck. იქვე).

დარგობრივი ლექსიკის სისტემატიზაციის მცდელობისას, ისახავს რა მიზნად რამდენიმე კრიტერიუმის საფუძველზე დარგობრივი ლექსიკური ერთეულების კლასიფიკაციას, ჰოფმანი გამოყოფს ხუთ ფენას. კრი-

ტერიუმებად იგი ასახელებს: ა) საქმიანობის სფეროს; ბ) კომუნიკაციის პარტნიორს; გ) ნაციონალური ენის არსებობის ფორმებთან ტერმინის ლექსიკურ კავშირს [Hoffman. 1984:70]:

1. ზედა ფენა: ა) თეორიული ფუნდამენტური მეცნიერებები; ბ) მეცნიერები; გ) ელემენტებისა და რელაციების აღწერის; მათი აღნიშვნის ხელოვნური სიმბოლოები.

2. სუბორდინაციული ფენა: ა) ექსპერიმენტული მეცნიერებების ენა; ბ) მეცნიერები და ტექნიკოსები; გ) ხელოვნური სიმბოლოები ელემენტებისათვის, ბუნებრივი ენა რელაციებისათვის.

3. ფენა: ა) გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის ენა; ბ) მეცნიერები და ტექნიკური ხელმძღვანელობა; გ) დარგობრივი ტერმინოლოგიის ძალზე მაღალი წილი.

4. ფენა: ა) მატერიალური პროდუქციის ენა; ბ) სამეცნიერო და ტექნიკური ხელმძღვანელობა, ოსტატები, დარგობრივი მუშახელი; გ) დარგობრივი ტერმინოლოგიის მაღალი წილი.

5. ქვედა ფენა: ა) კონზუმირების/მომხმარებლის, მომხმარებელთა ენა; ბ) მატერიალური პროდუქციის წარმოების ხელმძღვანელები, ოსტატები, დარგობრივი მუშახელი, რომელიც კომუნიცირებს პროდუქტის მომხმარებლებთან; გ) რამდენიმე დარგობრივი ტერმინი, ჟარგონის დიდი რაოდენობა.

გარდა ამისა, ჰოფმანი ცდილობს მოახდინოს შესაბამისი ლექსიკის კლასიფიკაცია კომუნიკაციის ჭრილში, ანუ მისი გამოყენების სფეროს თვალსაზრისით და მისი გათვალისწინებით. ამ კუთხით იგი გამოყოფს შემდეგ ჯგუფებს: ა) დარგობრივ ტერმინებს, 2) ჟარგონს, 3) ბუნებრივი ენის ლექსიკას, ზოგადი ენის ლექსიკას. რაც შეეხება ჟარგონს, მათი შერჩევა/გამოყენება ხდება დილექტანტთან დარგობრივ კომუნიკაციაში დარგის საგანის, მისი ობიექტის განხილვისას. სამეცნიერო შრომებში გამოიყენება შინაარსობრივად უნიფიცირებული, სტანდარტული, მონოსემური ლექსემების

კლასი, ტერმინები ან პროფესიონალიზმები. ისინი ძირითადად არსებითი სახელებით გამოხატული აბსტრაქტული ცნებებია.

### დასკვნა

ენის სისტემაში დარგობრივი ლექსიკის კლასიფიკაცია ხორციელდება სამი კრიტერიუმის საფუძველზე, როგორცაა: საქმიანობის სფერო, კომუნიკაციის პარტნიორი, ნაციონალური ენის არსებობის ფორმებთან ტერმინის ლექსიკური კავშირი. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით და მათ საფუძველზე გამოიყოფა დარგობრივი ლექსიკის ხუთი ფენა. გარდა ამისა, არსებობს აგრეთვე დარგობრივი ლექსიკის კლასიფიკაციის სხვა მცდელობაც კომუნიკაციის ჭრილში, სადაც მკვეთრად იკვეთება დარგობრივი ტერმინი, ჟარგონი და ზოგადი ენა. მათ კვეთაზე ხდება სწორედ დარგობრივი ლექსიკური ერთეულების სისტემური გადანაწილება კომუნიკაციის ინტენციიდან და კომუნიკაციის პარტნიორის ფონური ცოდნიდან გამომდინარე.

### ლიტერატურა

1. Саркисов А. Л. (2007): Основные тенденции формирования и функционирования специальной лексики бухгалтерского учета: Автореф. дис. канд. филол. наук. Краснодар, 2007. - 24 с.
2. Немыка А. А. (2006): О развитии когнитивных оппозиций в лексических подсистемах. Теоретическая и прикладная семантика. Парадигматика и синтагматика языковых единиц. — Краснодар: КубГУ. С. 70-72
3. Чесноков П. В. (2008): Об основных измерениях в языковой системе Текст. / П.В.Чесноков // Филология как средоточие знаний о мире. Юбилейный сб. М.; Краснодар: АПСН; КубГУ. С. 112-114
14. Гумбольдт В. фон (1984): фон. Избранные труды по языкознанию. М.: Прогресс. S397

## **Terminology and the Attempt of Its Classification**

*Tea Borchkhadze*

*Georgian Patriarchal St. Andreas First-Called University*

*53<sup>a</sup> Chavchavadze av., Tbilisi, Georgia*

*Tel.: 599 107 244*

E-mail: borchkhadze@yahoo.com

### **Abstract**

The paper discusses the problems of terminology definition and the classification of special vocabulary, which in spite of the great interest of scientists requires more precise definition. The functions and relationships of special language with the general language are being discussed. In the process of the study of terminology classification, special attention is paid to the manifestation of similarity/difference between special words, special expressions and terms. Several types of special vocabulary are chosen on the basis of the criteria worked out preliminarily.

### **Keywords:**

terminology, special language, classification of special vocabulary.

## **Терминология и попытки ее классификации**

*Борчхадзе Теа Давидовна*

*Грузинский патриарший университет Андриш Первозванного*

*Пр. Чавчавадзе №53а, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 599 107 244*

E-mail: borchkhadze@yahoo.com

### **Резюме**

Статья посвящена формулировке терминологии и классификации специализированной лексики, которая несмотря на огромный интерес ученых, требует более точного определения. Рассмотрены функции и родство специализированного языка с основным. Во время изучения классификации терминологии особое внимание было уделено на установление общности/разницы между отраслевыми словами и терминами. На основе заранее обработанных критериев было выделено несколько типов специализированной лексики.

гии и классификации специализированной лексики, которая несмотря на огромный интерес ученых, требует более точного определения. Рассмотрены функции и родство специализированного языка с основным. Во время изучения классификации терминологии особое внимание было уделено на установление общности/разницы между отраслевыми словами и терминами. На основе заранее обработанных критериев было выделено несколько типов специализированной лексики.

### **Ключевые слова:**

терминология, специализированный язык, классификация специализированной лексики.

## ტერმინოლოგიისადმი სისტემური მიდგომა და მისი არსი

თეა ბორჩხაძე

საქართველოს საპატრიარქოს

წმინდა ანდრია პირველწოდებულის

სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ჭავჭავაძის გამზ. №53 ა, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 599 107 244

E-mail: borchkhadze@yahoo.com

### რეზიუმე

იმ ტიპის ნაშრომთა არარსებობა, რომლებიც განაზოგადებენ ტერმინოლოგიის სისტემურობასა და დინამიკას, მისი ფორმირების თავისებურებებს, მის განვითარებას, ხელს უშლის ტერმინოლოგიის შესწავლასა და მის დახასიათებას. სტატიაში არის მცდელობა შეივსოს ეს დეფიციტი. ენის სისტემაში, რომელიც სტატიაში განხილულია როგორც კონცეპტუალური სისტემა, გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა სხვადასხვა მიმართულებები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არა მხოლოდ საბაზისო ენობრივი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში, არამედ ცოდნის ამ სფეროს სამეცნიერო იდეოლოგიის ჩამოყალიბებაშიც. ნებისმიერი მეცნიერების განვითარების ეტაპების დადგენაში ძირითადი როლი ენიჭება სწორედ მისი ტერმინოლოგიური აპარატის ფორმირების ანალიზს, რამდენადაც მეცნიერების ევოლუცია და მისი ტერმინოლოგიური აღჭურვა უერთიერთგანპირობებულია: პირველი წარმოდგენელია მეორის გარეშე და პირიქით.

### საკვანძო სიტყვები:

ტერმინოლოგია, სისტემური მოდგომა, საენობრივი ასპექტი, ფუნქციონალური ასპექტი, ისტორიული ასპექტი.

### შესავალი

ტერმინოლოგია ტერმინთა ერთობლიობაა, რომელიც, ერთი მხრივ, მეცნიერების ყველა დარგის კუთვნილებაა, ხოლო, მეორე მხრივ, შეესაბამება მათ და აკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნებს, როგორცაა მიზანშეწონილობა, მოწესრიგებულობა, სისტემურობა და ა.შ. ტერმინოლოგიის ფორმირებისა და შემუშავების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ და უწყვეტ პერიოდს მოითხოვს. მისი ფორმირების პროცესს განაპირობებს სამეცნიერო დარგის სპეციფიკა და მის კომპონენტებს შორის რთული ურთიერთმიმართება, მისი საგანი, ობიექტი და მიზნები.

უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც ცოდნის სხვადასხვა დარგების მეცნიერთა ყურადღება აქტიურადაა მიმართული როგორც სამეცნიერო ცოდნისადმი სისტემური მიდგომისაკენ, ასევე ზოგადად კოგნიტიური პროცესებისადმი. სისტემური მიდგომის არსი და ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვაძლევს პრინციპებს, რომლებიც ფორმულირებულია სშირად ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ, ერთმანეთისაგან დაშორებულ სამეცნიერო სფეროებში, თუმცა ეჭვს არ იწვევს მათი გამოყენების ჭეშმარიტება და სანდოობა ნებისმიერ სისტემასთან მიმართებაში.

ასეთი მიდგომა გეიქმნის მნიშვნელოვნად სრულყოფილ წარმოდგენას მიმდინარე პროცესების არსის შესახებ. იგი ფუნდამენტურად განსხვავდება იმ ტიპის წარმოდგენისაგან, რომელიც შესაძლებელია მიიღოს მკვლევარმა რომელიმე კონკრეტულ დარგთან მიმართებაში არა სისტემური მიდგომის, არამედ ტრადიციული ლოგიკის ჩარჩოებში მოქცეული მიდგომის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს სისტემური პრინციპების გამოყენების კიდევ ერთი ძლიერი მხარე – სისტემის განვითარების ზუსტი



პროგნოზირების შესაძლებლობა, რაც ერთ-ერთია იმ აუცილებელ ასპექტთა შორის, რომლებიც ნებისმიერ თანამედროვე კვლევას მოეთხოვება. მისი პრინციპების უნივერსალურობა, რომლებიც ფორმულირებულია სისტემური ანალიზის თეორიის ჩარჩოებში და გამოიყენება სისტემის ნიშან-თვისებების მქონე სხვადასხვა ობიექტებთან მიმართებაში, სასურველ ნიადაგს ქმნის სისტემური მიდგომის ფარგლებში, გაკეთდეს სწორი პროგნოზები.

### **ძირითადი ნაწილი**

პროცესებისადმი სისტემური მიდგომის დროს სამეტყველო საშუალებები და თავად შეტყობინებები არ განიხილება როგორც ამა თუ იმ სისტემის იზოლირებული ნიშნები ან ელემენტები – მათზე დაკვირვება და მათი კვლევა წარმოებს მთელ რიგ სხვა სისტემებთან ურთიერთობის დინამიკაში, რომლებიც არსებობს კონკრეტულ იერარქიაში.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ფონ ბერტალანფის იდეის საფუძველზე, სისტემურ მიდგომაში იგულისხმება ის მიდგომა, რომელიც გვაძლევს ადეკვატურ წარმოდგენას რთული დინამიური სისტემის შესახებ მისი კვლევის სამი პლასტის ერთმანეთთან დაკავშირების გზით, ესენია: საგნობრივი, ფუნქციონალური და ისტორიული [ბერტალანფი.1969).

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე სისტემური კვლევის საგნობრივი ასპექტი გვაძლევს საშუალებას, პირველ რიგში, აღვიქვათ სისტემის ცნება იმ ელემენტთა ერთობლიობად, რომლებსაც გარკვეული კავშირები აქვთ ერთმანეთთან და რომლებიც ერთობლიობაში და არა განცალკევებულად ფუნქციონირებენ. ამას გარდა, სისტემური კვლევის საგნობრივი ასპექტი საშუალებას გვაძლევს გავშიფროთ, ავხსნათ გარემო და მისი ელემენტები და აღვიქვათ ისინი სის-

ტემის გარემოცვად, რომელსაც მასთან აქვს ორმხრივი კავშირი. სისტემის ელემენტების, ანუ მისი შემადგენლების შესწავლა მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება შეზღუდული იყოს მისი შემადგენელი ელემენტების მხოლოდ აღმოჩენა-გამოვლენით – ამ მიზანს წარმატებით ემსახურებოდა ტრადიციული, წმინდა ანალიტიკური მიდგომა. რაც შეეხება სისტემურ მიდგომას, რამდენადაც იგი გამომდინარეობს შესასწავლი სისტემისადმი იმგვარი მიდგომით, რომ შეიქმნას მასზე მთლიანი წარმოდგენა, ამდენად ელემენტების და ქვესისტემების გამოყოფამ, რაც ქმნის ამ სისტემის მთლიანობას, უნდა წარმოადგინოს მისი ელემენტები, ერთი მხრივ, როგორც აუცილებელი და, მეორე მხრივ, როგორც საკმარისი შემადგენლები, რათა შესაძლებლად იქნეს მიხნეული ამ მოცემული სისტემის არსებობა.

ამ ამოცანის გადაჭრის ეფექტური გზაა განვიხილოთ შესასწავლი სისტემა როგორც რაღაც მეტასისტემის ნაწილი, ანუ იმ გარემოსა და იმ გარემოცვაში, რომლის შემადგენლებსაც ისინი წარმოადგენენ და რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ. მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ სისტემის წარმოშობის, არსებობისა და დანიშნულების კანონზომიერებები – დავადგონით სისტემის მთავარი როლი, რომელსაც იგი ასრულებს იმ მეტასისტემის ფარგლებში, რომლის შემადგენელიც თვითონაა. სისტემის შესახებ იმ ინფორმაციის მიღება, რომელსაც იძლევა მისი ელემენტარულ-სტრუქტურული ანალიზი, საშუალებას გვაძლევს გადავიდეთ მისი ფუნქციონირების შესწავლაზე, მაგრამ ამასთან უკვე შეუძლებელი ხდება სისტემის განხილვა აბსტრაქტულად, მოწყვეტით მისი გარემოდან. ამ კანონზომიერებას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩენსოკოვი. სისტემური ანალიზის ფუნქციური ასპექტი გვაძლევს საშუალებას გამოვიკვლიოთ შიდასისტემური მიმართებების მექანიზმები. (მისი შემადგენელი ელემენტ-

ების ურთიერთქმედება) და გარესისტემური მექანიზმები (სისტემის დამოკიდებულება/ მიმართება გარემოსთან) [ჩენსოკოვი. 1989].

სისტემის შიდა ფუნქციონირების კვლევა ხდება ორი პირობის გათვალისწინებით: ერთი მხრივ, მისი ელემენტების შემადგენლებით და სტრუქტურით, ხოლო, მეორე მხრივ, მისი გარეგანი ფუნქციით, რომელიც განსაზღვრავს სისტემის ყველა ელემენტის ურთიერთქმედების ხასიათს.

რაც შეეხება სისტემის გარეგან ფუნქციონირებას, იგი ორმხრივია, რაც იმაში გამოიხატება, რომ გარემო ზემოქმედებს მასში არსებულ სისტემაზე, ხოლო სისტემა, თავის მხრივ, შერჩევის საფუძველზე აღიქვამს და გადაამუშავებს ამ ზემოქმედებას თავის შინაგან ბუნებასთან შესაბამისობაში, ამასთანავე თვითონ აქტიურად ზემოქმედებს გარემოზე, შეგნებულად ან შეუგნებლად, წინსაწარი განზრახვით ან მის გარეშე.

განსახილველ საკითხთა აქტუალობა ორგანულ კავშირშია ლინგვისტურ პრობლემებთან. ნიშნის თეორიის თანამედროვე დინამიკას მივყავართ ენათმეცნიერების პრობლემურ საკითხთა სფეროს გაფართოვებისკენ, რაც თავის მხრივ ტერმინთ-მცოდნეობასაც გულისხმობს და მოიცავს. ასე მაგალითად, ნიშნის, როგორც ერთიანი სისტემის ელემენტის გაგებას, რომელსაც აქვს თავისი საზღვრები, რომლისთვისაც განსაზღვრულ ჩარჩოებში დასაშვებია სხვა სისტემებთან შეხება და ის ურთიერთქმედებაშია მათთან, მაგრამ არ ითვალისწინებს მათთან შერევას [ნიკოლაევი. 2006:27] მივყავართ რა ლინგვისტური კლასიფიკაციის დაზუსტებამდე, ის ახდენს სისტემურობის, ვარიანტულობის და ტერმინის დინამიზმის შესაბამის დამუშავებას. ამასთანავე ეს დამუშავება შეხებაშია უფრო რთულ ენობრივ პროცესებთანაც – კერძოდ, სამეცნიერო ტექსტის კომპრესიასთან [ვირენკო. 2004:185-200], რისი ახსნაც შეიძლება ზოგადლინგვისტური კონცეფციების საფუძველზე.

აღნიშნული აქტუალიზაცია დაკავშირებულია ენათმეცნიერების სამ ტენდენციასთან. ეს, პირველ რიგში არის სისტემურობის განზომილებათა რესტრუქტურისაცია. იგი შეინიშნება ტერმინების ანალიზისადმი ტრადიციული პრინციპებით მიდგომის დროსაც კი, მაგალითად, ტერმინების სტრუქტურულ-სემანტიკური აღწერისას. [პაპაზიანი. 2007]. ტერმინის მიმართ სისტემური მიდგომა აქტუალიზდება მაშინ, როცა ყურადღების ცენტრში ექცევა პროდუქტიული და ნაკლებად გამოკვლეული პროცესები, ისეთები, როგორებიცაა კონვერსია, მეტაბოლიზმი, ანტროპოცენტრიზმი, ტერმინთწარმოქმნელ სემათა იმპლიცირება. [აპალკო. 2007].

მეორე მხრივ, ტერმინისადმი სისტემური მიდგომის აქტუალიზაციას ხელს უწყობს ასპექტურობის როგორც ობიექტის განსაკუთრებული მახასიათებლის კვლევა. [შპიგარი. 2007, სარკისოვი. 2007]. ამასთანავე სწორედ ტერმინთა მასალა გვაძლევს საშუალებას დავამკვიდროთ ასპექტები, რომლებიც არსებითია ენობრივი სისტემის და მისი რეალიზაციის ცალკეული ერთეულებისა და ფენომენებისათვის.

ლინგვისტიკის მესამე ტენდენცია, რომელიც ახდენს ტერმინისადმი სისტემური მიდგომის აქტუალიზაციას, ესაა მისი დაზუსტება დინამიკაში. სისტემურობისა და დინამიურობის ერთიანობას, რომელიც სულ უფრო აქტიურად გამოიყენება ლინგვისტური ობიექტების ანალიზისთვის, აქვს განმარტებითი ძალა ტერმინოლოგიისთვისაც. იგი აღრმავებს წარმოდგენას ტერმინთა ისეთ აქტუალურ თვისებაზე, როგორიცაა მათი კავშირი კოგნიტიურ ოპოზიციებთან [ნემიკა. 2006]. ეს ეხება სისტემურობის ახლებურ გაგებასაც: “მას შემდეგ, რაც ვიტყვით რა უარს იმაზე, რომ ენობრივი სისტემის ყველა ქვესისტემა ერთ რიგში განვალაგოთ, საჭიროა დადგინდეს ამ სისტემის ძირითადი სტრუქტურული ფენები, რომელთა გადაკვეთის საფუძველზეც აიგება მათი სრულყოფილი

სტრუქტურა, და შემდეგ, თითოეული ფენის ფარგლებში გამოვავლონოთ ენობრივი ფაქტების ქვესისტემის შესაბამისი სტრუქტურა.“ [ჩხენოკოვი. 2008:112]

მოცემული აქტუალიზაცია, რომელიც ცალსახადაა განსაზღვრული მონოლინგუურ ჭრილში, ახალ ძალებს იკრებს ენათაშორისი კორელაციებით ნაკლებად გამოკვლეულ საკითხებში, იმ ფონზე, რომ ბილინგვიზმი იქცა თანამედროვე ენათაშორისი კომუნიკაციის ყველაზე უფრო აშკარა ბუნებრივ მოვლენად. ეს მნიშვნელოვანწილად აისახება გლობალიზაციის უნივერსალური ტენდენციებით ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ, განმანათლებლურ, რელიგიურ-სულიერ და ადამიანთა საქმიანობის სხვა სფეროებში. ასეთი მიდგომა აღრმაგებს ტერმინთა სისტემურ აღქმას.

### დასკვნა

თითოეული დარგის ტერმინოლოგია ობლიგატორული კონცეპტუალურ-ენობრივი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ენობრივი სისტემის ყველა დონის ადეკვატურ აღწერას, ხოლო, მეორე მხრივ, ენის სწავლისა და სწავლების პროცესების ოპტიმიზაციას. ის ახდენს ენის დონეების სტრუქტურისა და ევოლუციის დემონსტრირებას. ტერმინოლოგიური სიჭრელე მეტყველებს იმაზე, რომ ტერმინოლოგია თავის სათავეს საუკუნეების წიაღში იღებს, რომ მისი ფორმირება ხდებოდა დიდი ხნის მანძილზე და რომ მასში ასახულია სხვადასხვა ეპოქების წერილობითი ენის თავისებურებები, რომელიც ჩამოყალიბდა შიდა და გარე ფაქტორების ზეგავლენით. ეს ბუნებრივია, რადგან, როგორც ჰუმბოლდტი წერს, “შიდა და გარე სამყაროს ცალკეულ საგანთა აღნიშვნა ღრმად სწვდება გრძნობით აღქმას, ფანტაზიას, ემოციას

და ყველა მათგანის ურთიერთმოქმედების წყალობით აღწევს ეროვნულ ხასიათამდე, რადგან სწორედ აქ ხდება ადამიანის შერწყმა ბუნებასთან, საგნობრიობა, ნაწილობრივ მართლაც რომ მატერიალური, – ერწყმის ფორმირების პროცესში მყოფ სულს. ამ სფეროში, შესაბამისად, უფრო აშკარად იგრძნობა ეროვნული თვითმყოფადობა“ [ჰუმბოლდტი. 1984:104].

### ლიტერატურა

1. Берталянффи Л. Фон (1969): Общая теория систем. М.: Прогресс, 1969.369 с.
2. Чесноков П. В. (1989): О двух языковых картинах мира – статической и динамической. Известия СКНЦ. Общественные науки. Ростов н/Д. № 3. - С. 68-69
3. Николаев С. Т. (2006): О вариантности языкового знака при билингвизме. Лингвистические и культурологические аспекты многоязычной деятельности (состояние и перспективы). Ростов н/Д: РГУ. С. 26-35
4. Гиренко Л. С. (2004): Один из возможных путей изучения плотности научного текста. Стереотипность и творчество в тексте. Пермь: ПГУ. Вып. 7. - С. 185-203
4. Папазян А. А. (2007): Структурно-семантическое описание терминов менеджмента (на материале экономической лексики): Автореф. дис. канд. филол. наук. Краснодар. - 22 с.
5. Апалько И. Ю. (2007): Конверсия в военной терминологии. Дискурс: концептуальные признаки и особенности их осмысления. Краснодар: КубГУ. - С. 7-11
6. Шпыгарь Е.В.(2007): Лингвистическая аспектность учебно-научных текстов по экономике: Автореф. дис. канд. филол. наук. Краснодар. 24 с.

## **System Approach to Terminology and its Essence**

*Tea Borchkhadze*

*Georgian Patriarchal St. Andreas First-Called  
University*

*53<sup>a</sup> Chavchavadze av., Tbilisi, Georgia*

*Tel.: 599 107 244*

*E-mail: borchkhadze@yahoo.com*

### **Abstract**

Non-existence of the works generalizing the systematicity and dynamics of terminology, peculiarities of its formation and development, prevents from the study and characterization of terminology. In the language system which the paper discusses as a conceptual system, were created different directions which played an important role not only in the formation of basic language terminology but in the establishment of the scientific ideology in this sphere of knowledge. In the ascertainment of the development stages of any science, the main role is conferred on the analysis of its terminology apparatus as the science evolution and its equipment with terminology is interstipulated. One is inconceivable without the other and vice versa.

### **Keywords:**

terminology, system approach, object aspect, functional aspect, historical aspect.

## **Системный подход к терминологии и суть этого подхода**

*Борчхадзе Tea Давидовна*

*Грузинский патриарший университет Андриш  
Первозванного*

*Пр. Чавчавадзе №53а, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 599 107 244*

*E-mail: borchkhadze@yahoo.com*

### **Резюме**

Отсутствие такого типа работ, которые смогли бы обобщить систему и динамику терминологии, формирование особенностей их развития, мешают изучению и характеристике терминологии. Статья рассматривает концептуальную систему языка, где созданы различные направления, которые играют важную роль не только в формации основной терминологии языка, но и в установке научного мировоззрения данной сферы знаний. В установке стадий развития науки основную роль играет анализ формирования аппарата терминологии, который представляет собой эволюцию в науке, а так же ее оснащение терминологией взаимно обусловлены. Одно невозможно без другого и наоборот.

### **Ключевые слова:**

Терминология, системный подход, аспект предмета, функциональный аспект, исторический аспект.

## Discours politique et social - Compétences nécessaires

*Tamar Gagochidzé*

*Université d'Etat Ivané Djavakhichvili de Tbilissi*

*Faculté des Sciences Humaines*

*36 av. Tchavtchavadzé, 0179, Tbilissi, Géorgie*

*Tél. : 571 270 011*

E-mail : tamar\_geo@yahoo.fr

*Ketevan Gabunia*

*Université d'Etat Ivané Djavakhichvili de Tbilissi*

*Faculté des Sciences Humaines*

*36 av. Tchavtchavadzé, 0179, Tbilissi, Géorgie*

*Tél. : 599 201 099*

E-mail : keti\_gabunia@yahoo.com

### Résumé

L'article représente une démarche qui a pour but d'essayer de construire un schéma des compétences nécessaires pour l'exposition correcte du discours politique ou celui social. Cette approche permettra de spécifier les connaissances relatives à la communication par le langage et les gestes ce que nous suivons régulièrement au cours de l'époque actuelle.

Le discours politique, comme un objet d'études scientifiques se constitue à partir des signes linguistiques qui sont étroitement entre liés et dont le résultat à atteindre est d'influencer le raisonnement des gens. C'est une alliance des éléments socio-culturels dont l'analyse du point de vue psycholinguistique lui attribue une image bien définie.

L'objectif principal et incontestable de la construction du discours est l'auditeur et souvent toute la société du pays. Par conséquent, d'après les scientifiques contemporains, les techniques de construction des discours doivent être appropriées au citoyen à partir de ses études à l'école.

Les sources méthodologiques de l'ouvrage sont basées sur les études réalisées en 2007 sous la forme de « Proposition pour la conférence de Prague » qui concernent surtout l'apprentissage de l'histoire.

### Mots clés:

discours, politique, citoyen, auditeur, langue, construction, texte, histoire.

### Introduction

Plusieurs branches scientifiques s'intéressent à étudier et à analyser les différentes approches du discours politique dont la linguistique et la psycholinguistique jouent les rôles principaux.

Il faudrait prendre en considération le fait que la société contemporaine se caractérise par la nécessité de la communication politique ce qui est directement provoqué par l'épanouissement de l'idéologie démocratique dans les milieux sociaux et ceux politiques.

De nos jours les problèmes et les possibilités de leurs solutions sont discutés de la façon publique. En plus, les résolutions finales dépendent de l'avis des auditeurs qui représentent souvent l'opinion de la société de tout le pays. Pendant les années dernières cet aspect du discours politique devient de plus en plus attirant pour les médias et les scientifiques de différents domaines.

Il est également à noter qu'il existe toujours les questions qui exigent plus d'attention et de longues études. Les résolutions des problèmes actuels, à cause de leur caractère cognitif, dépendent étroitement du domaine de la science relativement récente – la psycholinguistique. Par conséquent, la science actuelle ne propose pas de schémas concrets et définitifs pour expliquer les phénomènes du discours politique.

Notre ouvrage fait en partie une tentation scientifique qui essaie de présenter les études réalisées pour mettre en valeur des aspects langagières, psycholinguistiques et ceux éducatifs du discours politique.

Du point de vue des chercheurs de l'Union Européenne l'art de construction du discours doit faire partie des disciplines scolaires - «Les langues de l'éducation ont pour rôle au sein de l'institution sco-

laire de structurer et d'accompagner la formation/instruction d'acteurs sociaux. Les finalités vers lesquelles tend cette formation sont celles qui sont partagées par les Etats membres du Conseil de l'Europe comme fondement de la vie en société dans l'espace européen» (Stradling 2001, 8).

Par conséquent, la scolarisation devrait avoir pour responsabilité de «former de futurs citoyens et de développer leurs potentialités, en leur donnant les instruments nécessaires à la vie en dans tous ses aspects (relations personnelles, activités professionnelles, activités de loisir...) et en leur permettant de comprendre les valeurs fondatrices de la vie démocratique et de les intégrer à leur éthique personnelle» (Stradling 2001, 8).

### **Partie principale**

Le rôle de l'interlocuteur (du lecteur pour le texte écrit) a déjà été conçu par les philosophes du monde antique et les études contemporaines consacrées au sujet de l'idée cachée entre les phrases prouvent l'importance de cet aspect. L'imagination du lecteur (de l'interlocuteur) construit l'image complète du discours prononcé en l'orientant vers un objectif bien défini.

Il devient évident qu'en prononçant ou en écrivant son texte chaque personne pense à la réaction de l'imagination de son interlocuteur. Les études littéraires contemporaines ont révélé le grand nombre d'outils utilisés par les auteurs pour évoquer les images concrètes, c'est-à-dire la réaction sentimentale ou réaliste attendue par les narrateurs.

Par contre, le discours politique veut influencer la conscience de son auditeur, il est aussi capable de créer une nouvelle idéologie dans l'esprit de la société où les connaissances de l'histoire jouent un des rôles principaux. Le discours politique utilise les capacités humaines – l'imagination et la créativité. Il est à noter que le but principal des politiciens ce n'est pas la coopération avec les auditeurs, mais ils tentent d'attribuer une forme concrète aux images cognitives et effacent le caractère individuel de la

personne. Ici, l'image créée par l'auteur, à l'aide des moyens et éléments linguistiques et intellectuels, s'installe dans le raisonnement des hommes et par conséquent, impose des limites à l'imagination personnelle. À cause de ce caractère du discours politique, beaucoup de scientifiques, chercheurs ou gens intellectuels nous conseillent régulièrement de se montrer vigilants en écoutant telle ou telle parole prononcée.

Comme l'objectif principal du discours est la société, les experts du monde européen affirment que la scolarisation doit déjà avoir pour responsabilité de préparer les apprenants à «gérer efficacement les situations dans lesquelles l'histoire est impliquée. Ce sont des activités sociales relevant de différents domaines. L'histoire est présente dans de multiples instances de la vie sociale, puisqu'elle est la discipline des sciences humaines et sociales la plus perméable aux idéologies, aux représentations sociales, aux stéréotypes et une des « matières premières » (Robin 1974, 24) pour les constructions identitaires». L'histoire est une discipline nécessaire pour l'orientation correcte de la personne.

5. Funk R. W. (1966): Language, hermeneutic, and word of God: The problem of language in the New Testament and contemporary theology. New York: Harper & Row Publishers

6. Gowler D.B. (2000): The Parables? New York: Paulist Press

7. The Holy Bible. English Standard Version Copyright © 2001 by Crossway Bibles. A publishing ministry of Good News Publisher

### ინტერნეტ რესურსები

1. <http://www.spekali.tsu.ge>
2. <http://www.rc.net/wcc/parable1.htm>

### Semantic and pragmatic Similarity and difference between two English terms „A Fable “ and „A Parable “

*Tamila Dilaverova*  
*Shota Rustaveli State University*  
*Europeistics Department*  
*35 Ninoshvili str., 6010, Batumi, Georgia*  
*Tel: 555 291 948*  
*E-mail: tamunadilaverova@gmail.com*

### Abstract

This article deals with actual issues of similarity and difference between two terms „A Fable“ and „A Parable “ caused by their semantic and pragmatic peculiarities. Georgian language uses only one term „იგაგ-არაკი“, but English language uses two terms: „A Fable “ and „A Parable “. „A Parable “ is the term, that is used for Christ’s stories, and parables are about spiritual values while „Fables“ are stories about animals, plants. „Fables“ mainly use the allegory in order to show bad qualities of people.

The article contrasts both of the fables and gives different scientists’ ideas about the problem of their similarity and difference.

**Keywords:**

Fables, Parables, Allegory, Pragmatic, Similarity, contrast

**Семантическое и прагматическое сходство и различие между двумя английскими терминами „A Fable“ и „A Parable“**

*Дилаверова Тамила Кемаловна*

*Батумский государственный университет*

*им. Шота Руставели*

*Департамент Европеистики*

*ул. Ниношвили №35, 6010, Батуми, Грузия*

*Tel.: 555 291 948*

*E-mail: tamunadilaverova@gmail.com*

**Резюме**

Статья посвящена актуальным проблемам прагматическо-семантических сходств и различий между двумя типами басен. В то время

как в грузинском языке существует только один термин «басня», в английском употребляются два термина “Fables” и “Parables”. Термином “Parables” обозначают притчи, рассказывающие об Иисусе Христе, которым свойственен целый ряд отличий. В статье показан противопоставительный анализ этих двух видов басен, а также представлены мнения разных ученых по данному вопросу. Персонажами притч (“Parables”), в основном, являются люди, а основное внимание уделяется духовным ценностям. В баснях же (“Fables”) персонажами выступают животные, а для разоблачения порочных качеств прибегают к аллегории.

Статья контрастирует оба басен и дает идеи различных ученых о проблеме их сходства и различия .

**Ключевые слова:**

басни, притчи, аллегории, прагматика, сходство, контраст.

## იგავ-არაკების თარგმანის თავისებურებები

თამილა დილავეროვა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ნინო შვილის ქ. №35, 6010, ბათუმი,

საქართველო

ტელ.: 555 291 948

E-mail: tamunadilaverova@gmail.com

### რეზიუმე

სტატია განიხილავს იგავ-არაკების თარგმანის თავისებურებებს სხვადასხვა ენებში. იგავ-არაკის როგორც ჟანრის შესწავლა აუცილებელია ლინგვოკულტუროლოგიური კუთხით, რაც გულისხმობს წყარო ტექსტებში არსებულ კულტურულ-რელიგოზურ ინფორმაციის დეკოდირებას ლინგვისტიკური ხერხების საშუალებით. ადეკვატური თარგმანის განსახორციელებლად, მთარგმნელს ღრმა ფონური ცოდნა სჭირდება. თარგმანის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას კულტურული წარმოდგენები, ფასეულობები და კომუნიკაციური ასპექტები. სტატია აანალიზებს, თუ როგორ ხდება ტრანსფორმირებული ერთეულების გადატანა წყარო ენიდან სამიზნე ენაში.

### საკვანძო სიტყვები:

თარგმანი, იგავ-არაკი, კულტურულ-ნაციონალური, ლინგვოკულტუროლოგია.

### შესავალი

თანამედროვე საზოგადოებაში კულტურათმორისი ურთიერთობები აქტიურად ხორციელდება, ურთიერთობების წარმატების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი ადეკვატური თარგმანია, რომლის საშუალებითაც ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა გაეცნოს

და შეისწავლოს ამა თუ იმ კულტურის ნაციონალურ-სპეციფიკური ხასიათი. თარგმანი გულისხმობს მთელი რიგი თავისებურებების გათვალისწინებას, განსაკუთრებით შრომატევადი კი მხატვრული ტექსტების თარგმნაა. იგავ-არაკი მცირე ზომის მხატვრული ნაწარმოებია, სადაც ყურადღების ცენტრში მორალია, შესაბამისად იგავ-არაკის თარგმნისას მთარგმნელს მთელი რიგი ეროვნული თავისებურებების გათვალისწინება უწევს, რადგანაც ყოველ ერს სხვადასხვა ღირებულებები და განსხვავებულად კონსტრუირებული სამყაროს ეროვნული ხატი აქვს.

### ძირითადი ნაწილი

თანამედროვე მსოფლიოში კულტურათა ურთიერთქმედება წარმოადგენს უშუალო კავშირს, რომელიც სულ მცირე ორ კულტურას შორის ყალიბდება და უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კულტურათმორის ურთიერთობებში ხშირად ვაწყდებით ძირეულ სხვაობებს, რაც ზოგჯერ კომუნიკაციური კრახის წინაპირობაა. აქედან გამომდინარე, წარმატებული და ეფექტური კომუნიკაციის მისაღწევად, კულტურათმორის ურთიერთობებში აუცილებელია კომუნიკაციაში ჩართულ მონაწილეთა ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინება. ამ თავისებურებებს მიეკუთვნება ყოველი ერის სამყაროს ენობრივი ხატის ნაციონალურ-კულტურული თავისებურება და მოცემული ერის წარმომადგენელთა კომუნიკაციური ქმედების ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა.

სამყაროს ენობრივი ხატის ჩამოყალიბება-განვითარებაში, სადაც მოიაზრება კულტურული წარმოდგენების, შეფასებებისა და ქცევის ნორმების შენახვა, კონსტრუირება და თარგმანი, უდიდეს როლს ხალხური ტექსტები თამაშობენ, რომელთა შორის იგავ-არაკებს, აქვთ რა ზნეობრივ-დიდაქტიკური



მიმართულება, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ. იგავ-არაკის ნაირგვარ ინტერპრეტაციას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც ლინგვოკულტურული ნაციონალური თავისებურებების, ასევე მათთან დაკავშირებული კულტურული სტერეოტიპების, ნორმების და შეფასებების შესწავლაში. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ ტრადიციული იგავ-არაკების სიუჟეტების ინტერპრეტაციების მასალებზე დაყრდნობით, იგავ-არაკის ჟანრის ლინგვოკულტუროლოგიული კუთხით შესწავლის აუცილებლობას, რაც გულისხმობს წყარო ტექსტებში არსებულ კულტურულ-რელიგიანტური ინფორმაციის დეკოდირებას ლინგვისტური ხერხების საშუალებით.

ფაბულური ფორმულების ტიპოლოგიზაციის შედეგად მიღებულმა განმსაზღვრელმა კრიტერიუმებმა, ტრადიციული გმირებით და გარემოებებით, ჩამოაყალიბა იგავ-არაკების ენის ტიპური სტრუქტურულ-სემანტიკური სახე. მიუხედავად ამისა, იგავ-არაკულმა ჟანრმა თითოეულ ერში თავისებური კულტურულ-ნაციონალური აღქმა მიიღო, ტრადიციული იგავ-არაკის სიუჟეტების ავტორიზებული თარგმანის შექმნისას, მეიგავეებმა იგავ-არაკის მოდელი ახალი შინაარსით შეავსეს, რომელიც სხვადასხვა კულტურებში კულტურულ-ნაციონალური, სოციალურ-ისტორიული და ეკონომიკურ-პოლიტიკური თავისებურებით ვლინდება. რეციპიენტი, ტექსტში იმპლიცირებულ ინფორმაციას სწორედ ამ მახასიათებლების მიხედვით აღიქვამს. განსხვავებული და მრავალფეროვანი ნაციონალური ფონი კი იგავ-არაკის ჟანრის მასშტაბური კვლევის საშუალებას იძლევა. ლინგვისტები ახორციელებენ ნაციონალურ-კულტურული კომპონენტების შედარებით ანალიზს, რომელიც სხვადასხვა კულტურებისთვისაა დამახასიათებელი.

იგავ-არაკის მრავალმხრივი ინტერპრეტაციის ეთნოკულტურული წარმოშობა გან-

პირობებულია ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკისთვის დამახასიათებელი სისტემით, რომელიც ზემოქმედებას ახდენს სხვა კულტურებში არსებული ტექსტების თავისებურ აღქმა-გაგებაზე. იგავ-არაკების თარგმნის პროცესი სხვადასხვა ენებში განსხვავებული მიდგომებით ხასიათდება, რადგანაც მთარგმნელის მიზანია იმ კულტურული წარმოდგენების რეალიზაცია, რომელთაც კონკრეტულ კულტურაში უდიდესი დატვირთვა აქვთ. ხშირად ერთი იგავ-არაკის სიუჟეტი სხვადასხვაგვარად ითარგმნება, რადგან კულტურის ცნებები, სახეები არ უნდა იქნეს დაკარგული ან ბუნდოვნად გადმოცემული. შესაბამისად, იგავ-არაკის ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეულების შერჩევა ეთნო-ლინგვოკულტურული სივრცის კულტურულ-ლინგვისტიკური პარამეტრების შესაბამისად ხდება. ერთ-ერთი ხერხია ამა თუ იმ ეთნოსის წარმომადგენელთა მეტყველებითი ქცევისა და ენობრივი შეგნების ინფორმაციის სპეციფიკაზე ყურადღების გამახვილება. იგავ-არაკის თარგმნისას ყოველთვის დიდი როლი ენიჭებოდა იგავ-არაკის თხრობის ხელოვნებას, თხრობის გადმოცემის სტილს, მანერას, ავტორების დამოუკიდებლობას მშობლიურ ენაში მკაფიო ფერებისა და მხატვრული დეტალების პოვნაში.

იგავ-არაკების ფაბულური მოდელები ინტერნაციონალურია, მაგრამ მათი ლექსიკური შევსება ინდივიდუალურია, კონკრეტული ენის სტრუქტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, დამოკიდებულია რა იმანენტურ თვისებებზე, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სამყაროს ენობრივი ხატის ნაციონალურ სპეციფიკასთან. პირველ რიგში, იგავ-არაკის ინტერპრეტაციების ნაციონალური სპეციფიკა ვლინდება სხვადასხვა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების მიერ ხშირი გამოყენების ხარჯზე, რომლებიც შეიცავენ კულტურულ კომპონენტებს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ

იგავ-არაკის ტექსტებში სამყაროს ენობრივი ხატის ნაციონალური თავისებურებების რეალიზაცია ხდება ენის გრამატიკულ დონეზე, სამიზნე ენებისათვის დამახასიათებელი სინტაქსურ-სტრუქტურულ-მორფოლოგიური კატეგორიების მეშვეობით. აღნიშნული კატეგორიები ფართოდ გამოიყენება იგავ-არაკის თარგმანებში.

იგავ-არაკების ინტერპრეტაციების ნაციონალური სპეციფიკა ვლინდება არამხოლოდ ლექსიკურ-გრამატიკულ დონეზე, არამედ კომუნიკაციური ქცევის დონეზეც, რომლითაც იგავ-არაკების პერსონაჟები ხასიათდებიან. იგავ-არაკების პერსონაჟები, რომლებიც განასახიერებენ ადამიანთათვისებებს. ქცევის მოდელი შესაბამისი ეთნო-ლინგვოკულტურული საზოგადოების ნაციონალურ მენტალიტეტს და ხასიათის სპეციფიკას ამაჯავნებს. განსახილველი იგავ-არაკის ტექსტებში ჩანს სხვადასხვა სახის კომუნიკაციური სტრატეგიების კონვენციური ფორმები.

თეორიული მოსაზრების გასამყარებლად განვიხილოთ ერთ-ერთი იგავის „ყვავი და მელიას“ მაგალითი, რომლის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისას გამოვლენილ იქნა, რომ იგავ-არაკის სიუჟეტი განხილულ ინტერპრეტაციებში ძირეულად არ შეცვლილა, მაგრამ მთავარი პერსონაჟების აღწერილობისას მოხდა ჩანაცვლება, ეთნოკულტურული ფონიდან გამომდინარე. მაგ.: რუსული პერსონაჟების ზედმეტი ემოციურობა, რომელიც რუსული ნაციონალური ხასიათისთვის თვისებად ითვლება, უპირისპირდება იმავე პერსონაჟების რაციონალურობას ინგლისურენოვან ინტერპრეტაციებში. რუსი მეიგავეების ვარიანტებში ორიენტაციისა და ურთიერთობის განმსაზღვრელი ცხოვრებისეული ფასეულობები აისახება. მოცემული კულტურულ-სპეციფიკური თვისება ასევე დასტურდება იგავ-არაკის „მგელი და კრავის“ ინტერპრეტაციებში, სადაც მსგავსი წარმოდგენა ვლინდება იგავ-არაკის ფრან-

გულ ვარიანტებშიც, რადგანაც აქ პიროვნულ ფასეულობას, ისევე როგორც რუსულ კულტურაში, წამყვანი ადგილი უჭირავს. როგორც ვხედავთ, ნაციონალური მენტალიტეტი იგავ-არაკის თარგმნის დროს ძირითადი პრიორიტეტია. მიუხედავად იმისა, რომ სისხლით ნათესაობა ყველა კულტურისთვის მნიშვნელოვანია, იგავ-არაკის „მგელი და კრავის“ ინგლისურენოვან თარგმანებში ეს ფაქტი უმნიშვნელო მოცულობითაა გამოვლენილი. მეორე მხრივ, რუსული ვარიანტები ხაზს უსვამენ რუსულ კულტურაში ადამიანებს შორის ახლო ურთიერთობებს, რაც აისახება რუსული ენის ლექსიკურ მარაგში, ავლენს რა ნათესაური ცნებების დიფერენციაციის მაღალ დონეს. ინგლისურენოვან თარგმანში ვლინდება ისეთი ფასეულობების პრიორიტეტი, როგორცაა დამოუკიდებლობა, პირად საქმეში ჩაურევლობა, კერძო საკუთრება, რაც ამტკიცებს, რომ დასავლურ კულტურებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავისუფლებას და პიროვნების ავტონომიურობას, ხოლო რუსეთის კულტურაში კოლექტივიზმს და ურთიერთდამოკიდებულებას. ბოლო ნათქვამის დასტურს წარმოადგენს იგავ-არაკის „მგელი და წეროს“ თარგმანის ვარიანტები, სადაც რუსი პერსონაჟები პირდაპირ მიმართავენ დახმარების თხოვნით. დახმარებას არ აქვს კონოტაციური დატვირთვა და სემანტიკური ერთეული ექსპლიციტურადაა გამოხატული, ყოველგვარი პრაგმატიკული ინტენციის გარეშე. მაშინ როდესაც, პერსონაჟების სამიზნე კულტურებში მიმართვისას საზგასმულია მატერიალური სარგებლის ფაქტორი. როცა რუსულ ვარიანტებში ლაპარაკია დახმარებაზე, ინგლისურენოვან ინტერპრეტაციებში იგი მოცემულია სემანტიკური ერთეულით „გარიგება“. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ კონკრეტულ კულტურაში მატერიალურ სიკეთეს და კომერციულ ურთიერთობებს ანიჭებენ უპირატესობას. მატერიალური ყოფის მაღალი ფასეულობა ასევე ვლინდება

იგავ-არაკის „ყვავი და მელია“ სიუჟეტის ვარიანტების მორალშიც. ნაციონალური მენტალიტეტის სპეციფიკა ყველაზე კარგად ჩანს იგავ-არაკში „მუხა და ხელჯოხი“, რომელიც არსებობის მანძილზე სამ სიუჟეტად იყო დაყოფილი, სადაც მკაფიოდაა ასახული განსხვავებები მორალური კუთხით. აქ რუსულმა კულტურამ აირჩია სიუჟეტი, რომელიც აქცენტს აკეთებს სიამაყესა და მორჩილებაზე, მაშინ, როდესაც ინგლისურენოვანი კულტურა იხრება მოქნილობის, ცვლილებებისადმი მზადყოფნის, სიჯიუტის, მოუდრეკელობისა და უკომპრომისობისაკენ.

### დასკვნა

ტრადიციული იგავ-არაკების სიუჟეტების სხვადასხვა კულტურულ ვარიანტებს, რომლებშიც აღწერილია გარკვეული სიტუაციები, აქვთ სპეციფიკური ზნეობრივი დანიშნულება და ასახავენ სხვადასხვა ნაციონალურ-კულტურულ ფასეულობებს და ქცევის დომინანტებს. განხილული იგავ-არაკების ანალიზმა გვიჩვენა, რომ არსებითი განსხვავება რუსულ და ინგლისურენოვან თარგმანებს შორის მდგომარეობს კომუნიკაციური სტრატეგიების გამოყენებაში. იგავ-არაკების ზოგიერთ თარგმანებში მკაფიოდ ჩანს ნეგატიური თავაზიანობის კატეგორია, რომელიც დამახასიათებელია ფრანგული და ინგლისურენოვანი კულტურებისათვის. რუს პერსონაჟებთან მოცემული კატეგორია არ გამოიყენება, რადგანაც ის გულისხმობს მხოლოდ ქცევის ეტიკეტის ფორმას, რაც არ არის რუსების ემოციურობის რელევანტური.

ჩატარებული ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი მხატვრულ ტექსტებში რეალიზებული ისეთი ლინგვისტიკური ცნებების ილუსტრირების საშუალებას იძლევა, როგორცაა „სამყაროს ენობრივი ხატი“, „ნაციონალური მენტალიტეტი“ და „ხასიათი“, რომელთა ნაციონალური სპეციფიკა და

კულტურულ-მნიშვნელობითი კონცეპტები იგავ-არაკებში ენობრივი ერთეულებით და კომუნიკაციური კატეგორიებით ვლინდება. ამგვარად, ტრადიციული იგავ-არაკის სიუჟეტების თარგმანების წარმოდგენილი ანალიზი შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ინტერპრეტაციის პროცესში მოცემული ლინგვისტიკური ფენომენის ამოუწურავი და მრავალმხრივი ბუნების გამო.

### ლიტერატურა

1. Арнольд И. В. (1980): Стилистика художественной речи. Межвуз. сб. науч. тр. Л.
2. Авернпцев С. С. (2005): Феномен Крылова в компаративистском аспекте: попытка по дступа к парадоксу. Sub.Rosa / Koszonto konyv Lena Szilard tiszteletre. Budapest
3. Анненкова Е. И. (2001): Жанровое новаторство басен И. А. Крылова. Русская литература XIX века: От Крылова до Чехова: учеб. пособие. СПб.: Паритет
4. Микова С. С. (2011): Общая характеристика языковых средств передачи культурной информации в текстах русских басен. Вестник Российского университета дружбы народов. Серия: Русский и иностранные языки и методика их преподавания. № 4.
5. Античная басня (1991): сб. / пер. с греч. и латин., сост., предисл. и коммент. М.Л. Гаспарова. – М.: Художественная литература
6. Patterson A. (1991): Fables of Power. Aesopian Writing in Political History. Durham and London : Duke University Press
7. Gowler D. B. (2000): The Parables? New York: Paulist Press

### ინტერნეტ რესურსები

1. <http://www.spekali.tsu.ge/>

## The Peculiarities of 'Fables' Translation

*Tamila Dilaverova*  
*Shota Rustaveli State University*  
*Europeistics Department*  
*35 Ninoshvili str., 6010, Batumi, Georgia.*  
*Tel.: 555 291 948*  
E-mail: tamunadilaverova@gmail.com

### Abstract

The article considers peculiarities of fables translation in different languages. Studying fables from linguo-cultural angle, decoding cultural-relevant information by means of linguistic devices from source to target language are essential criteria. To obtain adequate translation, a translator needs profound background knowledge. In the process of translation, cultural concepts, values and communicative aspects must be taken into consideration. The article analyzes the reflection of transformed units from source to target language.

### Keywords:

translation, fable, cultural-national, linguo-culturology.

## Особенности перевода басен

*Дилаверова Тамила Кемаловна*  
*Батумский государственный университет*  
*Шота Руставели*  
*Департамент Европеистики*  
*ул. Ниношвили №35, 6010, Батуми, Грузия*  
*Tel: 555 291 948*  
E-mail: tamunadilaverova@gmail.com

### Резюме

В статье рассматриваются особенности перевода басен на различные языки. Изучение басен, основываясь на лингвокультурный аспект, расшифровка информации, важной для культуры, посредством лингвистических средств от источника до языка перевода являются существенными критериями. Чтобы получить соответствующий перевод, переводчику нужно глубокое фоновое знание. В процессе перевода должны быть учтены культурные понятия, ценности и коммуникативные аспекты. Статья анализирует отражение преобразованных единиц от источника до языка перевода.

### Ключевые слова:

перевод, басня, культурно-национальная, лингвокультурология.

# ლექსიკური ერთეულების სესხება როგორც ნეოლოგიზაციის არსებითი წყარო

სოფიკო დუმბაძე  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ევროპეისტიკის დეპარტამენტი  
ნინოშვილის ქ. №35, 6010, ბათუმი,  
საქართველო  
ტელ.: 593 710 101  
E-mail: s.dumbadze88@gmail.com

## რეზიუმე

ენის განვითარების ერთ-ერთ ასპექტად მოიაზრება მისი ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ეს პროცესი კი მოიცავს ენაში შემოსულ ნეოლოგიზმებს, ახალი ცნების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს. ინგლისური ენა, როგორც მსოფლიო «ლინგვა ფრანკა», საქართველოშიც, როგორც სხვა დანარჩენ ქვეყნებში, მნიშვნელოვან ფენომენს წარმოადგენს. სწორედ ეს ხდება მიზეზი იმისა, რომ თანამედროვე ქართულ ენაში უხვი რაოდენობით და საკმაოდ სწრაფი ტემპით მკვიდრდება ინგლისური ნეოლოგიზმები. ნეოლოგიზმებსა და ნასესხებ სიტყვებს შორის კავშირი კი საკმაოდ ძლიერია. სტატიაში განხილულია სესხების სახეები და მათ გავლენა ქართული ენის განვითარებაზე, ინგლისურ და ქართულ მაგალითებზე დაყრდნობით.

## საკვანძო სიტყვები:

ენა, სესხება, ნეოლოგიზმები, ლექსიკური მარაგი.

## შესავალი

ენა მუდმივად ვითარდება და მასში ხდება გარკვეული ცვლილებები, თუმცა ენის ლექსიკური ნაწილი ყველაზე უფრო ცვალებადია. ლექსიკური ერთეულები აქტიურად შემოდის ენაში, მიუხედავად იმისა,

რომ ისინი სხვადასხვა გზით გვევლინებიან, ერთ-ერთ არსებით წყაროდ კი სესხება მიიჩნევა. სხვადასხვა ენები სესხულობენ ერთმანეთისგან სიტყვებს, რაც საჭიროებიდან გამომდინარეობს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ყველაზე დიდ გავლენას ქართულ ენაზე ინგლისური ენა ახდენს.


1990-იანი წლებიდან, ქართულ ენაში ნეოლოგიზმების სახით გამოჩნდა უამრავი ახალი სიტყვა, ტერმინი, ჟარგონი, აბრევიატურა, ძირითადად ინგლისური ენიდან სესხების გზით. ეს დაკავშირებულია საქართველოში, ცხოვრების ყველა სფეროში, აბსოლუტურად ახალი რეალიების გამოჩენასთან, ასევე იმასთან, რომ ქართულ ენაში ვერ მოინახა ახალი რეალიების შესაბამისი ტერმინები. აქედან გამომდინარე ხდება ამ სიტყვების სესხება და ისინი ქართულ ენაში იწყებენ არსებობას ნეოლოგიზმების სახით.

## ძირითადი ნაწილი

„ნეოლოგიზმებსა და ნასესხებ სიტყვათა შორის ურთიერთკავშირი იმდენად არსებობს, რამდენადაც ნეოლოგიზმების წარმოქმნა ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, ჩვეულებრივ, ახალი ობიექტების გაჩენით არის განპირობებული. ეს ერთეულები ენაში მოქმედი წესების მიხედვით იქმნება უკვე არსებული მორფემებისა და ლექსემების საფუძველზე ან შემოდის სესხების გზით“ [გამყრელიძე, 2003:389].

ნეოლოგიზმი ერთი ენიდან მეორეში გადასვლისას ენის გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. ნეოლოგიზმი, შესაძლოა, დამხვედრი ენის ყალიბის მიხედვით იქნას წარმოებული (ჩიპ-ი, კოლაპს-ი, დისკ-ი...) ან ნასესხები იყოს (მენიუ, პრომო, ჰაგ...).

ზოგადად, ენაში უცხო სიტყვა ორი გზით შემოდის: წიგნიერით და ზეპირი საშუალებით. ამას ლინგვისტური ენით სესხება ჰქვია.



ზემოთ მოცემული გრაფიკის მიხედვით ჩანს, რომ სესხების ორი სახე: წიგნიერი და ზეპირი ურთიერთკავშირშია. მათი ურთიერთდამოკიდებულება იმის მაჩვენებელია, რომ სესხების ეს საშუალებები, უცხოური ენიდან შემოსული სიტყვების დამკვიდრების ფორმა, დამოკიდებულია როგორც სამეტყველო, ისე წერილობით მხარეზე.

თანამედროვე ქართულ ენაში ინგლისურიდან შემოსული მრავალი სიტყვა ზეპირმეტყველებიდან წერილობით მეტყველებაში გადასული და თანდათან ძნელი ხდება მათი გამორჩევა.

ხალხებს შორის აქტიური კონტაქტები იწვევს ენობრივ ერთეულთა ერთი ენიდან მეორეში გადატანას, სესხებას. მსესხებელ ენაში ამ გზით ჩნდება ახალი ენობრივი ერთეულები, ნეოლოგიზმები. ყოველ ენაში მრავალი ნასესხობაა.

ნასესხებ ნეოლოგიზმთა მაგალითებია:

ნეოლოგიზმები	საწყისი ფორმა
1. აპლიკაცია	Application
2. ლანჩი	Lunch
3. ლინკი	Link
4. ბარმენი	Barman
5. ბრენდი	Brand

ნეოლოგიზმები ფორმისა და აგებულების მიხედვით დიფერენცირდება, შესაძლოა იყოს მარტივიც და რთულიც. მარტივი აგებულებისაა ნეოლოგიზმი, რომელიც ერთი ძირისაგან შედგება (პოსტი - post, სპამი -

spam), ხოლო რთული აგებულებისაა ნეოლოგიზმი, რომელიც ორი ან მეტი ძირისაგან შედგება (ბარმენი - barman, ბელბოი - bellboy, ბექ ოფისი - back office). სესხებისას ისინი ძირითადად იმავე აგებულებით გადმოდიან ნასესხებ ენაში.

სესხების დროს ხდება ფონეტიკური და გრამატიკული სუბსტიტუცია, ჩანაცვლება. ენობრივი ერთეული იძენს ნაწილობრივ ახალ გამოხატულებასა და შინაარსს, ნასესხობა მიესადაგება მსესხებელი ენის სისტემას, ზოგჯერ იმდენად, რომ მისი უცხოური წარმომავლობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად. ნასესხები ენობრივი ერთეულის ადაპტაციის, ანუ მსესხებელი ენის სისტემისადმი შეგუების, მისადაგების ხარისხს განსაზღვრავს ამ ერთეულის ხმარების სიხშირე და ზოგიერთი სხვა ფაქტორი. პირობითად შეიძლება გამოვყოთ ნასესხობათა სამი ჯგუფი:

1. **სრულად ადაპტირებული** - ისინი არაფრით გამოირჩევიან მკვიდრი ერთეულებისგან; დაშორებულნი არიან პირველწყაროს. ასეთმა ნასესხობამ შეიძლება გამოდევნოს მკვიდრი ერთეული (კონკურენტი, ანალოგი).

2. **ნაწილობრივ ადაპტირებული** - ამ დროს ლექსემებს შეიძლება ჰქონდეთ ფონეტიკური ან გრამატიკული თვისებები (არტ-შოუ, აფდეითი, ბოიფრენდი).

3. **არაადაპტირებული** - ისინი მკვიდრი ერთეულებისგან გამოირჩევიან ბგერითი, ორთოგრაფიული, სემანტიკური, გრამატიკული ნიშნებით. ძირითადად, აღნიშნავენ უცხო რეალიებს ან განეკუთვნებიან სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლექსიკას (cancel - უარყოფა, data - მონაცემები) [გამყრელიძე. 2003:390].

ენაში მუდმივად შემოდის ახალი ლექსიკური ერთეულები, თუმცა ეს არ ხდება თავისთავად და თავისთვის, იგი დაკავშირებულია ადამიანის განვითარების სხვადასხვა ასპექტებთან, როგორცაა ფიზიკური, კოგ-

ნიტიური, ემოციური, სოციალური და კულტურული ასპექტები. ენობრივი განვითარება პირდაპირ კავშირშია კოგნიტიურ განვითარებასთან.

### დასკვნა

ახალი სიტყვები კულტურის ზრდისა და განვითარების ნიშანია. ახალ აღმოჩენებთან, ახალ ტექნოლოგიებთან, ახალ გაგებასთან ერთად გვჭირდება ახალი ტერმინები, რათა აღვწეროთ და წარმოვადგინოთ ისინი. ზოგიერთი სიტყვა ხდება მოძველებული, „გაცვეთილი“ და საჭიროა მათი განახლება. ჯგუფები და ქვეჯგუფები (სპორტი, მუსიკოსები, ბენდები და სხვ.) ხშირად ქმნიან სიტყვებს და ფრაზებს, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში იჭრებიან. ამ და სხვა წყაროებს მოაქვთ გამუდმებით მზარდი „მოსავალი“ ნეოლოგიზმებისა ინგლისურ ენაში, რომელიც შემდგომ იჭრება სხვა ენებში სესხების გზით.

ნეოლოგიზმები სხვადასხვა გზით ჩნდება ენაში, თუმცა ქართულში ძალიან დიდია ნასესხებ ნეოლოგიზმთა რაოდენობრივი მაჩვენებელი. ნასესხები ნეოლოგიზმებისადმი ლინგვისტთა უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ეს პროცესი შეუჩერებელია, რადგანაც თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობები პოლილინგვური და პოლიკულტურული ხასიათისაა; და ის ფაქტი, რომ ყველა ენა მისი საერთაშორისო სტატუსის გავრცელების და პოპულარობის მიუხედავად გარკვეულად განიცდის ენობრივ ექსპანსიას, მიუთითებს ამ პროცესის კანონზომიერებაზე. ამასთან, ერთი ენის ასიმილაცია მეორე ენაში წარმოქმნის გამართლებულ შფოთვას, რომ ენის უცხო კულტურის ასიმილაციას შეუწყობს ხელს და დააკნინებს მიმღები ენის კულტურას.

ამიტომაც, სავალდებულოა შექმნილი ენობრივი სიტუაციის მრავალმხრივი შესწავლა და პოლიკულტურული და პოლილინგვისტიკური მოვლენების სხვა ქვეყნებში განვითარების ანალიზი, მათი ენობრივი პოლიტიკის წარმატება-წარუმატებლობის შესწავლა და ამის საფუძველზე თავისი პოლიტიკის გატარება.

### ლიტერატურა

1. თ. გამყრელიძე (2003): /გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ./ თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბ.
2. ლადარია ნ. (2002): სოციოლინგვისტიკა. თბ.
3. Маслова В. А. (2001): Лингвокультурология. М.
4. Постовалова В.И. (1999): Лингвокультурология в свете антропологической парадигмы. Фразеология в контексте культуры. Москва: Прогресс
5. Phillipson R. (2008): *Lingua franca or lingua frankensteinia? English in European integration and globalisation* World Englishes. Vol. 27., N. 2

/

### **Borrowing Lexical Units as an Essential Source of Linguistic Neology**

*Sopiko Dumbadze*

*Shota Rustaveli State University*

*Europeistics Department*

*35 Ninoshvili str., 6010, Batumi, Georgia.*

*Tel: 593 710 101*

*E-mail: s.dumbadze88@gmail.com*

## **Abstract**

Vocabulary enrichment is considered to be one of the aspects of language development. This process includes neologisms, lexical units referring to new concepts. English as a world „Lingua Franca”, in Georgia, as well as in other countries, represents an important phenomenon. This occurs to be the reason of abundant amount and quite rapid emergence of English neologisms in contemporary Georgian language. Connection between neologisms and borrowed words is strong enough. The article discusses the types of borrowing and their impact on the development of Georgian language, based on English and Georgian examples.

## **Keywords:**

language, borrowing, neologisms, vocabulary.

грузинском языке в большом количестве и достаточно быстрым темпом внедряются английские неологизмы. Связь между неологизмами и заимствованными словами достаточно сильна. В статье рассматриваются типы заимствований и их влияние на развитие грузинского языка, основанные на примерах из грузинского и английского языков.

## **Ключевые слова:**

язык, заимствования, неологизмы, словарный запас.

## **Заимствование лексических единиц в качестве важнейшего источника возникновения языкового неологизма**

*Думбадзе Софико Дурсуновна*

*Батумский государственный университет*

*им. Шота Руставели*

*Департамент Европеистики*

*Ул. Ниношвили №35, 6010, Батуми, Грузия*

*Tel.: 593 710 101*

*E-mail: s.dumbadze88@gmail.com*

## **Резюме**

Одним из аспектов развития языка считается увеличение его словарного запаса. Этот процесс включает в себя внедрение неологизмов и новых концепций, касающихся лексических единиц. Английский язык, как всемирный «лингва-франка», в Грузии, также как и в других странах, представляет собой значительный феномен. Это и является причиной того, что в современном



## ენობრივი სისტემა როგორც განვითარებადი ფენომენი

სოფიკო დუმბაძე  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ევროპეისტიკის დეპარტამენტი  
ნინოშვილის ქ. №35, 6010, ბათუმი,  
საქართველო  
ტელ.: 593 710 101  
E-mail: s.dumbadze88@gmail.com

### რეზიუმე

ენა მუდმივად განვითარებადი, ახალ რეალიებთან თუ კაცობრიობის ახალ გაგებასთან ერთად შემოდის ახალი სიტყვები, ან უკვე არსებულს ემატება ახალი კონოტაცია. ეს პროცესები საგრძნობლად დააჩქარა მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა, რასაც მოჰყვა უამრავი ნეოლოგიზმების, ბარბარიზმების, ანგლიციზმების დამკვიდრება ქართულ ენაში. ნეოლოგიზაცია ის პროცესია, რომელიც აქტიურად იჩენს თავს მსოფლიოს ნებისმიერ ენაში და ზოგიერთ შემთხვევაში ის საფრთხის შემცველიც არის რომელიმე კონკრეტული ენისათვის. სტატიაში განხილულია საქართველოს ამჟამინდელი ენობრივი სურათი.

### საკვანძო სიტყვები:

ენობრივი სისტემა, გლობალიზაცია, ბარბარიზმები, ანგლიციზმები, ნეოლოგიზმები.

### შესავალი

ენა ცოცხალი ორგანიზმია, ის გამუდმებით ვითარდება. დროის სვლასთან ერთად კაცობრიობის გაგება და დამოკიდებულებაც იცვლება სამყაროს მიმართ, უკვე არსებულ და მოძველებულ ტერმინებსა და სიტყვებს ემატება ახალი მნიშვნელობა, იძენს

ახალ გაგებას თუ შეხედულებას, ან იქმნება ახალი სიტყვები, ნეოლოგიზმები.

ინგლისური ენა პრაქტიკულად ალტერნატივის გარეშე გამოიყენება თითქმის ყველა სფეროში, ის ასევე დომინირებს ინტერნეტში. თანამედროვე ინგლისური ენის ერთ-ერთი გამორჩეული თვისება ისაა, რომ იგი აქტიურად იჭრება სხვა ენებში, მსოფლიოს პოპულარული თუ არაპოპულარული ენები სესხულობენ ინგლისურიდან სიტყვებს, რომლებიც ნეოლოგიზმების სახით მკვიდრდებიან ნასესხებ ენაში.

### ძირითადი ნაწილი

ენა იცვლება და ვითარდება ისტორიულად თავისი შინაგანი იმპულსების წყალობით. სამეტყველო ჩვევაში მომხდარი ცვლილებები დაკავშირებულია საჭიროებასთან, რომლის მიხედვითაც ადამიანი ცდილობს, უფრო გასაგები გახადოს თავისი აზრები და სურვილები. ცვლილება ენაში ყოველ მოლაპარაკებე ვრცელდება, თუმცა თითოეულ ენობრივ მოვლენას თავისი საზღვრები აქვს. ყოველმა მოლაპარაკემ რომ დაიწყოს ენაში ცვლილებების შეტანა, იგი შეწყვეტდა თავისი დანიშნულებისამებრ ფუნქციონირებას [ლ. ლეჟავა. 2004: გვ.49].

ენა უადრესად მგძნობიარეა სოციალური ცვლილებების მიმართ, რაც, თავის მხრივ, აისახება საზოგადოებაში. ახალი ლექსიკური ერთეულების არსებობა ენაში არის სწორედ ამ ცვლილებების შედეგი.

ენათა კონტაქტები დღეს უფრო სწრაფი და მოქნილია, ვიდრე ადრე იყო, სანამ ხალხთა შორის ურთიერთობის ახალი ფორმა – ინტერნეტი გაჩნდებოდა. ბრიტანელი ლინგვისტი დევიდ კრისტალი გამოკვეთს ინგლისური ენის შესაძლო გლობალურ ენად ქცევის თავისებურებებს თუ პერსპექტივებს. წინა პლანზე იწვევს ინგლისური

ენის დომინირება არაინგლისურენოვან ქვეყნებში, როდესაც ხდება ადგილობრივი ენების შერევა საერთაშორისო ენასთან - ინგლისურთან [Crystal. 2003: 7]. ენათა ცვალებადობა, განვითარება მუდმივად პროგრესირებადი მოვლენაა, გარკვეული სახის ცვლილებები ყოველ ენაში მისაღებია, თუმცა ეს ენის კანონთა საზღვრებს არ უნდა გასცდეს.

თანამედროვე ქართულ მეტყველებაში შემოსული/დამკვიდრებული ანგლიციზმების რაოდენობა უზომოდ დიდია. ქართველი მეცნიერი დ.ფანჯიკიძე წიგნში „ენა, თარგმანი, მკითხველი“ ქართული ენის დღევანდელ სურათს გვიხატავს: „თუკი აქამდე ქართულ ენას რუსული ენის ზეგავლენა ემუქრებოდა, დღეს იგი ოთხი-ხუთი ენის აქტიური შემოტყვის სარბიელი ხდება. მას ემატება თავისუფალი პრესის გაჩენა, გამოდის უამრავი ჟურნალ-გაზეთი, რომელთა უმრავლესობამ ყველაზე დიდი თავისუფლება ქართული ენის ხელყოფის საქმეში მოიპოვა“ [ფანჯიკიძე. 2002: 66].

ენის განვითარება სხვა ენებთან ურთიერთობის დადებითი შედეგია, თუმცა ნეგატიური უფრო მეტი შეიძლება იყოს. თანამედროვე ქართულ ენას დღეს მსოფლიოს დომინანტ ენასთან – ინგლისურთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს. შესაბამისად, ინგლისური ენის ურთიერთობა ქართულთან დღეს ზეგავლენის ფორმას უფრო იღებს, ვიდრე თანასწორული ურთიერთობისა.

ენათა და ხალხთა ურთიერთობა, რომელიც, შეიძლება, დროში შეწყდეს, ენაში ტოვებს კვალს და გადალახავს დროით საზღვრულობას. უცხოურ ენათა ლექსიკური ერთეულების შემოდინება-დამკვიდრებას, თავის მხრივ, წინააღმდეგობას ვერაფერი უწევს. XIX საუკუნემდე, ტერმინთა (და არა მხოლოდ მათი) შემოსვლა ქართულ ენაში ინტენსიურ სახეს იღებს და ჩნდება ამ ლექსიკურ ერთეულთა უცვლელი ფორმით შემოსვლა-დამკვიდრების ტენდენცია.

თანამედროვე რეალობაში საკითხი კვლავ პრობლემურია. დღეს ტერმინები უსვი რაოდენობით შემოდინება ქართულ ენაში იმ ჟღერადობით და ხშირად იმავე ფორმით (როდესაც ხდება სიტყვათა ჩაწერა ბილინგვური ხასიათის გაფორმებით: ფაილი – faili -file, ფლემკა – fleska- flash ca(rd), ენაში შესაბამისი ბგერის არარსებობის გამო), როგორც ისინი ჟღერს და გამოიყურება საწყის ენაში.

თანამედროვე ცხოვრებაში ტექნიკური პროგრესის სისწრაფეს ასეთივე ტემპით ვერ ეწევიან ენები და მათი ლექსიკური ფონდი სინქრონულ რეჟიმში ვერ ასახავს ამ პროცესებს. შესაბამისად, ისინი სხვა, დომინანტი ენიდან იღებენ სიტყვებს იმავე ფორმით, როგორც საწყის ენაში გვხვდება, რომელთა შესატყვისი ლექსიკური ერთეულების ფორმირებისთვის, ფაქტობრივად, დრო არ რჩება. დროთა განმავლობაში ეს სიტყვები თავისთავად მკვიდრდება ენაში და აქტიურ ლექსიკონს უერთდება. ამგვარად, ბარბარიზმების, ნეოლოგიზმებისა და ანგლიციზმების ხშირი ხმარება ქართული ენისათვის უცხო აღარაა. ყოველ ენას, განურჩევლად მისი გავრცელების არეალის მასშტაბურობისა, სჭირდება მხარდაჭერა და დაცვა, სხვაგვარად, ენობრივი პოლიტიკის გატარება.

ქართულ ენას არ სჭირდება ისეთი სიტყვები, როგორცაა: ლაიქი, ლოვე, ივენთი, ფართი, თაიმი და სხვ.

ხშირად გაიგებთ ისეთ სიტყვებს, როგორცაა: “დამიქოლინგე”, „წავლეთსგოვდეთ“, „ავსთენდაფდეთ“ და ა.შ.

ენის ლექსიკური ფონდის ცვალებადობა გარდაუვალი რეალობაა. მისი ამგვარი ხასიათი განაპირობებს ენის განვითარებას, ან პირიქით. ენის განვითარება მასზე მოლაპარაკე სოციუმის ცხოვრების სტილის, ტემპისა და ხასიათის განვითარების პირდაპირპროპორციულია.

## დასკვნა

XXI საუკუნე როგორც ერთაშორისი ურთიერთობების გლობალური ხასიათის მატარებელი საუკუნე, ენათა რუკაზე საზღვრების სწრაფი ცვალებადობის მაპროგნოზირებელია. ეს ყველაფერი ფართოდ აისახება ენობრივი სისტემის განვითარებაზე. ამ კონტექსტში თანამედროვე ქართული ენა ინტერნეტის საშუალებით, კორექტირების დონეების გაუვლელად, ჩქარი ტემპით ამკვიდრებს ანგლიციზმებს.

ენაში ყველანაირ ტენდენციას გარემოობიექტური პირობები იწვევს. მიმდინარე სიტუაცია, დრო, ახალი ტექნოლოგიები და ა. შ. ამას ყოველთვის მოჰყვება შესაბამისად ახალი ლექსიკა. ეს ენის განვითარების უწყვეტი პროცესია და ეს პროცესი ყოველთვის იყო, არის და იქნება. საერთოდ, ენა ცოცხალი ორგანიზმია, მასში ბუნებრივი პროცესები მიმდინარეობს და ამას ვერანაირი დადგენილებები, სალიტერატურო ნორმებიც კი კონკრეტულად ვერაფერს დააკლებს. სახელმწიფომ ელემენტარულად უნდა დაიცვას ენის სიწმინდე, უნდა შემუშავდეს გარკვეული დონისძიებები და სხვადასხვა ქმედებებით დაცული იქნას ქართული ენის სიწმინდე.

## ლიტერატურა

1. ლეჟავა ლ. (2004): ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები. თბ.
2. ტაბიძე მ. (2003): ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები. (დისერტაცია). თბ.

3. ფანჯიკიძე დ. (2002): ენა თარგმანი მკითხველი; „საგამომცემლო სახლი თბილისში“

4. Crystal (2003): language and the Internet; “A linguistic revolution?”. Cambridge

5. Ginsburg (1979): R.S Ginsburg, S.S. Khidekel, G.Y. Knyazeva, A.A. Sankin A. Course in Modern English Lexicology. Second edition. Moscow

6. Meurs P. (2011): Nicole Note and Diederik Aerts - The “Globe” of globalization. Kritike volume five, number two. 10-25

/

## Linguistic System as a Developing Phenomenon

*Sopiko Dumbadze*

*Shota Rustaveli State University*

*Europeistics Department*

*35 Ninoshvili str., 6010, Batumi, Georgia.*

*Tel: 593 710 101*

*E-mail: s.dumbadze88@gmail.com*

### Abstract

Language constantly develops, with new realia or understanding of human, new words enter or new connotations are added to the old ones. This process has been markedly precipitated by the current global processes, which gave birth to many neologisms, barbarisms, anglicisms in Georgian language. Linguistic neology is a process that appears in any language in the world and in some cases it presents a threat to any particular language. The article discusses the current picture of Georgian language.

### Keywords:

Linguistic system, globalization, barbarisms, anglicisms, neologisms.

## **Лингвистическая система как развивающееся явление**

*Думбадзе Софико Дурсуновна*  
*Батумский государственный университет*  
*им. Шота Руставели*  
*Департамент Европеистики*  
*Ул. Ниношвили №35, 6010, Батуми, Грузия*  
*Tel.: 593 710 101*  
E-mail: s.dumbadze88@gmail.com

### **Резюме**

Язык постоянно развивается вместе с новыми реалиями или понятиями человечества, по-

являются новые слова или прибавляются новые коннотации к уже существующим словам. Этот процесс заметно ускорился благодаря мировым глобальным процессам, которые способствовали возникновению многих неологизмов, варваризмов и англицизмов в грузинском языке. Неологизация - это процесс, который активно развивается в любом языке мира, а в некоторых случаях представляет угрозу для любого конкретного языка. В статье рассматривается состояние грузинского языка на современном этапе.

### **Ключевые слова:**

языковая система, глобализация, варваризмы, англицизмы, неологизмы.

# Deviation as a Means of Foregrounding in Language

Marina Zoranyan  
Georgian Technical University  
Department of Liberal Sciences  
77 Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia  
Tel. : 593 783 826  
E-mail: marinaziger@gmail.com

## Abstract

Text world theory is a cognitive-linguistic model of all human discourse processing, originally developed by Paul Werth. The theory attempts to provide a fully comprehensive account on how to analyse any piece of discourse. The basic premise of text world theory is that human beings process and understand all discourse by constructing in their minds “mental constructs called text worlds”. Werth defines text worlds as “conceptual scenarios containing just enough information to make sense of the particular utterance they correspond to”. Text world theory aims to provide a framework for the study of discourse that takes both text and context into account. Text world theory seeks to achieve this by separating every discourse into a number of distinct conceptual levels. Werth proposed a three-layered model of discourse context which consists of discourse world, text world and sub-worlds.

## Keywords:

text world theory, discourse world, text world, sub-world, modal world, discourse processing, mental construct, context, text.

## Introduction

Text world theory is associated with cognitive linguistic perspectives applied to the analysis of discourse. It is a cognitive-linguistic model of all human discourse processing, originally developed by

Paul Werth (1994, 1995, 1999) and discussed thoroughly in his posthumous publication ‘Text Worlds: Representing Conceptual Space in Discourse’ (1999). The theory has been further augmented by a number of scholars (see for example Gavins, 2003, 2007; Stockwell, 2002; Hidalgo-Downing, 2000). Text world theory differs from other cognitive-based models in its attempts to provide a fully comprehensive account on how to analyse any piece of discourse.

## Main Body

Text world theory is a creative vision of Paul Werth. The theory uses the conceptual metaphor THE TEXT IS A WORLD to formulate “the way in which readers understand any given discourse by producing a cognitive realization of it, an imaginative construal which may appear so vividly as to take on a world-like quality” [Gibbons. 2012: 34].

Werth’s aim in the development of text world theory was to explain how we as readers and hearers “make sense of complex utterances when we receive them” (1999: 7). His suggested answer was that we do this by constructing “mental constructs called text worlds” (ibid.). Werth defines text worlds as “conceptual scenarios containing just enough information to make sense of the particular utterance they correspond to” (ibid.). He later expounds: “the reader must envisage a mental picture” in order to assist comprehension (1999: 8). A text world is therefore a mental construct that Werth describes as: “a coherent and joint effort on the part of its producer and its recipients” (1999: 20). With literary works, text worlds are produced between writers and readers.

The basic premise of text world theory in Gavins’s words is that “human beings process and understand all discourse by constructing mental representations of it in their minds” (2005: 90). Thus the way in which this theory accounts for the pro-

cessing of discourse is through mental 'world creation'. Werth's understanding of what exactly constitutes a piece of discourse is rather broad; as he says, discourse is 'actual stretches of language... . A discourse is a complete language event, i.e., one with a perceived beginning and end' [Werth. 1999: 1]. Further developments have shown that such an aim can hardly be achieved by any one framework [Gavins. 2007: 6,7].

The text world theory endeavors to analyse the complexity of discourse through a systematic method. It aims to provide a framework for the study of discourse that takes both text and context into account [Werth. 1999: 17, 22; Gavins. 2007: 8]. Text world theory seeks to achieve this by separating every discourse into a number of distinct conceptual levels [Gavins. 2007: 8- 9]. Werth (1999) proposed a three-layered model of discourse context which consists of discourse world, text world and sub-worlds.

The discourse world appears at the highest level of the model. It deals with the communication between people. The discourse world typically refers to the most immediate situation surrounding the language event including the text itself and the participants (a speaker/writer communicates with a hearer/reader). The discourse world is usually formed by two or more participants or interlocutors who can be at the same time in the same place (share temporal and spatial coordinates), or at least the same time (share temporal coordinates). However, a discourse-world can take place when the interlocutors are at both different times and places, for instance any written text such as letters, e-mails, messages, and literary texts in general. Clearly, the participants will vary depending on the type of communicative event, that is, writer and reader in the case of written communication and speaker and hearer for oral, etc. When temporal or/and spatial coordinates are not shared by all discourse participants, this is known as a split discourse world.

The level of discourse world presents a means for recognizing the potential effect of textual fac-

tors on the understanding and structure of discourse [Gavins. 2007: 9-10; Stockwell. 2002:136] believes that the factors of this world are "perceptions of present situation and beliefs, knowledge, memories, hopes, dreams, intentions and imaginations of the participants.

Through the discourse world is constructed a text world. The text world is what is constructed by the reader to make sense of the communicative event. It is the mental representation of the discourse in the minds of the participants. A text world is a 'total construct' which requires for its understanding memory and imagination, rather than direct perception. Text worlds as conceptual spaces are defined deictically and referentially, and are anchored by references to the world depicted by the discourse [Werth. 1999: 52]. Text worlds are composed of world-building elements and function-advancing propositions, both of which are recovered from the text.

By use of deictic and referential terms including properties, relations, tense and aspect, world-building elements provide the spatial and temporal boundaries of the text world [Gavins. 2007: 36-37]. A number of locatives, demonstratives and verbs situate a particular event. Other world-building elements are the enactors or characters who the interlocutors refer to and the objects surrounding them in any communicative situation. (ibid. )

The world-building elements are not enough to allow humans to build mental worlds. They situate a world but do not provide any sense of development or movement; such tasks are fulfilled by the function-advancing propositions, the expressions that propel the story forward and facilitate the development of the argument. They tell us who is doing what, where the enactors are going, or what is happening. These are the verbs that advance the scene in description, advance the action or advance an argument.

The third level of discourse proposed by Werth (1999) is the sub-world. Sub-worlds are established when a character projects thoughts and reflections, perhaps through a flashback or prolepsis, to create another conceptual space inside the text world. This

projection forms a distinct situation of its own, because it sets up a reality outside the parameters of the existing text world. Sub-worlds represent a kind of perceived shift away from the parameters of the text world. These shifts may be prompted by the discourse participants or by characters in the text world, and according to Werth (1999: 210-258) they may be of three types: deictic (representing some spatial or temporal shift, as in the case of flashbacks), attitudinal (prompted by expressions of desire, belief or intention), or epistemic (prompted by expression of modality).

Gavins (2007) introduces the term *world-switch* to replace Werth's preferred sub-world on the basis that subsequently developed text worlds are not necessarily subordinate to the primary text world. World-switches occur when the spatio-temporal boundaries of a text-world shift [Gavins. 2007: 48; 54]. Direct speech and direct thought also cause world-switches, because 'they alter the temporal parameters of the text world by introducing present-tense discourse into a past-tense narrative' (Gavins, 2003: 131).

Stockwell (2002: 140-142) calls switches in time and in direct speech deictic sub-worlds. Two other sub-worlds he classifies as attitudinal sub-worlds, i.e. desires, beliefs and epistemic sub-worlds, i.e. hypothetical constructions. Gavins (2007) considers these last two sub-worlds - modal worlds. She refers to the following three types of modality which cause the reader to imagine a sub-world which we will call modal worlds: the boulomaic modal world, the deontic modal world and the epistemic modal world. Boulomaic modal worlds are worlds of wants, wishes and desire [Gavins. 2007: 94]. Deontic modal worlds are worlds of obligation and triggered by words or phrases expressing obligation [Gavins. 2007: 99]. Epistemic modal worlds are worlds of knowledge and belief through which discourse participants can express varying degrees of certainty in the truth of a particular subject or proposition [Gavins. 2007: 110; Werth, 1999: 188; 239].

Text world theory stresses that bearing in mind

the accessibility of the propositions enabling the formation of text worlds is crucial for discourse comprehension. Some of the propositions in the language event show some content which is directly verifiable by the participants, hence known as participant-accessible information. In other cases, there are certain details, thoughts, conversations or knowledge which only the enactors in the text world can have direct access to, with the participants having to rely on their account to process those propositions. This is called enactor-accessible information. Most language events include propositions whose content displays a mixture of participant-accessible and enactor-accessible information. [Nørgaard, Busse & Montoro. 2010: 161].

## Conclusion

Text world theory traces the ways in which a literary text distinguishes different levels of the story (i.e., the discourse world, the text world and various potential types of sub-worlds), their properties (e.g., participants, location), and the processes that take place within them (e.g., events, thoughts). Text world theory is a discourse framework which aims at preparing the basis for the study of the discourse which involves situational, social, historical, and psychological factors that have a critical role in linguistic cognition [Gavins. 2007: 7-9].

## Literature

1. Gavins J. (2007): *Text World Theory: an Introduction*. Edinburgh: Edinburgh Press
2. Gavins J. (2003): 'Too much blague? An exploration of the text worlds of Donald Barthelme's *Snow White*', in Gavins, J. and Steen, G. (eds) *Cognitive Poetics in Practice*, London: Routledge, pp.129-44
3. Gibbons A. (2012): *Multimodality, Cognition, and Experimental Literature*. New York: Routledge
4. Hidalgo-Downing L. (2000): *Negation, Text*

Worlds and Discourse: The Pragmatics of Fiction. Stanford: Ablex

5. Norgaard N., Busse B. & Montoro R. (2010): Key Terms in Stylistics. India: Replika Press Pvt Ltd.

6. Stockwell P. (2002): Cognitive Poetics, An Introduction. New York: Routledge

7. Werth P. (1994): Extended metaphor: a text world account, *Language and Literature* 3(2):79-103.

8. Werth P. (1995): How to build a world (in a lot less than six days and using only what's in your head), in Green. K. (ed.) *New Essays on Deixis: Discourse, Narrative, Literature*, pp. 49-80. Amsterdam: Rodopi

9. Werth P. (1999): *Text Worlds: Representing Conceptual Space in Discourse*. London: Longman

нии ментальных конструкторов, называемых текстовыми «мирами». Верт определил текстовые «миры» как «концептуальные сценарии, содержащие достаточно информации, чтобы понять то конкретное высказывание, которому они соответствуют». Теория текстовых «миров» имеет целью обеспечить основу для изучения дискурса, принимая во внимание как текст, так и контекст. Она пытается достичь этого путем деления каждого дискурса на различные концептуальные уровни. Верт предложил трехслойную модель контекста дискурса, которая состоит из «мира» дискурса, текстового «мира» и подмира.

#### **Ключевые слова:**

теория текстовых «миров», дискурсивный «мир», текстовый «мир», подмир, возможный «мир», обработка дискурса, ментальный конструктор, контекст, текст.

### **Текстовые «миры» как ментальные конструкторы, построенные в виде концептуальных сценариев**

*Зораян Марина Георгиевна*  
Грузинский технический университет  
Департамент либеральных наук  
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия  
Тел.: 593 783 826  
E-mail: marinaziger@gmail.com

#### **Резюме**

Теория текстовых «миров» - познавательно-лингвистическая модель обработки дискурса, была разработана Полом Вертом. Данная теория стремится дать исчерпывающее разъяснение того, как нам анализировать дискурс. Основная предпосылка теории текстовых «миров» состоит в том, что люди обрабатывают и понимают дискурс с помощью построения в своем созна-

### **ტექსტის 'სამყაროები' როგორც კონცეპტუალური სცენარების სახით აგებული მენტალური კონსტრუქტები**

*მარინა ზორანიანი*  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 593 783 826  
E-mail: marinaziger@gmail.com

#### **რეზიუმე**

ტექსტის „სამყაროების“ თეორია არის დისკურსის დამუშავების კოგნიტიურ-ლინგვისტიკური თეორია, რომელიც პოლ ვერტის მიერ ჩამოყალიბდა. თეორია ცდილობს, დეტალურად ახსნას, თუ როგორ უნდა გა-



ვაანალიზოთ დისკურსის ნებისმიერი ფრაგმენტი. ტექსტის სამყაროების თეორიის ძირითადი აზრი ისაა, რომ ადამიანები გადაამუშავებენ და აღიქვამენ დისკურსს საკუთარ გონებაში 'მენტალური კონსტრუქციების' აგებით, რომლებსაც ეწოდებათ 'ტექსტური სამყაროები'. ვერთმა განმარტა „ტექსტური სამყაროები“ როგორც “კონცეპტუალური სცენარები“, რომლებიც საკმარის ინფორმაციას მოიცავენ იმ გამონათქვამის გასაგებად, რომელსაც ისინი შეესაბამება. ტექსტის სამყაროების თეორია მიზნად ისახავს ისეთი ჩარჩოს შექმნას, რომელიც დისკურსის შესწავლისას ითვალისწინებს როგორც

ტექსტს, ასევე კონტექსტს. ტექსტის სამყაროების თეორია ცდილობს ამას მიაღწიოს ყოველი დისკურსის დაყოფით რამდენიმე მკვეთრ კონცეპტუალურ ღონედ. ვერთი გვთავაზობს დისკურსის სამდონიან მოდელს, რომელიც შედგება დისკურსის სამყაროს, ტექსტის სამყაროსა და ქვესამყაროებისაგან.

#### **საკვანძო სიტყვები:**

ტექსტის „სამყაროს“ თეორია, დისკურსის „სამყარო“, ტექსტის „სამყარო“, ქვესამყარო, მოდალური (შესაძლო) „სამყარო“, დისკურსის დამუშავება, მენტალური კონსტრუქტი, კონტექსტი, ტექსტი.

## კონცეპტი “მზე” ნოდარ დუმბაძისეული სამყაროს მხატვრულ სატებაში

ვერიკო ხუციშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ქართული ფილოლოგიისა და მედია-ტექნო-  
ლოგიების დეპარტამენტი  
კოსტავას ქ.№77, 0175, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 593 484 767  
E-mail : [khutsishviliveriko@yahoo.com](mailto:khutsishviliveriko@yahoo.com)

### რეზიუმე

მზე როგორც მხატვრული სახე-ხატი და არტასპექტი, მრავალი ერის კულტურაშია დამკვიდრებული. კონცეპტი „მზე“ მხატვრულ ლიტერატურაში მრავალგანზომილებიანი სტრუქტურაა, რომელიც ძირითად კონცეპტუალურ მნიშვნელობასთან ერთად ითავსებს ეროვნულ სახეობრიობას, შეფასებებს, ასოციაციებსა და ემოციებს.

ნოდარ დუმბაძის რომანებში კონცეპტი „მზე“ მრავალსახოვნად წარმოსდგება. ის აერთიანებს ეროვნული ხასიათის ინტელექტუალურ, სულიერ და გრძობად თვისებებს, ასევე მოიცავს მრავალ კულტურულ კონოტაციას.

### საკვანძო სიტყვები:

მზე, კონცეპტი, ლინგვოკულტუროლოგია, სიმბოლო, მენტეფაქტი.

### შესავალი

თანამედროვე ლინგვისტიკა ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ გარესამყაროს საგანთა და მოვლენათა ენობრივი კატეგორიზაცია მთლიანად ეყრდნობა და ორიენტირებულია ადამიანზე, მის მიერ სამყაროს აღქმის პროცესზე. კონცეპტი (conceptus ლათ.-გაგება, ცნება) როგორც კულტურული სივრცის მენტეფაქტი, [კრასნიხი. 2002], წარ-

მოადგენს შემეცნების შინაარსის ელემენტს, რომელიც ასევე კულტურის ელემენტად და კულტურული სივრცის მაჩვენებლად გვევლინება; მასში მძლავრობს ემოციურობა და იგი ამა თუ იმ ერის ან გარკვეული ეთნოკულტურული საზოგადოების ლინგვოკულტურული, მენტალურ-ფსიქიკური წარმონაქმნია.

### ძირითადი ნაწილი

კონცეპტის “მზე” ლინგვოკულტუროლოგიური კუთხით შეფასებისას აქტუალურია ყურადღება გავამახვილოთ ენისა და შემეცნების, ენისა და კულტურის კავშირზე. მხოლოდ სალექსიკონო დეფინიციით არ შემოისაზღვრება განსახილველი ერთეული, ვინაიდან იგი (მზე) მიეკუთვნება კონცეპტოსფეროს, რომელიც კულტურის კვლევისა და შეფასების მთავარი პოსტულატია. ვ.მასლოვას განსაზღვრებით, ლინგვოკულტუროლოგიის ჩარჩოებში კონცეპტი განიხილება როგორც სემანტიკური წარმონაქმნი, რომელიც გარკვეული ეთნოკულტურის მატარებელთა მახასიათებელია სხვადასხვა ასპექტში. [ვ.მასლოვა. 2001].

ვიწრო სალექსიკონო მნიშვნელობის მიუხედავად, კონცეპტი გაცილებით ფართო გაგებას მოიცავს. ის, როგორც რთული სტრუქტურა, ერთმნიშვნელოვნებასთან ერთად ითავსებს მრავალ კულტურულ კონოტაციას. კულტურა ადამიანის მენტალურ სამყაროს მიეკუთვნება და მისი შემეცნების მთავარ პოსტულატად გვევლინება. კონცეპტის მთავარ ცენტრს ყოველთვის წარმოადგენს კულტურული ფასეულობა, იგი კულტურის კვლევას ემსახურება და მხატვრულ სახეობრიობას ინარჩუნებს მოცემული კულტურის სისტემაში. ესა თუ ის სიტყვა კონცეპტის

მასალას წარმოადგენს და იძენს რაიმე სახეობრიობის, სიმბოლოს შინაარსობრივ დატვირთვას. კონცეპტის როგორც მენტეფაქტის შინაარსი, სამი ძირითადი ნიშნით მოიაზრება. ესენია: სახეობრიობა, მნიშვნელობის ნიშანი და შემფასებლურობის ნიშანი.

ერის ენა, მეტყველება – ეს ის სფეროა, სადაც განსახოვნდება კონცეპტი შემეცნებაში არსებული კულტურის ელემენტების საშუალებით.

მზე როგორც სახე, მრავალი ერის კულტურაშია დამკვიდრებული. ყოველ კულტურას თავისი წარმოსახვა გააჩნია. ანტიკურ ძეგლებში მზეს მიეწერებოდა ცოცხალი არსების, მოქმედი პერსონაჟის თვისებები.

მზის ძირითადი კონცეპტუალური ნიშნები, როგორებიცაა მანათობელი, ცეცხლოვანი ბურთი, სინათლის წყარო, სიცოცხლის წყარო, ციური სხეული და მრ. სხვა, მართალია, რელიგანტურია ყველა მკითხველისათვის, თუმცა შემდგომ საუკუნეებში და დღესაც, მხატვრულ ლიტერატურაში მზის, როგორც ყველაზე ხშირად მოხსენიებული ლექსიკური ერთეულის ფასეულობა, საგრძნობლად დიდი დატვირთვის მომცველია.

მხატვრული ხერხის, მხატვრული აზროვნების ზემოქმედების ძალა დიდადაა დამოკიდებული მწერლის ენაზე, ნიჭიერებასა და მსოფლადქმაზე. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში ხშირად ფიგურირებს სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები – კონცეპტები, რომელთა მეშვეობითაც, აბსტრაქტულობის გარკვეული ხარისხის მიუხედავად, უცხოენოვან მკითხველს მიენიშნება მისთვის უცნობი სულიერი ფასეულობების სამყაროზე.

კონცეპტი “მზე” ნოდარ დუმბაძის ინდივიდუალურ, მხატვრულ შემეცნებაში ინარჩუნებს თავის სტრუქტურას, მეტონიმიურ მნიშვნელობას, თუმცა იმავდროულად მდიდრდება უამრავი ნიშნით და ტრანსფორმირდება სხვადასხვა მეტაფორულ ფორმებში:

1. მზე – ღმერთი
2. მზე – დედა

3. მზე – სიცოცხლე
4. მზე – სიყვარული
5. მზე – სინათლე
6. მზე – სიბნელე
7. მზე – თვალი
8. მზე – გული
9. მზე – ოქრო
10. მზე – მარადისობა.

ნ. დუმბაძის რომანებში კონცეპტი “მზე” მრავალსახოვნად წარმოსდგება, ქართული ენისათვის მახასიათებელი მსოფლადქმის კატეგორიებსა და ფორმებში, აერთიანებს ეროვნული ხასიათის ინტელექტუალურ, სულიერ და გრძნობიერ თვისებებს, ემოციებსა და ასოციაციებს. ნ. დუმბაძის მზე სინათლის, სითბოს, სიკეთისა და სიყვარულის, ყოველგვარი სიწმინდის ხორცშესხმაა და ამაღლევებელი და მანუგეშებელი სიმბოლოა. მზისადმი მიძღვნილი მისი ყოველი პასაჟი, უდაოდ, მაღალმხატვრული პოეტურობითაა შესრულებული:

**“მზის ჩასვლას სამი თითის დადება აკლდა. მერე მზე ოდნავ შეეხო ზღვას და შორეული ჰორიზონტიდან ნაპირამდე ოქროს მოციმციმე ბილიკი გაწვა”.**

**” მზეს წვერიდა უჩანდა და სხივი ახლაცის დასალიერიდან გამოწვდილ ოქროს ხელს გაედა, რომლის მტევანზე უზარმაზარი ღურჯი ჰორტენზია ესვენა.”**

ნ.დუმბაძის რომანებში მრავალი კაშკაშა, არაჩვეულებრივი სახე გვხვდება კონცეპტის “მზე” ჭრილში, თუმცა ეს სახეები მაინც ღრმად არიან გადაჯაჭვულნი ენობრივი შემეცნების კონცეპტუალურ ნიშნებთან. უემოციოდ ვერ წაიკითხავს ქართველი მკითხველი ერთ მონაკვეთს რომანიდან “მზიანი ღამე”, რასაც იწვევს სტუდენტი მეგობრების (გურამისა და თემოს) გალაკტიონთან შეხვედრა. ამ ბუმბერაზი პოეტის დიდი სულის პატარა ნაწილის ჩვენებისას, მწერალი იყენებს ავტობიოგრაფიულ ჩანართებს. სტუდენტობისას ის მართლაც შეხვედრია გა-

ლაკტიონს და ერთი დაუვიწყარი საღამოც გაუტარებია მასთან. შეკითხვაზე: **“როგორ წერთ ლექსებს, ბატონო გალაკტიონ?”**, პოეტის პასუხი რომანში უდიდესი გრძობიერებითაა აღწერილი და უდაოდ, სრული ხორცშესხმაა მისი მუხის მოვლინებისა: **“მე ზღვა მიყვარს, ძამიკო, ძალიან. ზღვა და მზე. ამოვთხრი დიდ ორმოს სილაში, ჩავწვები შიგ და ჩავიმარხები კისრამდე. მერე ვიზამ პირს მზისკენ და ვხუჭავ თვალებს. ჯერ ბნელა, მერე ჩნდება რგოლები, წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი. მერე ნათდება, ნათდება და მზე ჩამოდის თვალებში, დიდი, უდიდესი, ნათელი მზე. მზე ატანს ქუთუთოებში, ძვალში, რბილში, სისხლში, მზე ყველაფერში ატანს, სამარეშიც ატანს მზე. მერე ციდან ეშვება ანგელოსი, ლამაზი, თეთრი ანგელოსი, ეშვება ჩემს ყურთან და მკარნახობს ლექსებს . . .”**

ინტერკულტურული კომუნიკაციის ერთ-ერთი საყრდენის – მხატვრული თარგმანის დამსახურება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად და დედნისეული სიზუსტითაა აღქმული და გადატანილი ტრანსლატორის მიერ ავტორისეული ხედვა და სულიერი ინტენცია. ამ ნაწევრის ინგლისური თარგმანის განხილვისას ვრწმუნდებით, რომ საუკეთესო, თითქოს ზედმიწევნით უნაკლო თარგმანს მაინც აკლია ის ემოცია, რასაც ქართველი მკითხველი გალაკტიონის მხატვრული სიტყვის ძალით ეზიარება.

**“ I love the sea very much, the sea und the sun. I dig a great hole in the sand, and lie in it. The sand covers me up to the neck. Then I look into the face of the sun, like his, as I am doing now. At first it is dark, then there appear red, yellow and orange rings, and then a great, splendid sun enters the eyes. The sun penetrates my eyelids, bones, flesh and blood. The sun penetrates everything, even the grave. Then there descends from the sky a white angel, a pretty , white angel , who comes down to my ear and dictates to me...”**

ნოდარ დუმბაძის პროზის მხატვრული ენა განსაკუთრებული გამომსახველობით ხასიათდება. მწერლის ენაში ლექსიკური ერთეულები ახალ უღერადობას, ახალ სიცოცხლეს იძენენ, რაც მხატვრული ტროპის საშუალებით მიიღწევა. ერთი პატარა თავი რომანიდან “ მარადისობის კანონი” დუმბაძისეული მზის სადიდებლად მიძღვნილი ჰიმნია.

**“ მზე უზარმაზარ ვერცხლის სარეცელზე ესვენა და მძიმედ სუნთქავდა. სასთუმლად მარად თოვლიანი მყინვარწვერი ედო. შვიდფეროვანი ცისარტყელით შუბლწაკრულს, ღონემინდილი მკლავები სარეცლის ორთავე მხარეს გადაეყარა...”**

ქართველის ცნობიერებაში არსებული, ეთნოკულტურული სამყაროს ფრაგმენტი უცხოელი მთარგმნელისაგან ჯერ დეკოდირებას, შემდეგ კი ტრანსკოდირებას მოითხოვს სათარგმნ ენაზე, რაც საკმაოდ ძალისხმევის შედეგად მიიღწევა.

**„მზე უზარმაზარ ვერცხლის სარეცელზე იწვა და ველარ დგებოდა. იგი დილით ამობრძანდა კავკასიონზე, ფეხისწვერებზე აიწია და ის-ის იყო უნდა გაფრენილიყო ცის ლაჟვარდში, რომ მკერდში საშინელი ტკივილი იგრძნო. მზემ ჯერ ცალ მუხლზე დაიჩოქა, მერე მეორეზე. გულშეღონებულმა თავი მყინვარს მიასვენა და ასე დარჩა, კავკასიონის ვეებერთელა თეთრ სარეცელზე გაშოტილი.”**

მზის გარდაცვალება ისეთი მხატვრული სტილისტიკური ხერხებითა და საშუალებებითაა აღწერილი, რომ ძალზე გამოცდილი მთარგმნელიც კი იკარგება ავტორის ფანტაზიის ამ მდიდარ ლაბირინთში.

**დასკვნა**

ნოდარ დუმბაძის რომანებში კონცეპტის “მზე” მხატვრული არსი თავისი მრავალსახეობით გვაოცებს, მოვლენათა მხატვრულ

წარმოსახვას ემსახურება და ეთნოენობრივი ცნობიერების მნიშვნელოვან ფრაგმენტს წარმოადგენს, რომელშიც ერთიანდება სოციალური ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა და უნივერსალური თვისებები.

### ლიტერატურა

1. Маслова В.А. (2001): Лингвокультурология. М.
2. Красных В.В. (2002): Этнопсихология и лингвокультурология. М.
3. Слышкин Г.Г. (2004): Лингвокультурные концепты и метаконцепты. В.
4. ნ. დუმბაძე (1988): მზიანი ღამე. მერანი. თბ.
5. ნ. დუმბაძე (1989): მარადისობის კანონი. მერანი. თბ.
6. Dumbadze N. (1988): The Sunny Nights. New York

### Концепт Солнце в художественной картине мира Нодара Думбадзе

*Хуцшვილი Верико Важаевна*  
*Грузинский государственный университет*  
*Департамент грузинской филологии и медиа технологий*  
*Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 593 484 767*  
E-mail : khutsishviliveriko@yahoo.com

#### Резюме

Солнце как артаспект и картина-образ, существует во многих культурах мира. Концепт „Солнце“ является многогранной структурой в художественной литературе, который вместе с

главным концептуальным значением вмещает в себе образность, оценки, ассоциации и эмоции.

В романах Нодара думбадзе концепт „Солнце“ представлен многогранно. Он совмещает интеллектуальные, душевные и эмоциональные качества нации, а также многие культурные коннотации.

#### Ключевые слова:

Солнце, концепт, лингвокультурология, символ, ментефакт.

### Concept «The Sun» in World Artistic Image by N. Dumbadze

*Veriko Khutsishvili*  
*Georgian Technical University*  
*Department of Georgian Philology and Media-Technology*  
*77 Kostava St, 0175, Tbilisi, Georgia*  
*Tel. : 593 484 767*  
E-mail : khutsishviliveriko@yahoo.com

#### Abstract

The Sun as an artistic image-icon and art-aspect is established in cultures of a lot of nations. A concept of The Sun represents a multi-dimensional structure in a fiction. Apart from its conceptual meaning, it combines national image, estimations, associations and emotions.

The concept of The Sun is presented in various ways in the novels by Nodar Dumbadze. He combines intellectual, spiritual and sensual features of national characteristics. He also includes plenty of cultural connotations.

#### Keywords:

The Sun, Concept, Lingvoculturology, Symbol, Specific Components.

**კრიტიკული წერილები**

**Critique Letters**

**Критические записки**

## რეცენზია

### თეა ვეფხვაძის მიერ ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „მარკეტინგული ტერმინოლოგიის ინგლისურიდან ქართულად თარგმნის ძირითადი პრობლემები“

დღეისათვის, სხვადასხვა ქვეყნებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ფირმებს, ადამიანთა ჯგუფებსა თუ კერძო პირებს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურებისა და შესაბამისად ინფორმაციის სწრაფად გავრცელების, წერილი და ზეპირი კომუნიკაციების ზრდის პირობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადეკვატური თარგმანი, რაც მთარგმნელის მხრიდან მოითხოვს უდიდეს პასუხისმგებლობას, კომპეტენტურობას, სათარგმნი ტექსტის შინაარსის სრულად შესწავლასა და გაცნობიერებას, სამეცნიერო, დარგობრივი ტერმინების ზუსტად და ლაკონურად გადმოტანას.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია მარკეტინგული ტერმინოლოგიის ინგლისურიდან ქართულად თარგმნის პრობლემების შესწავლა, გამოვლენა და მისი გადაჭრის კონკრეტული გზების დასახვა.

უცხოურ ენაზე არსებული ტერმინების შესატყვისების ქართული ენის უმდიდრესი მარაგიდან მოძიებისა და სათანადო ტერმინოლოგიის როგორც წერით, ასევე ზეპირ კომუნიკაციებში დამკვიდრების პროცესი დღეისათვის რთულად და გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობს.

თეა ვეფხვაძე, ტერმინთა ქართულ ენაზე გადმოსაცემად საჭირო ძირითადი ტენდენციების გამოვლენისა და არსებული პრობლემების ანალიზის საფუძველზე, მიზნად ისახავს, გარკვეულწილად, მოაწესრიგოს მარკეტინგული ტერმინოლოგია, რაც, თავის მხრივ, თემის აქტუალობასა და სიახლეს განსაზღვრავს.

მიზნის მისაღწევად ავტორს შერჩეული აქვს კვლევის კომპლექსური მეთოდი, იყენებს სათანადო მდიდარ ლიტერატურას, რომელიც როგორც მეცნიერული სიახლის, ასევე ინფორმაციულობის თვალსაზრისით

საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

ნაშრომის სტრუქტურა ასეთია: ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე; შესავალი; თავი I – სამეცნიერო ტერმინოლოგიის საკითხის ისტორიისათვის; თავი II – ინგლისური მარკეტინგული ტერმინოლოგიის შექმნის ისტორიისათვის; თავი III – მარკეტინგული ტერმინოლოგიის სპეციალური აბრევიატურების თარგმნა; თავი IV – მარკეტინგული ტერმინების თარგმნა; დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა. მთლიანობაში ნაშრომი მოიცავს 215 გვერდს.

პირველ თავში, რომელიც ოთხი პარაგრაფისგან შედგება, მიმოხილულია სამეცნიერო ტერმინოლოგიის საკითხის ისტორია. სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებების გამოვლენის ფონზე გაანალიზებულია ტერმინთა სისტემურობა, ნომინაციურ-დეფინიციურობა, მონოსემიურობის ტენდენცია, სემანტიკური სიზუსტე, მოდალურობა, სტილისტური ნეიტრალურობა.

თეა ვეფხვაძე სავსებით სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას ტერმინის ფორმისა და შინაარსის არსებით მოთხოვნებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტერმინისადმი ვ. გრინევის მიერ წაყენებული მოთხოვნების ანალიზს: ტერმინის ფორმას, ტერმინის მნიშვნელობას, ტერმინის სპეციფიკურობას.

ნაშრომის პოზიტიურ მხარედ უნდა ჩაითვალოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების წინა პლანზე წამოწევა, როგორცაა ტერმინთა ნაირსახეობები, სინონიმია, რადგან ტერმინოლოგიაში სინონიმების არსებობა გარკვეულ სირთულეებს ქმნის, განსაკუთრებით დარგობრივი ტერმინების თარგმნის პროცესში.

თეა ვეფხვაძე ტერმინთა სინონიმიაზე მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებების გამოვლენისა და გაანალიზების კვალდაკვალ, იმ მკვლევართა თვალსაზრისს ემხრობა,

რომლებიც ტერმინთა ერთმნიშვნელობის უპირატესობას აღიარებენ. თუმცა, ამავდროულად, ზოგიერთ მკვლევართა მსგავსად, ტერმინთა სინონიმურობასაც დადებით მოვლენად აღიქვამს და მიიჩნევს, რომ მათი არარსებობა „სრულყოფილად ნამდვილად ვერ დააკმაყოფილებს მისი მომხმარებლების კომუნიკაციურ მოთხოვნებს“. საბოლოოდ, ტერმინოლოგიის მოწესრიგებისათვის, სინონიმთა ლიკვიდაციის საკითხს იგი რთულ ამოცანად მიიჩნევს. ვიზიარებთ მკვლევრის მოსაზრებას სინონიმთა ლიკვიდაციის საკითხის სირთულესთან დაკავშირებით, მაგრამ ვერც იმას უარყოფთ, რომ რთულ საკითხთა გადაჭრა მაინც გარდაუვალია და იგი საბოლოოდ დარგის სპეციალისტთა, ენათმეცნიერთა და მთარგმნელთა პრეროგატივაა. ამდენად, როდესაც ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით სირთულე და აზრთა სხვადასხვაობაა, მკვლევარმა, სასურველია საკუთარი არგუმენტებით უფრო გაბედულად გამოხატოს პირადი მოსაზრება. ჩვენი აზრით, ტერმინთა სინონიმურობა არ შეიძლება დადებით მოვლენად ჩაითვალოს, რადგან ერთმნიშვნელობა არა მარტო უმჯობესი, არამედ აუცილებელი პირობაა ტერმინოლოგიის მოწესრიგების საქმეში, საბოლოოდ კი სამეცნიერო, დარგობრივი ლიტერატურის შესატყვისი ადეკვატური თარგმანების შესაქმნელად.

მეტისმეტად კატეგორიულია მკვლევარი, როდესაც გამოთქვამს მოსაზრებას: „ხშირ შემთხვევაში ტრანსლიტერირებული ტერმინი, რომელიც აბსოლუტურად სინონიმურია, უკვე არსებული ქართული ეკვივალენტის საერთაშორისო სიტყვას წარმოადგენს და მისი არ მიღება დაუშვებელია (გვ. 34).

ნაშრომის ავტორი სესხების ნიადაგზე გაჩენილი სინონიმების არსებობას, ე.ი. ნასესხებისა და ქართული ვარიანტის თანაარსებობას დასაშვებად მიიჩნევს ნებისმიერი დარგის ტერმინოლოგიაში სპეციალისტთა ურთიერთობების დროს. სინონიმური ტერმინები, აღნიშნავს ის, საშუალებას გვაძლევს სამეცნიერო ტექსტი უფრო ლამაზად, მრავალფეროვნად გადმოვცეთ.

ვფიქრობთ, ნასესხები სიტყვებისა და ტერ-

მინებისადმი მეცნიერთა მიდგომას, ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობას, უმთავრესად, მაინც განაპირობებს მათი დამოკიდებულება გლობალიზაციის პროცესებისადმი.

გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ გლობალიზაცია შთანთქავს ეროვნულ კულტურას, ენას, ტრადიციებს და მრავალ ღირებულებას, რაც ამა თუ იმ ერმა მოიპოვა თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე. ვინაიდან თავად გლობალიზაციის მოწინააღმდეგეთა რიგებს მივეკუთვნები, ჩემი თვალთახედვა, ხშირ შემთხვევაში, განსხვავდება თვა ვეფხვადის მოსაზრებებისაგან. კერძოდ, მიმაჩნია, რომ ნასესხები სიტყვებისა და ტერმინების დამკვიდრება არათუ ხელს უწყობს მშობლიური ენის გამდიდრებას, არამედ, ანაგვიანებს მას, ხშირ შემთხვევაში კი ქართული ენის უმდიდრესი ლექსიკის დაშრეტასა და პასიურობას იწვევს. ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებასაც, რომ სინონიმური ტერმინები „საშუალებას გვაძლევს სამეცნიერო ტექსტი უფრო ლამაზად და მრავალფეროვნად გადმოვცეთ“, სინონიმები შინაარსის ლამაზად და მრავალფეროვნად გადმოსაცემად უფრო მხატვრული თარგმანის დროს დაგვეხმარება, ვიდრე სამეცნიერო ტექსტებისა, რომლებიც შინაარსის ზედმიწევნით ზუსტად გადმოტანას მოითხოვენ როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციების დროს.

ნასესხები სიტყვებისა და ტერმინების გამოყენებისა და ქართულ ენაში დამკვიდრების მზარდ ტენდენციას დადებით მოვლენად ვერ ჩავთვლით და ვერ გავამართლებთ იმ მოტივით, რომ ჩვენი მეცნიერების განვითარების ტემპი ჩამორჩება უცხოურს. თუ ასე ვიმსჯელებთ, მეცნიერების არც ერთ სფეროში არ გვექნება დარგობრივი ქართული ტერმინოლოგია, რისი საფრთხეც ქართული უძველესი და უმდიდრესი ენის წყალობით ნამდვილად არ არსებობს, რადგან ეროვნული იდეოლოგიის გერონტი ქიქოძის სიტყვებით რომ ვთქვათ – „წმინდა ქართული ენა იმდენად მდიდარი, კულტურული და კეთილხმოვანია, რომ ის ჭეშმარიტად ღირსია მეტი პატივისცემისა. ის მზადაა გამოხატოს უმძი-



მესი ფილოსოფიური იდეები და უმსუბუქესი ეროტული სენსაციები“.

მეორე თავი, სადაც ვრცლად არის მიმოხილული ინგლისური მარკეტინგული ტერმინოლოგიის შექმნის ისტორია, ნაშრომის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს, როგორც მოცულობით, ასევე მნიშვნელოვნებით, რადგან მასში თანმიმდევრულად, გამოწვევლილვით და საინტერესოდ არის გამოვლენილი მარკეტინგული ტერმინოლოგიის, კონცეპტუალიზაციის, ინტეგრაციის, გადახედვისა და სრულყოფის, ახლებურად გააზრებისა და სპეციალიზაციის, სოციალურ-ეთიკური, ტერმინოლოგიის სესხებისა და ინტერნეტის ტერმინოლოგიის სესხების ეტაპები.

მეორე თავის ბოლო პარაგრაფში, სადაც განხილულია ინტერნეტის ტერმინოლოგიის სესხების ეტაპი, საუბარია ტერმინოლოგიური შესიტყვებების სხვადასხვა ქართული ვარიანტების არსებობაზე სახელმძღვანელოებსა თუ ნათარგმნ ტექსტებში. მკვლევარს მოაქვს ამის კონკრეტული ნიმუშები. ასე მაგ. „marketing concept“ – „მარკეტინგის კონცეფცია“, „მარკეტინგული კონცეფცია“, „საბაზრო კონცეფცია“. სასურველი იყო ავტორს იქვე გამოეხატა თავისი პოზიცია ამ კონკრეტული ვარიანტებისადმი. ვინაიდან საბოლოოდ, მაინც მკვლევართა დასაბუთებულმა, შეჯერებულმა მოსაზრებებმა უნდა გადაწყვიტოს ამა თუ იმ ტერმინის დამკვიდრება – არდამკვიდრების საკითხი. ვფიქრობთ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს და პრაქტიკაში დამკვიდრდეს ლობჯანიძის მიერ შერჩეული ტერმინი „საბაზრო კონცეფცია“, რადგან სხვა მოცემულ ქართულ ვარიანტებზე მეტად შეესატყვისება ინგლისურ ტერმინს და ქართულადაც კარგად უღერს.

სავსებით ვეთანხმები თეა ვეფხვაძის იმ მოსაზრებას, რომ სხვადასხვა ინგლისური ტერმინის შესატყვისი ქართული ვარიანტების დახვეწა უნდა მოხდეს ეკონომისტთა და ენათმეცნიერთა ერთობლივი მუშაობის შედეგად.

ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი მართებულად ეთმობა ისეთი რთული და სადავო საკითხების განხილვას, როგორცაა

მარკეტინგული ტერმინოლოგიის სპეციალური აბრევიატურის თარგმნა.

ნაშრომის ატორი თანმიმდევრულად, კონკრეტული მაგალითების საფუძველიანი ანალიზის კვალდაკვალ, განიხილავს აბრევიატურების სესხებას, ე.ი. უცვლელი ფორმით გადმოღებას და ქართულ სიტყვათშემოკლებების შექმნას უცხოენოვანი აბრევიატურების მთლიანი სახელწოდების მიხედვით. თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ყოველი მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მკვლევარი ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ აბრევიატურების თარგმნის დროს მთარგმნელი მოვალეა აბრევიატურის თარგმანი ისეთი ფორმით გადმოსცეს, რომ იგი გასაგები იყოს არა მარტო დარგის სპეციალისტებისათვის, არამედ ჩვეულებრივი მკითხველისათვისაც.

სავსებით მისაღებია აბრევიატურის გადმოცემის ის მიდგომა, რომელსაც თეა ვეფხვაძე გვთავაზობს, რაც აბრევიატურის ქართულად განმარტების აუცილებლობაში მდგომარეობს.

მეოთხე თავში აღწერილია მარკეტინგულ ტერმინოლოგიაში არსებული სპეციალური ლექსიკის თარგმნის სირთულეები, რომელიც ნაშრომში ორ ნაწილად არის დაყოფილი: ტერმინის ადეკვატური გადმოცემა გამოსატვის თვალსაზრისით და ტერმინის ადეკვატური გადმოცემა შინაარსის თვალსაზრისით.

კონკრეტული მაგალითების მოხმობისა და ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ტერმინის ადეკვატური გადმოცემის სირთულე გამოსატვისა და შინაარსის თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განსაზღვრული სემანტიკური სხვაობების მქონე ტერმინების თარგმნის პრობლემებს. ავტორი, ზოგ შემთხვევაში, სირთულეების დაძლევის კონკრეტულ რეკომენდაციებსაც გვთავაზობს.

უეკვივალენტო მარტივი და შედგენილი ერთსიტყვიანი ტერმინების თარგმანის საკითხის განხილვის დროს თეა ვეფხვაძე მართებულად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ტრანსლიტერაციის მეთოდი საკმაოდ აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ქართულ

ენაში და მათი რაოდენობა დღითიდღე მატულობს. მაგრამ ვერ გავიზიარებთ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ტრანსლიტერაციის მეთოდი თითქოსდა ხელს უწყობდეს ტერმინოლოგიის გამდიდრებასა და გაფართოებას, რადგან ტრანსლიტერაციის მეთოდის გამოყენებით მეტისმეტი გატაცება, რომელსაც ხშირად მოდური ელფერი დაკრავს, ერთი მხრივ, გამოიწვევს ნებისმიერი დარგის ლექსიკის შემოსული, უცხო სიტყვებით გადატვირთვას, მეორე მხრივ კი ჩვეულებრივ მკითხველს ხელს შეუშლის თარგმნილი ტექსტის სრულად აღქმასა და გააზრებაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დროს ტერმინოლოგია უმჯობესია მოხდეს არა ტრანსლიტერაციის მეთოდით, არამედ, ენის ლექსიკის მარაგის მაქსიმალური გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, მთარგმნელისგან მშობლიური ენის ღრმა ცოდნასა და პატივისცემას მოითხოვს.

ამავე თავში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მარკეტინგულ ტერმინოლოგიაში „მთარგმნელის ცრუ მეგობრების“ საკითხის პრობლემების გამოვლენას. მკვლევარს დიდი შრომა აქვს გაწეული ამ კატეგორიის ნიმუშების მოსაძიებლად და თვალსაჩინოების მიზნით სათანადო ცხრილებში მათ განსათავსებლად.

ნაშრომის ბოლოს შეჯამებულია ჩატარებული კვლევები, გამოტანილია სათანადო დასკვნები, რომელიც შესაბამისობაშია მკვლევრის მიზნებთან და ამოცანებთან.

საკვლევი თემა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალზე აქტუალურია. მასში გამოყენებულია სათანადო ქართული, ინგლისური და რუსული ლიტერატურა, რომელიც საყურადღებოა როგორც მეცნიერული, ასევე ინფორმაციულობის თვალსაზრისით. თემა ვფხვამე საჭიროებისამებრ იყენებს ლექსიკონებს, ენციკლოპედიებსა და ელექტრონულ რესურსებს. მიზნის მისაღწევად შერჩეულია კვლევის კომპლექსური მეთოდი. ნაშრომის ავტორი მიმართავს ლინგვისტიკური მასალის ანალიტიკური დაკვირვებისა და სისტემური შეპირისპირების, ეტიმოლოგიურ, სტრუქტურულ-სემანტიკური და კონ-

ტექსტუალური ანალიზის მეთოდებს, რაც შესაბამისობაშია საკვლევი თემასთან.

ანალიზი, მსჯელობა თანმიმდევრულია. ნაშრომის სიახლეს თემის აქტუალურობა განსაზღვრავს. დღემდე ქართულად არ არსებობდა ისეთი მონოგრაფიები, მეცნიერული ნაშრომები თუ სახელმძღვანელოები, სადაც სრულყოფილად იქნებოდა მოცემული ინგლისური ენის მარკეტინგული ტერმინოლოგიის სისტემური აღწერა, ლინგვისტიკური ანალიზი. სრულად იქნებოდა გამოვლენილი მარკეტინგულ ტერმინოლოგიაში ინგლისურიდან ქართულად თარგმნის ძირითადი პრობლემები. ნაშრომი დღის წესრიგში აყენებს მთარგმნელებს, დარგის სპეციალისტებსა და ენათმეცნიერებს შორის ურთიერთობის გაფართოების აუცილებლობას მარკეტინგული ტერმინოლოგიის მოსაწესრიგებლად.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ მასში დამუშავებული მასალა, დებულებები, მიღებული შედეგები, შეიძლება გამოყენებულ იქნას თარგმანმცოდნეობაში, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის სწავლებისა და სწავლის პროცესებში, წერით და ზეპირ კომუნიკაციებში.

აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომი ძალზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო გამოკვლევაა და ის მრავალმხრივ დახმარებას გაუწევს ამ კონკრეტული პრობლემით დაინტერესებულ ყველა მკვლევარს.

*ეთერ მგალობლიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის  
ასოცირებული პროფესორი*

17 სექტემბერი, 2014 წ.

**ავტორები**

- მანანა ასლანიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
- ციური ახვლედიანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი
- თეა ბორჩხვაძე** – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი
- ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- თამარ გაგოშიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი
- თამილა დილავეროვა** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტის დოქტორანტი
- სოფიკო დუმბაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტის დოქტორანტი
- მარინა ზორანიანი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ეთერ მგალობლიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ირინა სანაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დოქტორანტი
- ნინო ჭრიკიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ასისტენტ-პროფესორი
- ვერიკო ხუციშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიისა და მედია ტექნოლოგიების დეპარტამენტის დოქტორანტი

**ქურნალის რედკოლეგია**

**მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

**გიოლა ფურცელაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**კულპაშ ბეიბიტოვა** – ვერაზის გუმბელიოვის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)

**ტანია გრისჰამერი** – გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD), ფილოლოგიის მაგისტრი

**ქეთევან გაბუნია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

**ია ბურდული** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი

**სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

**ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**გიორგი ყუფარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

**Редколлегия журнала**

**Майя Чхеидзе** – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, профессор

**Русудан Табукашвили** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, профессор

**Виола Пурцеладзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор

**Ия Чиквинидзе** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор.

**Ганс Руддигер Флук** – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

**Кульпаш Бейбитова** – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

**Таня Грисхаммер** – Служба по академическому обмену в Германии (DAAD), Магистр филологии

**Кетеван Габуния** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, руководитель направления романской филологии, профессор

**Ия Бурдули** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

**Мария Михайлова** – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)

**Сильвия Ботева** – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

**Татьяна Мегрелишвили** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологических наук, профессор

**Альба Грациано** – Университет г. Тусция (Италия), директор центра языков, профессор

**Алессандра Спадафора** – Университет г. Тусция (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

**Георгий Купарадзе** – Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили, факультет гуманитарных наук, академический доктор филологии, ассоциированный профессор

**Русудан Гоциридзе** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, академический доктор филологии, профессор, ассоциированный член Оксфордского Университетского Общества

## *Scripta manent*

### **Editorial board**

**Maia Chkheidze** – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Professor

**Rusudan Tabukashvili** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Professor

**Viola Purzeladze** – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

**Ia Chikvinidze** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Assosiated Professor

**Hans Rudiger Fluck** – Professor of the Bokhums“ University, Doctor of Philological Science

**Kulpash Beibitova** – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

**Tanya Griskhamer** – Academical changes job in Germany (DAAD), master of Philology

**Ketevan Gabunia** – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Dirrection in Romanian Philology, Academic Doctor of Philology, Professor

**Ia Burduli** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philology, Assosiated Professor

**Maria Mikhailova** – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

**Sylvia Boteva** – Sofia's Uniersity of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

**Tatiana Megrelishvili** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philological Science, Professor

**Alba Graziano** – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

**Alessandra Spadafora** – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Assosiated Professor

**Georgi Kuparadze** – Tbilisis“ State University, Faculty of Humanitarian Sciences, Academic Doctor of Philology, Assosiated Professor

**Rusudan Gotsiridze** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Academic Doctor of Philology, Full professor, the associate member of Oxford's University Society